



სს ნიკორა
ნახევარი წლის კონსოლიდირებული ანგარიში
2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით



წარმომადგენლობა და დათქმა

წინამდებარე დოკუმენტი მომზადებულია სააქციო საზოგადოება „ნიკორა“-ს მიერ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის, „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს ეროვნული ბანკის #181/04 ბრძანების მოთხოვნებისა და საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტისათვის კორპორაციული მართვის კოდექსის საფუძველზე და წარმოადგენს სს „ნიკორა“-ს 2025 წლის კონსოლიდირებულ ნახევარწლიურ ანგარიშს, რომელიც შედგება კონსოლიდირებული შუალედური ფინანსური ანგარიშგებისა და მმართველობითი ანგარიშგებისაგან.

სს „ნიკორა“-ს კონსოლიდირებული ნახევარწლიური ანგარიში: კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და მმართველობითი ანგარიშგება არის სრული, სწორი და სამართლიანი. განცხადებების ნაწილი, მოცემული ანგარიშგებაში, შესაძლებელია წარმოადგენდეს სამომავლო განცხადებებს, რომლებიც ეხება „კომპანიის“ გეგმებს, მოლოდინებს, პროგნოზებს, მიზნებს, სტრატეგიებს, სამომავლო მოვლენებს, სამომავლო შემოსავლებს, კაპიტალდაბანდებებს, ფინანსურ საჭიროებებს, სამომავლო ოპერაციებს, განვითარებას, ბიზნეს-სტრატეგიას და სხვა ინფორმაციას.

აღნიშნული სახის სამომავლო განცხადებები, ისევე როგორც გასული პერიოდის და მიმდინარე მდგომარეობის შესახებ გამოთქმული დასკვნები, რიც შემთხვევაში ეფუძნება ჯგუფის მენეჯმენტის სუბიექტურ შეფასებას, გარკვეული დაშვებების გათვალისწინებით, განხორციელებულ ანალიტიკას დაკავშირებულს ბიზნესის ისტორიულ ტრენდთან, გარემო ეკონომიკური და სხვა ფაქტორების ტენდენციებზე დაკვირვებას, მესამე მხარეებისგან მოპოვებულ ინფორმაციას.

ირაკლი ბოქოლიშვილი

ვასილ სუხიაშვილი

გენერალური დირექტორი

სამეთვალყურეო საბჭოს

თავმჯდომარე

სს „ნიკორა“

სს „ნიკორა“

ირაკლი გეჯაძე

ფინანსური დირექტორი

სს „ნიკორა“

თარიღი:

წარმომადგენლობა და დათქმა

წინამდებარე დოკუმენტი მომზადებულია სააქციო საზოგადოება „ნიკორა“-ს მიერ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის, „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს ეროვნული ბანკის #181/04 ბრძანების მოთხოვნებისა და საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტისათვის კორპორაციული მართვის კოდექსის საფუძველზე და წარმომადგენს სს „ნიკორა“-ს 2025 წლის კონსოლიდირებულ ნახევარწლიურ ანგარიშს, რომელიც შედგება კონსოლიდირებული შუალედური ფინანსური ანგარიშგებისა და მმართველობითი ანგარიშგებისაგან.

სს „ნიკორა“-ს კონსოლიდირებული ნახევარწლიური ანგარიში: კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და მმართველობითი ანგარიშგება არის სრული, სწორი და სამართლიანი. განცხადებების ნაწილი, მოცემული ანგარიშგებაში, შესაძლებელია წარმომადგენდეს სამომავლო განცხადებებს, რომლებიც ეხება „კომპანიის“ გეგმებს, მოლოდინებს, პროგნოზებს, მიზნებს, სტრატეგიებს, სამომავლო მოვლენებს, სამომავლო შემოსავლებს, კაპიტალდაბანდებებს, ფინანსურ საჭიროებებს, სამომავლო ოპერაციებს, განვითარებას, ბიზნეს-სტრატეგიას და სხვა ინფორმაციას.

აღნიშნული სახის სამომავლო განცხადებები, ისევე როგორც გასული პერიოდის და მიმდინარე მდგომარეობის შესახებ გამოთქმული დასკვნები, რიგ შემთხვევაში ეფუძნება ჯგუფის მენეჯმენტის სუბიექტურ შეფასებას, გარკვეული დაშვებების გათვალისწინებით, განხორციელებულ ანალიტიკას დაკავშირებულს ბიზნესის ისტორიულ ტრენდთან, გარემო ეკონომიკური და სხვა ფაქტორების ტენდენციებზე დაკვირვებას, მესამე მხარეებისგან მოპოვებულ ინფორმაციას.

ირაკლი ბოქოლიშვილი

ვასილ სუხიაშვილი

გენერალური დირექტორი

სამეთვალყურეო საბჭოს

სს „ნიკორა“

თავმჯდომარე

სს „ნიკორა“

ირაკლი გეჯაძე

ფინანსური დირექტორი

სს „ნიკორა“

თარიღი:

29.08.2025

სარჩევი

კონსოლიდირებული შუალედური შემოკლებული ფინანსური ანგარიშგება	4
მოგება-ზარალის კონსოლიდირებული შუალედური შემოკლებული ანგარიშგება	5
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული შუალედური შემოკლებული ანგარიშგება	5
საკუთარ კაპიტალში ცვლილების კონსოლიდირებული შუალედური შემოკლებული ანგარიშგება	6
ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული შუალედური შემოკლებული ანგარიშგება	7
ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	8
1. ზოგადი ინფორმაცია	8
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი	8
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	9
4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა	10
5. ინფორმაცია სეგმენტების შესახებ	13
6. ამონაგები	16
7. გაყიდვების თვითღირებულება	16
8. სხვა შემოსავალი	17
9. გაყიდვების და მიწოდების ხარჯები	17
10. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	17
11. სხვა მოგება/(ზარალი) ნეტო	17
12. ძირითადი საშუალებები	18
13. აქტივების გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები	19
14. არამატერიალური აქტივები	19
15. ბიოლოგიური აქტივები	20
16. მარაგები	20
17. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	20
18. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	21
19. სააქციო კაპიტალი	21
20. ობლიგაციები და სესხები	22
21. გადავადებული შემოსავალი	23
22. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	23
23. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	24
24. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	24
მმართველობითი ანგარიშგება	2
1. საქმიანობის მიმოხილვა	3
2. ფინანსური ინფორმაცია	14
3. რისკის ფაქტორები	24
4. კორპორაციული მართვის ანგარიშგება	41
5. არაფინანსური ანგარიშგება	53



სს ნიკორა ჯგუფი

კონსოლიდირებული შუალედური შემოკლებული ფინანსური ანგარიშგება
2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით
და ამ თარიღით დასრულებული ექვსი თვისთის



სს“ნიკორა”-ს კონსოლიდირებული შუალედური შემოკლებული ფინანსური ანგარიშგება 2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული ექვსი თვისთვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

მოგება-ზარალის კონსოლიდირებული შუალედური შემოკლებული ანგარიშგება
30 ივნისის დასრულებული ექვსთვიანი პერიოდისთვის (არა-აუდიტირებული)

	შენიშვნა	2025 (ექვსი თვე)	2024 (ექვსი თვე)
ამონაგები	6	757,722	677,831
გაყიდვების თვითღირებულება	7	(550,105)	(481,001)
საერთო მოგება		207,617	196,830
სხვა შემოსავალი	8	895	743
გაყიდვების და მიწოდების ხარჯები	9	(164,366)	(143,204)
ადმინისტრაციული ხარჯები	10	(25,478)	(24,567)
სხვა მოგება ნეტო	11	1,544	2,481
ფინანსური შემოსავალი		470	401
ფინანსური ხარჯები		(16,390)	(13,529)
მოგება/(ზარალი) საკუროსო სხვაობიდან ნეტო		1,815	(7,900)
მოგება დაბეგვრამდე		6,107	11,255
მოგების გადასახადის ხარჯი		(1,298)	(1,385)
პერიოდის მოგება		4,809	9,870
პერიოდის მოგება მიკუთვნებული:			
-მფლობელებსა და მშობელ კომპანიაზე		4,863	9,732
-არამაკონტროლებელი წილის მფლობელებზე		(54)	138

ჯგუფის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2025 წლის 29 აგვისტოს.

ირაკლი ბოქოლიშვილი, გენერალური დირექტორი ირაკლი გეჯაძე, ფინანსური დირექტორი



სს"ნიკონა"-ს კონსოლიდირებული შუალედური შემოკლებული ფინანსური ანგარიშგება 2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული ექვსი თვისთვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

მოგება-ზარალის კონსოლიდირებული შუალედური შემოკლებული ანგარიშგება
30 ივნისის დასრულებული ექვსთვიანი პერიოდისთვის (არა-აუდიტირებული)

	შენიშვნა	2025 (ექვსი თვე)	2024 (ექვსი თვე)
ამონაგები	6	757,722	677,831
გაყიდვების თვითღირებულება	7	(550,105)	(481,001)
საერთო მოგება		207,617	196,830
სხვა შემოსავალი	8	895	743
გაყიდვების და მიწოდების ხარჯები	9	(164,366)	(143,204)
ადმინისტრაციული ხარჯები	10	(25,478)	(24,567)
სხვა მოგება ნეტო	11	1,544	2,481
ფინანსური შემოსავალი		470	401
ფინანსური ხარჯები		(16,390)	(13,529)
მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან ნეტო		1,815	(7,900)
მოგება დაბეგვრამდე		6,107	11,255
მოგების გადასახადის ხარჯი		(1,298)	(1,385)
პერიოდის მოგება		4,809	9,870
პერიოდის მოგება მიკუთვნებული:			
-მფლობელებსა და მშობელ კომპანიაზე		4,863	9,732
-არამაკონტროლებელი წილის მფლობელებზე		(54)	138

ჯგუფის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2025 წლის 29 აგვისტოს.

ირაკლი ბოქოლიშვილი, გენერალური დირექტორი

ირაკლი გეჯაძე, ფინანსური დირექტორი



სს“ნიკონა”-ს კონსოლიდირებული შუალედური შემოკლებული ფინანსური ანგარიშგება 2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული ექვსი თვისთვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული შუალედური შემოკლებული ანგარიშგება
(არა-აუდიტირებული)

	შენიშვნა	30.06.2025 (არააუდიტირებული)	31.12.2024 (აუდიტირებული)
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
გუდვილი		43,618	43,618
ძირითადი საშუალებები	12	314,024	303,113
აქტივების გამოყენების უფლება	13	155,313	160,974
არამატერიალური აქტივები	14	12,755	10,754
ბიოლოგიური აქტივები	15	1,106	1,208
ძირითადი საშუალებების მომწოდებლებზე გადახდილი		5,628	10,351
ავანსები და სხვა გრძელვადიანი აქტივები			
ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივად კონტროლირებად კომპანიებში		119	119
სულ გრძელვადიანი აქტივები		532,563	530,137
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	16	199,908	211,979
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	17	41,471	52,352
ფული და ფულის ეკვივალენტები	18	33,273	21,640
სულ მოკლევადიანი აქტივები		274,652	285,971
სულ აქტივები		807,215	816,108
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
საკუთარი კაპიტალი			
ჩვეულებრივი სააქციო კაპიტალი	19	6,471	6,471
პრივილეგირებული სააქციო კაპიტალი	19	22,702	22,702
გამოსყიდული საკუთარი აქციები	19	(417)	(417)
გადაფასების რეზერვი		31,936	36,858
დაგროვილი მოგება		156,443	154,108
არამაკონტროლებელი წილი		7,475	7,225
სულ კაპიტალი		224,610	226,947
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ობლიგაციები და სესხები	20	143,602	136,414
საიჯარო ვალდებულებები	13	121,443	129,031
გადავადებული შემოსავალი		2,537	2,537
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		267,582	267,982
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	22	205,938	216,264
ობლიგაციები და სესხები	20	77,856	706,45
საიჯარო ვალდებულებები	13	31,229	34,270
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		315,023	321,179
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		807,215	816,108

სს“ნიკორა”-ს კონსოლიდირებული შუალედური შემოკლებული ფინანსური ანგარიშგება 2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული ექვსი თვისთვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

საკუთარ კაპიტალში ცვლილების კონსოლიდირებული შუალედური შემოკლებული ანგარიშგება
(არა-აუდიტირებული)

	ჩვეულებრივი სააქციო კაპიტალი	პრივილეგი რებული სააქციო კაპიტალი	სახაზინო აქციები	გადაფასების რეზერვი	დაგროვილი მოგება	სულ სათაო კომპანიის მფლობელებს	არამაკონტ როლებელი წილი	სულ
1 იანვარი 2024	6,471	21,620	(417)	34,545	132,960	195,179	4,015	199,194
პერიოდის მოგება	-	-	-	-	9,732	9,732	138	9,870
რეალიზებული აქტივის რეზერვის გადატანა გაუნაწილებელ მოგებაში	-	-	-	(1,781)	1,781	-	-	-
ოპრაციები არამაკონტროლებელ წილთან	-	-	-	-	(1,758)	(1,758)	2,516	758
დივიდენდი ჩვეულებრივ აქციაზე	-	-	-	-	(7,602)	(7,602)	-	(7,602)
დივიდენდი პრივილეგირებულ აქციაზე	-	-	-	-	(709)	(709)	-	(709)
დივიდენდი არამაკონტროლებელი წილის მფლობელებზე	-	-	-	-	-	-	(416)	(416)
30 ივნისი 2024	6,471	21,620	(417)	32,764	134,404	194,842	6,253	201,095
1 იანვარი 2025	6,471	22,702	(417)	36,858	154,108	219,722	7,225	226,947
პერიოდის მოგება	-	-	-	-	4,863	4,863	(54)	4,809
რეალიზებული აქტივის რეზერვის გადატანა გაუნაწილებელ მოგებაში	-	-	-	(4,922)	4,922	-	-	-
ოპრაციები არამაკონტროლებელ წილთან	-	-	-	-	(189)	(189)	583	394
დივიდენდი ჩვეულებრივ აქციაზე	-	-	-	-	(6,500)	(6,500)	-	(6,500)
დივიდენდი პრივილეგირებულ აქციაზე	-	-	-	-	(761)	(761)	-	(761)
დივიდენდი არამაკონტროლებელი წილის მფლობელებზე	-	-	-	-	-	-	(279)	(279)
30 ივნისი 2025	6,471	22,702	(417)	31,936	156,443	217,135	7,475	224,610



სს“ნიკორა”-ს შემოკლებული შუალედური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული ექვსი თვისთვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული შუალედური შემოკლებული ანგარიშგება
30 ივნისის დასრულებული ექვსთვიანი პერიოდისთვის (არა-აუდიტირებული)

	2025 (ექვსი თვე)	2024 (ექვსი თვე)
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან.		
მოგება დაბეგვრამდე	6,107	11,255
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	36,116	31,761
ფინანსური ხარჯი	16,390	13,529
მარაგების გაუფასურება	15,950	9,247
მოგება/(ზარალი) კურსთაშორის სხვაობიდან	(1,815)	7,900
(ზარალი) ბიოლოგიური ტრანსფორმაციიდან	(737)	(924)
მოგება/ზარალი ძირითადი საშუალების გასვლიდან	(1,096)	(2,576)
საპროცენტო შემოსავალი	(470)	(401)
ცვლილება სამუშაო კაპიტალში		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების შემცირება/(ზრდა)	10,881	(4,973)
მარაგების ზრდა	(3,142)	2,836
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების შემცირება	(15,129)	(3,109)
ფულადი სახსრების შემოძინება საოპერაციო საქმიანობიდან	63,055	64,545
გადახდილი პროცენტები	(16,390)	(13,529)
გადახდილი მოგების გადასახადი	(1,298)	(1,385)
მიღებული პროცენტები	470	401
წმინდა ფულადი სახსრების შემოძინება საოპერაციო საქმიანობიდან	45,837	50,032
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(41,103)	(50,876)
არამატერიალური აქტივების შეძენა	(1,796)	(817)
ძირითადი საშუალებების გასვლა	18,356	2,217
შვილობილი საწარმოს წილის გაყიდვა	50	1612
მეკავშირე საწარმოში წილის გაყიდვა	30	-
შვილობილი კომპანიების წილების შესყიდვა	(185)	(116)
მეკავშირე საწარმოში წილის შესყიდვა	-	(7,995)
ფულადი სახსრების გასავალი საინვესტიციო საქმიანობიდან	(24,648)	(55,975)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
სესხებიდან და ობლიგაციებიდან მიღებული ფული	144,686	151,810
სესხებზე და ობლიგაციებზე გადახდილი ფული	(131,339)	(126,168)
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა	(16,145)	(13,704)
გადახდილი დივიდენდები	(7,238)	(8,015)
კაპიტალის შევსება არამაკონტროლებელი წილის მფლობელის მიერ	560	1,200
წმინდა ფულადი სახსრების შემოსავალი/(გასავალი) ფინანსური საქმიანობიდან	(9,476)	5,123
წმინდა ზრდა ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	11,713	(820)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	21,640	20,814
კურსთაშორისი სხვაობის გავლენა	(80)	67
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოსთვის	33,273	20,061



ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სს “ნიკორა“ (შემდგომში “კომპანია”) და მისი შვილობილი კომპანიების ფინანსურ ინფორმაციას. სს “ნიკორა“ არის საქართველოში რეგისტრირებული სააქციო საზოგადოება (საიდენტიფიკაციო კოდი 200050675), რომელიც დაფუძნდა 1998 წელს და საქმიანობას ახორციელებს მისამართზე: თბილისი, ა. მრეკლიშვილის ქუჩა 2.

ჯგუფი ფლობს საცალო ვაჭრობის მაღაზიათა ქსელს საქართველოში. რომელიც 2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით წარმოდგენილია 654 მაღაზიის სახით (2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 634), ასევე აწარმოებს საკვებ პროდუქტებს, ფლობს სადისტრიბუციო ქსელს საქართველოში და ეწევა სოფლის მეურნეობის საქმიანობას. ქვემოთ ცხრილი გვიჩვენებს სს ნიკორას ჯგუფში შემავალ შვილობილ კომპანიებს 2025 წლის 30 ივნისისა და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

დასახელება	30.06.2025	31.12.2024	ს/6	საქმიანობის სფერო
სს ნიკორა ტრეიდი	96.6%	96.6%	206255808	საცალო გაყიდვა
შპს მილა საქართველო	50%	50%	400095008	ვაჭრობა
შპს ნიკორა	100%	100%	400132183	ხორცპროდუქტების წარმოება
შპს კორიდა	100%	100%	215133193	ხორცპროდუქტების წარმოება
შპს ოკეანე	100%	100%	200265239	ზღვისპროდუქტების წარმოება
შპს ჩვენი ფერმერი	100%	100%	200265220	რძის პროდუქტების წარმოება
შპს მზარეული I	90%	80%	200104699	პურპროდუქტების წარმოება
შპს კულინარი	100%	100%	405099389	სალათების წარმოება
შპს პარტნიორი	100%	100%	400132192	დისტრიბუცია
შპს ინტრეიდი	100%	100%	200115883	იმპორტი
შპს მულტიტრეიდი	100%	100%	200273765	იმპორტი
შპს ვაკიჯვრის კალმახი	94%	94%	237074857	კალმახის ფერმა
შპს ნაფარეულის ძველი მარანი	100%	100%	231260827	ვენახები
შპს ნიკორა ბაკურიანი	50%	50%	426112823	უძრავი ქონება
შპს რეფ ელ	50%	50%	400387149	უძრავი ქონება
შპს რეფ ბი	80%	80%	400402872	უმოქმედო
შპს დენ ბრავენ ჯორჯია	100%	100%	205026498	უმოქმედო
შპს ინტრეიდი ფოთი	100%	100%	215149097	უმოქმედო
შპს ნიკორა კახეთი	100%	100%	231278131	უმოქმედო
შპს ნიკორა აგრო	100%	100%	200271482	უმოქმედო
შპს ვებ ტრეიდი	100%	100%	400178017	უმოქმედო
შპს კრწანისი 14	100%	100%	404561620	უმოქმედო
შპს როიალ კასპია	50%	50%	200255721	უმოქმედო
შპს ლაზი-ჰოლდინგი	67%	67%	419982308	უმოქმედო
შპს იბერთი	0%	50%	200109140	უმოქმედო
შპს ნუგეში	100%	100%	404865231	უმოქმედო
შპს ნიკორა 1	100%	100%	200178155	უმოქმედო
შპს ფუდ ენდ დრინქ	100%	100%	204514515	უმოქმედო

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

ჯგუფის შემოკლებული კონსოლიდირებული შუალედური (ნახევარი წლის) ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბასს 34 - შუალედური ფინანსური ანგარიშგების მიხედვით და განხილული უნდა იქნას ჯგუფის 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად.

წინამდებარე შემოკლებული კონსოლიდირებული შუალედური ფინანსური ანგარიშგება არ მოიცავს ყველა იმ ინფორმაციას, რომელიც საჭიროა ფასს ფინანსური ანგარიშგების სრული ნაკრებისთვის. თუმცა, მასში შეტანილია კონკრეტული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები იმ მოვლენებისა და გარიგებების ასახსნელად, რომლებიც მნიშვნელოვანია უკანასკნელი წლიური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შემდეგ ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის და შედეგების ცვლილებების გასაგებად.



3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

წინამდებარე შემოკლებული კონსოლიდირებული შუალედური ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობისგან მოითხოვს ისეთ მსჯელობებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებაზე და აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების წარდგენილ ოდენობებზე. რეალური შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისაგან.

შეფასებების და ძირითადი დაშვებების გადახედვა ხორციელდება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპის საფუძველზე. სააღრიცხვო შეფასებების გადახედვის შედეგები აღიარდება იმ პერიოდში, რომელშიც მოხდა მათი გადახედვა და ასევე ნებისმიერ შემდგომ პერიოდში, რომელზედაც მათ ექნებათ გავლენა.

ხელმძღვანელობის მიერ ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებისას გაკეთებული მნიშვნელოვანი შეფასებები და დაშვებები არის იგივე, რაც გამოყენებული იყო უკანასკნელ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის.

საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი“), რომელიც წარმოადგენს ჯგუფის საწარმოების სამუშაო ვალუტას. მოცემული შემოკლებული კონსოლიდირებული შუალედური ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები თავიდან ჯგუფის კომპანიების მიერ აღირიცხება მათ შესაბამის სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება ოპერაციის აღიარების დღეს არსებული სპოტ გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ხდება ანგარიშგების დღეს არსებული სამუშაო ვალუტის სპოტ გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსები იყო შემდეგი:

	დოლარი	ევრო
2024 წლის 30 ივნისისთვის	2.8101	3.0082
2024 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8068	2.9306
2025 წლის 30 ივნისისთვის	2.7236	3.1882

დე-ფაქტო კონტროლის შეფასება

დე-ფაქტო კონტროლი არსებობს სიტუაციებში, როდესაც კომპანიას აქვს პრაქტიკული უნარი წარმართოს ინვესტიციის შესაბამისი საქმიანობა ხმის მიცემის უფლების უმრავლესობის გარეშე. იმის დასადგენად, არსებობს თუ არა დე ფაქტო კონტროლი, კომპანია ითვალისწინებს ყველა შესაბამის ფაქტს და გარემოებას. წარსული გამოცდილება და არსებული გარემოებები, რომელსაც ეფუძნება მსჯელობა დე-ფაქტო კონტროლის იდენტიფიცირებისას შესაძლებელია განსხვავდებოდეს მომავალში მოვლენათა ისეთი განვითარებისგან, რაც განაპირობებს დე-ფაქტო კონტროლის დაკარგვას.

ცხრილი გვიჩვენებს შვილობილ კომპანიებს, რომელზეც კომპანია ახორციელებს დე-ფაქტო კონტროლს.

დასახელება	30.06.2025	31.12.2024	საქმიანობის სფერო
შპს მილა საქართველო	50%	50%	ვაჭრობა
შპს შპს რეფ ელ	50%	50%	უძრავი ქონება
შპს ნიკორა ბაკურიანი	50%	50%	უძრავი ქონება

ხელმძღვანელობამ დაადგინა, რომ კომპანიას აქვს პრაქტიკული უნარი ცალმხრივად მართოს ზემოთ მოცემული კომპანიების მნიშვნელოვანი საქმიანობა და ისინი დააიდენტიფიცირა, როგორც შვილობილი კომპანიები. დე-ფაქტო კონტროლის იდენტიფიცირების განმსაზღვრელ ფაქტორებს წარმოადგენს წარსული გადაწყვეტილებების პრაქტიკა და ფინანსებზე ხელმისაწვდომობა.



4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

ჯგუფის ოპერაციებისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია:

- საკრედიტო რისკი
- საპროცენტო რისკი
- უცხოური ვალუტის რისკი
- ლიკვიდურობის რისკი

სხვა საქმიანობებთან ერთად ჯგუფი დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილი რისკების წინაშე. ეს განმარტებითი შენიშვნა აღწერს ჯგუფის მიზნებს, პოლიტიკებსა და პროცედურებს რისკების მართვისათვის და რისკების შეფასების მეთოდებს. ამ რისკებთან დაკავშირებული დამატებითი რაოდენობრივი ინფორმაცია წარმოდგენილია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები

ჯგუფის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს მიღებულ სესხებს და ობლიგაციებს, საიჯარო ვალდებულებებსა და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. ამ ფინანსური ინსტრუმენტების მთავარი მიზანია ჯგუფის ფინანსური უზრუნველყოფა. ჯგუფს გააჩნია ისეთი ფინანსური აქტივები, როგორიცაა სხვა ფინანსური აქტივები, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, ფული და ფულის ეკვივალენტები. ჯგუფის ყველა ფინანსურ აქტივი გაერთიანებულია ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებში. ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს ფინანსური ინსტრუმენტების ძირითად კატეგორიებს.

ფინანსური აქტივები	30.06.2025	31.12.2024
გაცემული სესხები	-	-
წმინდა სავაჭრო მოთხოვნები	27,879	36,601
ფული და ფულის ეკვივალენტები	33,273	21,640
სულ ფინანსური აქტივები	61,152	58,241
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	188,052	201,780
საიჯარო ვალდებულებები	152,672	163,301
სესხები და ობლიგაციები	221,458	207,058
სულ ფინანსური ვალდებულებები	562,182	572,139

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო. ჯგუფს გააჩნია უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გარკვეული ოპერაციები. ჯგუფი არ იყენებს არანაირ წარმოებულ ინსტრუმენტებს სავალუტო რისკის მართვისთვის.

ჯგუფი სავალუტო რისკის მგრძნობელობას ანგარიშობს შესაბამისი უცხოური ვალუტების ლართან მიმართებაში 20%-ით გაზრდაზე და შემცირებაზე. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოხატულ დაუფარავ ფულად მუხლებს და აკორექტირებს მათ გადაფასებას პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილების მიხედვით. ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებას.



სს“ნიკორა”-ს შემოკლებული შუალედური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული ექვსი თვისთვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	30.06.2025		31.12.2024	
	აშშ დოლარი	ევრო	აშშ დოლარი	ევრო
ფინანსური აქტივები				
წმინდა სავაჭრო მოთხოვნები	3,445	1,415	4,803	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	121	163	66	1
სულ ფინანსური აქტივები	3,566	1,578	4,869	1
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9,150	8,083	8,154	3,506
საიჯარო ვალდებულებები	139,812	65	149,546	70
სესხები და ობლიგაციები	29,090	33,822	32,587	19,431
სულ ფინანსური ვალდებულებები	178,052	41,970	190,287	23,007
წმინდა სავალუტო პოზიცია	(174,486)	(40,392)	(185,418)	(23,006)

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს უცხოური ვალუტის მიმართ მგრძნობელობას:

	აშშ დოლარი/ლარი +20%	აშშ დოლარი/ლარი -20%	ევრო/ლარი +20%	ევრო/ლარი - 20%
მოგება/(ზარალი) 30.06.2025	(34,897)	34,897	(8,078)	8,078
მოგება/(ზარალი) 31.12.2024	(37,084)	37,084	(4,601)	4,601

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე. ჯგუფი დგას საპროცენტო რისკის წინაშე, რადგანაც ჯგუფს გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე მიღებული სესხები და ობლიგაციები.

ქვემოთ წარმოდგენილი მგრძნობელობის ანალიზი ჩატარდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის არაწარმოებული ინსტრუმენტების საპროცენტო განაკვეთების მიმართ არსებული რისკის საფუძველზე. ცვლილებადი განაკვეთის ვალდებულებების შემთხვევაში, ანალიზი მომზადდა იმის დაშვებით, რომ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის დაუფარავი ვალდებულების თანხა მთელი წლის განმავლობაში დაუფარავი იყო. 100 საბაზისო ერთეულის გაზრდა (100 საბაზისო ერთეული შეესაბამება 1 პროცენტთან ცვლილებას) ან შემცირება ხდება საპროცენტო განაკვეთის რისკის შიდა ანგარიშგებისას უმაღლესი რგოლის ხელმძღვანელობისთვის და წარმოადგენს ხელმძღვანელობის მიერ საპროცენტო განაკვეთების შესაძლო ცვლილების შეფასებას, გონივრულობის ფარგლებში.

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს საპროცენტო განაკვეთის მგრძნობელობას 2025 წლის ივნისის და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	6 თვე 2025		2024	
	ზრდა 100 საბაზისო პუნქტით	შემცირება 100 საბაზისო პუნქტით	ზრდა 100 საბაზისო პუნქტით	შემცირება 100 საბაზისო პუნქტით
მოგება/(ზარალი)	(2,206)	2,206	(2,060)	2,060

მგრძნობელობის ანალიზის შეზღუდვა. ზემოთ მოცემული ცხრილი ასახავს ერთი ცვლადის ცვლილებას იმ დაშვებით, რომ სხვა ცვლადები დარჩება უცვლელი. რეალურად, ცვლადები ერთმანეთთან კორელაციურ კავშირშია და ერთი ცვლადის ცვლილება გავლენას ახდენს სხვა დანარჩენზე. ცვლადებს შორის ურთიერთობა არ არის წრფივი და მცირე ან დიდი ცვლილება შეიძლება არ იყოს გამოსადეგი შედეგების ექსტრაპოლაციისთვის. მოცემული მგრძნობელობის ანალიზი დამატებით შეზღუდულია იმით, რომ დაშვება არის ჰიპოთეტური პოტენციური რისკის დემონსტრაციისთვის და წარმოადგენს ჯგუფის მოსაზრებას ბაზრის შესაძლო ცვლილებაზე.



რეალურად ბაზრის სამომავლო ცვლილება შეუძლებელია წინასწარ განისაზღვროს.

მგრძნობელობის ანალიზი არ ითვალისწინებს იმ ფაქტს რომ ჯგუფის აქტივები და ვალდებულებები იმართება აქტიურად. შესაბამისად, ჯგუფის ფინანსური მდგომარეობა შეიძლება იყოს განსხვავებული საბაზრო ფაქტორების ცვლილებების დროს. ჯგუფის ფინანსური რისკის მართვის პოლიტიკის მიზანია გაუმკლავდეს ბაზარზე არასასურველი ცვლილების ეფექტს.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. ჯგუფის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. ჯგუფის საკრედიტო რისკი, ძირითადად განპირობებულია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებიდან, სხვა ფინანსური აქტივებიდან და ფული და ფულის ეკვივალენტებიდან (გარდა ნაღდი ფულისა).

ჯგუფი საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ცალკეული კონტრაგენტის კრედიტუნარიანობის საფუძვლიან ანალიზს, კონტრაგენტის დიდალი დავალიანების თავიდან აცილებას, ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის მკაცრ კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას.

საკრედიტო რისკის მონიტორინგის მიზნით, ჯგუფი მომხმარებლებს აერთიანებს მათი ვადაგადაცილების სტატუსის მიხედვით. საკრედიტო რისკის სამართავად ჯგუფი განიხილავს შემდეგ ფაქტორებს: მომხმარებელი იურიდიული პირია თუ ფიზიკური, ბითუმად მოვაჭრეა თუ საცალოდ, მომხმარებლების გეოგრაფიულ განაწილებასა და წარსულში ფინანსური სიძნელების არსებობას. მაღალ რისკიანი მომხმარებლები გაერთიანებულია შეზღუდულ მომხმარებელთა ჯგუფში და მათზე რეალიზაცია ხორციელდება წინასწარი ანაზღაურების საფუძველზე. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს.

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობას.

	30.06.2025	31.12.2024
სხვა ფინანსური აქტივები	-	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	27,879	36,601
ფული და ფულის ეკვივალენტები გარდა ნაღდი ფულისა	31,892	19,909
სულ	59,771	56,510

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს სესხების გასტუმრება და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის ხელმძღვანელობა ახორციელებს სისტემატურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია ფინანსური ვალდებულებების კატეგორიების ლიკვიდურობის ანალიზი იმისდა მიხედვით, თუ როდის არის მოსალოდნელი მათი დაფარვა. ამ ცხრილებში წარმოდგენილი თანხები შესაძლოა არ შეესაბამებოდეს ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში აღრიცხულ თანხებს, რადგან ქვემოთ წარმოდგენილი ინფორმაცია მოიცავს ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზს, რაც უთითებს ხელშეკრულების მიხედვით დარჩენილ მთლიან დაუდისკონტრირებელ გადახდებს საპროცენტო დავალიანების ჩათვლით. იმის გათვალისწინებით, რომ ჯგუფს აქვს ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მატარებელი სესხები და ობლიგაციები, მომავალში გადასახდელი ფულადი ნაკადები გაანგარიშებულია საანგარიშგებო წლის ბოლოს დაფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. ქვემოთ მოცემულ ცხრილში გვიჩვენებს ლიკვიდურობის ანალიზს.

	6 თვეზე ნაკლები	6 თვიდან 1 წლამდე	1 - 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	201,780	-	-	-	201,780
საიჯარო ვალდებულებები	25,787	24,355	132,084	33,504	215,730
სესხები და ობლიგაციები	33,756	51,059	165,960	19,806	270,581
სულ 31.12.2024	261,323	75,414	298,044	53,310	688,091



სს“ნიკორა”-ს შემოკლებული შუალედური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული ექვსი თვისთვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	6 თვეზე ნაკლები	6 თვიდან 1 წლამდე	1 - 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	188,052	-	-	-	188,052
საიჯარო ვალდებულებები	24,109	22,770	123,487	31,323	201,689
სესხები და ობლიგაციები	70,604	12,512	147,358	26,973	257,447
სულ 30.06.2025	282,765	35,282	270,845	58,296	647,188

5. ინფორმაცია სეგმენტების შესახებ

ჯგუფი განმარტავს ინფორმაციას სეგმენტების შესახებ, რადგან ჯგუფს განათავსებული აქვს ობლიგაციები საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზარზე.

პროდუქციისა და მომსახურების ტიპების აღწერა, საიდანაც თითოეული საანგარიშო სეგმენტი იღებს თავის შემოსავალს

ჯგუფს აქვს სამი სეგმენტი:

(ა) საცალო გაყიდვები - სეგმენტი მონაწილეობს საცალო გაყიდვების ბაზარზე და „ნიკორას“, „ლიბრეს“ და „ნუგეშის“ ბრენდის მაღაზიათა ქსელის საშუალებით მომხმარებლებს სთავაზობს საკვები და არასაკვები პროდუქციის ფართო ასორტიმენტს. საცალო ვაჭრობა ჯგუფის ბიზნესის უდიდეს ნაწილს შეადგენს, რაც ქმნის ჯგუფის გარე მომხმარებლებიდან მიღებული ამონაგების 89.12%-ს (2024 – 89.86%).

(ბ) წარმოება - სეგმენტი მონაწილეობს ხორცპროდუქტების, პურპროდუქტების, რძის პროდუქტის, ზღვის პროდუქტებისა და ნახევარფაბრიკატების წარმოებაში. პროდუქციის მიწოდება ხორციელდება როგორც საკუთარი საცალო გაყიდვების ქსელის, ასევე გარე მომხმარებელზე საბითუმო რეალიზაციის საშუალებით. ჯგუფში საოპერაციო გადაწყვეტილებების მიმღები მთავარი პირი აღნიშნულ სეგმენტს განიხილავს ჯგუფისთვის სტრატეგიული მნიშვნელობის სეგმენტად და იმედოვნებს, რომ სეგმენტი მომავალში მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ჯგუფის შიდა და გარე მომხმარებლების მომარაგებას საქართველოში წარმოებული პროდუქციით. საანგარიშგებო პერიოდში აღნიშნული სეგმენტი ქმნის ჯგუფის გარე მომხმარებლებიდან მიღებული ამონაგების 2.09%-ს (2024 – 3.17%).

გ) იმპორტი და დისტრიბუცია - სეგმენტის საქმიანობას წარმოადგენს სხვადასხვა ასორტიმენტის პროდუქციის იმპორტი საქართველოში და დისტრიბუცია, როგორც ჯგუფის შიგნით ასევე გარე მომხმარებლებზე. სეგმენტი ახორციელებს საკვები პროდუქციის წარმოებისთვის საჭირო ნედლეულის, საკვები, სასმელი და არასაკვები პროდუქციის იმპორტირებას და საბითუმო რეალიზაციას. ჯგუფში საოპერაციო გადაწყვეტილებების მიმღები მთავარი პირი აღნიშნულ სეგმენტს განიხილავს ჯგუფისთვის სტრატეგიული მნიშვნელობის სეგმენტად და იმედოვნებს, რომ სეგმენტი მომავალში მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ჯგუფის შიდა და გარე მომხმარებლების მომარაგებას ნედლეულით და პროდუქციით. საანგარიშგებო პერიოდში აღნიშნული სეგმენტი ქმნის ჯგუფის გარე მომხმარებლებიდან მიღებული ამონაგების 8.57%-ს (2024 – 6.77%).

სხვა სეგმენტში შედის სოფლის მეურნეობის საქმიანობა და დეველოპერული საქმიანობა. სასოფლო სამეურნეო საქმიანობის მიმართულებით ჯგუფი ფლობს თევზსაშენს და ახორციელებს კალმახის მიწოდებას როგორც ჯგუფის შიგნით, ასევე გარე მომხმარებლებზე. დამატებით, ჯგუფი ფლობს ვენახებს, რომლის საშუალებით მომხმარებელს აწვდის სოფლის მეურნეობის პროდუქტს ყურძნის სახით. დეველოპერული მიმართულება მოიცავს დაბა ბაკურიანში კომპლექსის მშენებლობას, რაც გამიზნულია საცხოვრებელი და კომერციული ფართების მიწოდებისთვის. სეგმენტის მთლიანი აქტივები მიღებული ამონაგები და საქმიანობის წმინდა შედეგი ჯგუფის შედარებით მცირე ნაწილს შეადგენს და არ აკმაყოფილებს საანგარიშგებო სეგმენტის რაოდენობრივი ზღვრების კრიტერიუმებიდან არცერთს.



ფაქტორები, რომელსაც ხელმძღვანელობა იყენებდა ჯგუფის საანგარიშგებო სეგმენტების დასადგენად

ჯგუფის საანგარიშგებო სეგმენტები წარმოადგენს სტრატეგიულ ბიზნეს ერთეულებს, რომლებიც მოხმარებლებს სთავაზობენ სხვადასხვა პროდუქტსა და მომსახურებას. მათი მართვა ცალკე ხდება, რადგან თითოეული ბიზნესი მოითხოვს სხვადასხვა ტექნოლოგიასა და მარკეტინგულ სტრატეგიას.

ჯგუფი იყენებს რაოდენობრივი ზღვრების ტესტს საანგარიშგებო სეგმენტის იდენტიფიცირებისთვის. ჯგუფის მიერ იდენტიფიცირებული თითოეული საანგარიშგებო სეგმენტი ფლობს სეგმენტების გაერთიანებული აქტივების, ამონაგების ან საქმიანობის წმინდა შედეგის 10%-ზე მეტს.

ხელმძღვანელობა ახორციელებს სეგმენტების აგრეგირებას, რომელთაც მსგავსი ეკონომიკური მახასიათებლები აქვთ და ეს სეგმენტები მსგავსია თითოეული ქვემოთ ჩამოთვლილი ასპექტის მიხედვით:

- ა) პროდუქციისა და მომსახურების ხასიათი;
- ბ) მარეგულირებელი გარემოს ხასიათი ბ) საწარმოო პროცესების ხასიათი;
- გ) პროდუქციისა და მომსახურების მომხმარებლების ტიპი ან კატეგორია;
- დ) პროდუქციის განაწილების ან მომსახურების გასაწევად გამოყენებული მეთოდები;
- ე) მარეგულირებელი გარემოს ხასიათი.

ხელმძღვანელობამ განახორციელა შემდეგი სეგმენტების აგრეგირება:

- წარმოება, რომელიც მოიცავს სხვადასხვა კომპონენტის საშუალებით საკვები პროდუქტებისა და ნახევარფაბრიკატების წარმოებას;
- იმპორტი და დისტრიბუცია, რომელიც მოიცავს სხვადასხვა კომპონენტის საშუალებით პროდუქციის ფართო ასორტიმენტის შემოტანასა და საბითუმო მიწოდებას.

საოპერაციო სეგმენტების შესახებ ანგარიშგება ხორციელდება საოპერაციო გადაწყვეტილების მიმღები მთავარი პირისთვის მიწოდებული შიდა ანგარიშგების შესაბამისად. საოპერაციო გადაწყვეტილების მიმღებ მთავარ პირს წარმოადგენს მშობელი საწარმოს გენერალური დირექტორი.

საოპერაციო სეგმენტის მოგების ან ზარალის შეფასება

ჯგუფი აფასებს სეგმენტურ საქმიანობას ფასს-ის შესაბამისად გაანგარიშებული ოპერაციიდან მიღებული მოგების ან ზარალის საფუძველზე. სეგმენტის საქმიანობის შედეგების შეფასებისთვის ჯგუფი სეგმენტზე არ ანაწილებს მშობელი საწარმოს შემდეგ შემოსავლებს და ხარჯებს:

- სხვა არაგანმეორებითი შემოსავალი და ხარჯი;
- ჯგუფის გარე მხარისგან მიღებული ფინანსური შემოსავალი;
- წმინდა ფინანსური ხარჯები: ფინანსურ ხარჯებს გამოკლებული შიდაჯგუფური ფინანსური შემოსავალი;
- ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან;
- სხვა საერთო ხარჯი;
- მოგების გადასახადის ხარჯი.

ჯგუფის სეგმენტების აქტივები განლაგებულია საქართველოში. ამიტომ ჯგუფი არ გაშიფრავს ინფორმაციას აქტივების გეოგრაფიული განაწილების შესახებ. სეგმენტის აქტივები და ვალდებულებები გამორიცხავს სათაო ოფისის გარე ოპერაციებიდან წარმოქმნილ აქტივებს და ვალდებულებებს. მშობელი საწარმოს ბალანსზე არსებული საინვესტიციო ქონება გადანაწილებულია იმ სეგმენტზე, რომელი სეგმენტი იყენებს აღნიშნულ ქონებას ჯგუფის დონეზე. სათაო საწარმოს ბალანსზე არსებული სასესხო ვალდებულებები და ობლიგაციები გადანაწილებულია სეგმენტზე ჯგუფის შიგნით მათზე გაცემული სესხების შესაბამისად.

სეგმენტის მოგების ან ზარალის, სეგმენტის აქტივებისა და ვალდებულებების შეფასებები, საანგარიშგებო სეგმენტებს შორის შესრულებული ოპერაციების ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდი არ განსხვავდება ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკისგან.



სს“ნიკორა”-ს შემოკლებული შუალედური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული ექვსი თვისთვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ცხრილი გვიჩვენებს სეგმენტების საქმიანობის შედეგებს და მათ შეეჯერებას ჯგუფის მაჩვენებლებთან:

	საცალო რეალიზაცია	წარმოე ბა	იმპორტი და დისტრიბუც ია	სხვა	სულ სეგმენტი	მიკუთვნ ების გარეშე	ელიმინაცია	6 თვე 2025
ამონაგები	685,694	111,711	250,840	6,238	1,054,483	1,162	(297,923)	757,722
გაყიდვების თვითღირებულება	(526,234)	(73,118)	(199,520)	(4,053)	(802,925)	-	252,820	(550,105)
საერთო მოგება	159,460	38,593	51,320	2,185	251,558	1,162	(45,103)	207,617
სხვა შემოსავალი	860	(317)	326	(6)	863	1,223	(1,191)	895
გაყიდვების და მიწოდების ხარჯები	(143,155)	(29,952)	(40,730)	(1,396)	(215,233)	(2,523)	53,390	(164,366)
ადმინისტრაციული ხარჯები	(11,786)	(3,017)	(905)	(508)	(16,216)	(361)	(8,901)	(25,478)
სხვა მოგება/(ზარალი) ნეტო	500	119	(72)	5	552	(4,908)	5,900	1,544
ფინანსური შემოსავალი	968	-	-	-	968	-	(498)	470
ფინანსური ხარჯები	(11,015)	(2,664)	(1,409)	(284)	(15,372)	(1,917)	899	(16,390)
მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან ნეტო	4,178	(1,530)	(1,239)	(314)	1,095	579	141	1,815
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	10	1,232	7,291	(318)	8,215	(6,745)	4,637	6,107
მოგების გადასახადის ხარჯი	-	-	-	-	-	(1,298)	-	(1,298)
პერიოდის მოგება/(ზარალი)	10	1,232	7,291	(318)	8,215	(8,043)	4,637	4,809

	საცალო რეალიზაცია	წარმოება	იმპორტი და დისტრიბუც ია	სხვა	სულ სეგმენტი	მიკუთვნე ლის გარეშე	ელიმინაცია	2024
ამონაგები	1,304,266	189,792	394,993	2,816	1,891,867	3	(440,824)	1,451,046
გაყიდვების თვითღირებულება	(973,635)	(147,986)	(347,059)	(2,365)	(1,471,045)	-	439,852	(1,031,193)
საერთო მოგება	330,631	41,806	47,934	451	420,822	3	(972)	419,853
სხვა შემოსავალი	1,330	11	68	663	2,072	-	(588)	1,484
გაყიდვების და მიწოდების ხარჯები	(276,269)	(12,642)	(23,460)	-	(312,371)	-	4,898	(307,473)
ადმინისტრაციული ხარჯები	(22,314)	(11,748)	(6,952)	(722)	(41,736)	(3,042)	(1,564)	(46,342)
სხვა მოგება ნეტო	1,433	(24)	72	(13)	1,468	3,703	(1,320)	3,851
მეკავშირე კომპანიისგან მიღებული მოგების წილი	-	-	-	-	-	119	-	119
ფინანსური შემოსავალი	2,531	317	-	-	2,848	272	(1,528)	1,592
ფინანსური ხარჯები	(19,323)	(4,982)	(3,077)	(594)	(27,976)	(6,338)	4,895	(29,419)
ზარალი საკურსო სხვაობიდან ნეტო	(6,124)	(13)	(705)	(3)	(6,845)	(706)	-	(7,551)
მოგება დაბეგვრამდე	11,895	12,725	13,880	(218)	38,282	(5,989)	3,821	36,114
მოგების გადასახადის ხარჯი	(53)	-	-	-	(53)	(2,538)	-	(2,591)
მიმდინარე წლის მოგება	11,842	12,725	13,880	(218)	38,229	(8,527)	3,821	33,523



სს“ნიკორა”-ს შემოკლებული შუალედური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული ექვსი თვისთვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ცხრილი გვიჩვენებს სეგმენტების მთლიან აქტივებს და ვალდებულებებს:

	საგალო რეალიზაცია	წარმოება	იმპორტი და დისტრიბუცია	სხვა	სულ სეგმენტი	მიკუთვნების გარეშე	ელიმინაცია	30.06.2025
გრძელვადიანი აქტივები	352,262	84,135	15,545	22,905	474,847	122,541	(64,825)	532,563
მიმდინარე აქტივები	206,228	40,431	94,544	7,163	348,366	12,383	(86,097)	274,652
მთლიანი აქტივები	558,490	124,566	110,089	30,068	823,213	134,924	(150,922)	807,215
გრძელვადიანი ვალდებულებები	183,000	63,898	12,664	5,827	265,389	20,334	(18,141)	267,582
მოკლევადიანი ვალდებულებები	281,151	19,320	50,376	3,945	354,792	42,522	(82,291)	315,023
მთლიანი ვალდებულებები	464,151	83,218	63,040	9,772	620,181	62,856	(100,432)	582,605
წმინდა აქტივები	94,339	41,348	47,049	20,296	203,032	72,068	(50,490)	224,610

	საგალო რეალიზაცია	წარმოება	იმპორტი და დისტრიბუცია	სხვა	სულ სეგმენტი	მიკუთვნების გარეშე	ელიმინაცია	31.12.2024
გრძელვადიანი აქტივები	386,287	108,305	16,746	17,509	528,847	9,623	(8,333)	530,137
მოკლევადიანი აქტივები	203,767	37,735	91,013	1,305	333,820	8,251	(56,100)	285,971
მთლიანი აქტივები	590,054	146,040	107,759	18,814	862,667	17,874	(64,433)	816,108
გრძელვადიანი ვალდებულებები	192,066	51,865	7,656	3,217	254,804	23,626	(10,448)	267,982
მოკლევადიანი ვალდებულებები	259,512	27,575	54,774	2,587	344,448	46,323	(69,592)	321,179
მთლიანი ვალდებულებები	451,578	79,440	62,430	5,804	599,252	69,949	(80,040)	589,161
წმინდა აქტივები	138,476	66,600	45,329	13,010	263,415	(52,075)	15,607	226,947

ჯგუფი ძირითად მომხმარებლებად განსაზღვრავს იმ მომხმარებლებს, რომელთაგან მიღებული ამონაგები საანგარიშგებო პერიოდში უდრის ან აღემატება ჯგუფის ამონაგების 10%-ს. აღნიშნული კრიტერიუმის მიხედვით ჯგუფს არ ჰყავს ძირითადი მომხმარებლები.

6. ამონაგები

	6 თვე 2025	6 თვე 2024
საკვები	401,527	372,472
არასაკვები	284,167	250,100
სულ საგალო	685,694	622,572
საკვები	71,988	55,234
მომსახურების გაწევით მიღებული შემოსავალი	5	2
სხვა	35	23
სულ საბითუმო	72,028	55,259
სულ	757,722	677,831

ჯგუფის ამონაგები ფორმირდება მაღაზიებიდან პროდუქციის საგალო რეალიზების და წარმოება, იმპორტი დისტრიბუციიდან საბითუმო რეალიზაციის შედეგად. ამონაგები აღიარდება დროის კონკრეტულ მომენტში.

7. გაყიდვების თვითღირებულება

	6 თვე 2025	6 თვე 2024
გაყიდული პროდუქტი	(534,155)	(471,754)
დანაკლისი და ვადაგასული პროდუქტი	(15,950)	(9,247)
სულ	(550,105)	(481,001)



სს“ნიკორა”-ს შემოკლებული შუალედური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული ექვსი თვისთვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

8. სხვა შემოსავალი

	6 თვე 2025	6 თვე 2024
საიჯარო შემოსავალი	895	743
სულ	895	743

9. გაყიდვების და მიწოდების ხარჯები

	6 თვე 2025	6 თვე 2024
თანამშრომელთა ხელფასი	(82,528)	(76,351)
ცვეთა და ამორტიზაცია	(29,204)	(25,955)
კომუნალური ხარჯი	(13,945)	(13,566)
დისტრიბუცია	(6,507)	(6,245)
მარკეტინგის ხარჯი	(5,568)	(3,530)
იჯარა	(9,654)	(6,704)
რემონტი	(2,269)	(2,110)
სხვა	(14,691)	(8,743)
სულ	(164,366)	(143,204)

10. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	6 თვე 2025	6 თვე 2024
თანამშრომელთა ხელფასი	(13,830)	(12,795)
ცვეთა და ამორტიზაცია	(4,464)	(3,967)
საგადასახადო ხარჯი	(2,921)	(3,707)
საოფისე ხარჯი	(889)	(635)
კონსულტაცია და პროფესიული მომსახურება	(587)	(854)
მივლინების და წარმომადგენლობითი ხარჯები	(381)	(389)
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	(2,406)	(2,220)
სულ	(25,478)	(24,567)

11. სხვა მოგება/(ზარალი) ნეტო

	6 თვე 2025	6 თვე 2024
ბიოლოგიური აქტივების ტრანსფორმაციის ხარჯები	(737)	(924)
ბიოლოგიური აქტივების შეფასებული ღირებულება	737	924
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული მოგება	1,096	2,576
სხვა შემოსავალი/(ხარჯი)	448	(95)
სულ	1,544	2,481



სს“ნიკორა”-ს შემოკლებული შუალედური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული ექვსი თვისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

12. ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობები	დანადგარები აღჭურვილობა	საოფისე ინვენტარი	ქონების გაუმჯობესება	ტრანსპორტი	მრავალწლიანი ნარგავები	მიმდინარე შენებლობა	სულ
ისტორიული ღირებულება									
გადაფასება									
01.01.2024	51,187	57,733	129,434	53,042	41,339	17,849	477	14,556	365,617
შემოსვლა პროცენტების კაპიტალიზაციის ჩათვლით	18,260	12,264	23,475	10,368	10,859	7,900	21	29,204	112,351
შიდა მოძრაობა/რეკლასიფიკაცია	(13,692)	287	1,064	133	(1,039)	(1)	-	13,248	-
გასვლა	(3,387)	(13,958)	(4,178)	(285)	(191)	(2,484)	-	(75)	(24,558)
გადაფასება	3,078	1,742	-	-	-	-	-	902	5,722
31.12.2024	55,446	58,068	149,795	63,258	50,968	23,264	498	57,835	459,132
შემოსვლა პროცენტების კაპიტალიზაციის ჩათვლით	1	12,090	34,711	8,525	6,025	4,777	8	5,521	71,658
შიდა მოძრაობა/რეკლასიფიკაცია	-	45	80	(80)	-	-	-	(45)	-
გასვლა	(3,067)	(10,313)	(19,189)	(879)	(5,074)	(1,338)	(29)	(3,927)	(43,816)
30.06.2025	52,380	59,890	165,397	70,824	51,919	26,703	477	59,384	486,974
დაგროვილი ცვეთა									
01.01.2024	-	-	(70,860)	(31,121)	(17,697)	(8,214)	-	-	(127,892)
წლის ცვეთა	-	(1,420)	(16,407)	(7,787)	(6,214)	(3,201)	(42)	-	(35,071)
რეკლასი	-	-	(998)	-	998	-	-	-	-
გასვლა	-	149	3,535	149	22	1,818	-	-	5,673
გადაფასება	-	1,271	-	-	-	-	-	-	1,271
31.12.2024	-	-	(84,730)	(38,759)	(22,891)	(9,597)	(42)	-	(156,019)
ნახევარი წლის ცვეთა	-	(1,062)	(10,847)	(4,552)	(2,799)	(1,984)	(18)	-	(21,262)
რეკლასი	-	49	2,458	372	576	871	5	-	4,331
გასვლა	-	-	-	-	-	-	-	-	-
30.06.2025	-	(1,013)	(93,119)	(42,939)	(25,114)	(10,710)	(55)	-	(172,950)
საბალანსო ღირებულება									
01.01.2024	51,187	57,733	58,574	21,921	23,642	9,635	477	14,556	237,725
31.12.2024	55,446	58,068	65,065	24,499	28,077	13,667	456	57,835	303,113
30.06.2025	52,380	58,877	72,278	27,885	26,805	15,993	422	59,384	314,024

მიმდინარე შენებლობა მოიცავს 2021 წელს შესყიდულ მიწის ნაკვეთს თანხით 2,537 ლარი. ეს აქტივი გადმოცემული იყო სახელმწიფოსაგან შემდგომი საინვესტიციო ვალდებულების შესრულების პირობით უსასყიდლოდ. ამავე ოდენობით აღიარებულია უსასყიდლოდ გადმოცემულ აქტივთან დაკავშირებული გადავადებულ საგრანტო შემოსავალი. საინვესტიციო ვალდებულება განისაზღვრება 14,485 ათასი ლარის ოდენობით, ამასთანავე ამ აქტივთან დაკავშირებით საწარმომ უნდა შეასრულოს გარკვეული არაფინანსური ვალდებულება - წარმოების დაწყება 2025 წლის 30 მარტს და წარმოების დაწყებიდან მომავალ 5 წლის განმავლობაში შეინარჩუნოს საქმიანობის პროფილი. გადავადებული შემოსავალი და აქტივი შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საინვესტიციო ფინანსური ვალდებულების შესრულება დასრულებულია.

2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით ქვემოთ ცხრილში მოცემული აქტივები წარმოადგენს ჯგუფის მიერ აღებული სესხების უზრუნველყოფას.

	მიწა	შენობები	დანადგარები აღჭურვილობა	საოფისე ინვენტარი	ქონების გაუმჯობესება	ტრანსპორტი	მრავალწლიანი ნარგავები	მიმდინარე შენებლობა	სულ
საბალანსო ღირებულება									
30.06.2025	17,578	39,106	72,278	27,885	26,805	15,993	422	59,384	259,451



სს“ნიკორა”-ს შემოკლებული შუალედური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული ექვსი თვისთვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

13. აქტივების გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები

საიჯარო ხელშეკრულებები მოიცავს საოპერაციო საქმიანობისთვის განკუთვნილი მაღაზიების და სასაწყობო ფართების იჯარას. იჯარის სახელშეკრულებო პერიოდი მოიცავს 2-12 წლამდე პერიოდს. ხელმძღვანელობა გონივრულად ვარაუდობს გაგრძელების უფლების გამოყენებას იმ ფართების შემთხვევაში, რომელიც ჯგუფისთვის ეკონომიკური სარგებლის მომტანია და მოქმედებს წარსული გამოცდილების საფუძველზე. ჯგუფი იჯარის ვადას გადახედავს ყოველი პერიოდის ბოლოს და მსჯელობის საფუძველზე აფასებს იჯარის დარჩენილ ვადას. იჯარის გაგრძელების უფლება გამყარებულია მიღებული საქმიანი პრაქტიკით.

ჯგუფს არ გააჩნია იჯარის ხელშეკრულებების მსგავსი პირობებით მიღებული სესხები მიმდინარე ან შესადარის პერიოდში. სესხის პროცენტის განსაზღვრისთვის გამოიყენა დაკვირვებადი საბაზრო მონაცემები მსგავსი სექტორისთვის. ზღვრული სასესხო განაკვეთი შეადგენს 11.21 % - 14.00 % ლარში დადებული ხელშეკრულებების შემთხვევაში, ხოლო დოლარის ხელშეკრულებების შემთხვევაში 7.00% - 9.00%.

ცხრილი გვიჩვენებს აქტივების გამოყენების უფლების მოძრაობას.

	6 თვე 2025	2024
1 იანვარი	160,974	146,552
შემოსვლა	7,771	41,489
ცვეთა	(14,730)	(30,645)
იჯარის პირობებში მოდიფიკაციის ეფექტი	1,758	4,846
შეწყვეტა	(460)	(1,268)
ნაშთი პერიოდის ბოლოს	155,313	160,974

ცხრილი გვიჩვენებს საიჯარო ვალდებულების მოძრაობას:

	6 თვე 2025	2024
1 იანვარი	163,301	143,700
შემოსვლა	7,771	41,489
საპროცენტო ხარჯი.	6,692	13,033
გადახდა	(21,726)	(44,562)
კურსთაშორის სხვაობის ეფექტი.	(4,400)	6,054
იჯარის პირობებში მოდიფიკაციის ეფექტი	1,758	4,846
შეწყვეტა	(724)	(1,259)
ნაშთი პერიოდის ბოლოს	152,672	163,301

14. არამატერიალური აქტივები

	პროგრამები	პროგრამები დანერგვის ეტაპზე	სხვა	სულ
ისტორიული ღირებულება				
01.01.2024	3,973	6,224	774	10,971
შემოსვლა	572	3,460	330	4,362
გასვლა/ჩამოწერა	-	-	(314)	(314)
31.12.2024	4,545	9,684	790	15,019
შემოსვლა	1,989	102	34	2,125
30.06.2025	6,534	9,786	824	17,144
დაგროვილი ამორტიზაცია				
01.01.2024	(3,420)	-	(465)	(3,885)
ამორტიზაცია	(521)	-	(173)	(694)
გასვლა/ჩამოწერა	-	-	314	314
31.12.2024	(3,941)	-	(324)	(4,265)
ამორტიზაცია	(95)	-	(29)	(124)
30.06.2025	(4,036)	-	(353)	(4,389)
საბალანსო ღირებულება				
01.01.2024	553	6,224	309	7,086
31.12.2024	604	9,684	466	10,754
30.06.2025	2,498	9,786	471	12,755



სს“ნიკორა”-ს შემოკლებული შუალედური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული ექვსი თვისთვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

15. ბიოლოგიური აქტივები

	თევზი
01.01.2024	1,361
ბიოლოგიური ტრანსფორმაცია	2,082
მოხმარების შედეგად მიღებულ შემცირება	(2,235)
31.12.2024	1,208
ბიოლოგიური ტრანსფორმაცია	737
მოხმარების შედეგად მიღებულ შემცირება	(839)
30.06.2025	1,106

თევზი - ჯგუფი ფლობს საკალმახეს, რისი საშუალებითაც ახორციელებს კალმახის მოშენებას და მიწოდებას ბაზრისთვის. თევზი შეფასებულია გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებით. რეალური ღირებულების შეფასებისთვის გამოყენებულია დაკვირვებადი საბაზრო ოპერაციები. გაყიდვის დანახარჯების განსაზღვრისთვის ჯგუფი იყენებს ინფორმაციის შიდა და გარე წყაროებს. აღნიშნული აქტივები წარმოადგენს მოხმარებისათვის განკუთვნილ ბიოლოგიურ აქტივებს, რაც გულისხმობს, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქციის სახით ნაყოფად უნდა იქნეს მიღებული. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს თევზის მარაგის შეფასებული სიდიდე შეადგენს 86 ტონას. (2024: 99 ტონა). თევზის წარმოების ციკლი მერყეობს ნოლიდან 2 წლამდე პერიოდში.

საანგარიშგებო პერიოდში ჯგუფმა ბიოლოგიური ტრანსფორმაციის შედეგად აღიარა შემოსავალი 737 ათასი ლარი (2024: 2,082 ათასი), რომელიც წარდგენილია სხვა შემოსავლის მუხლში. მოხმარების შედეგად მიღებული შემცირება წარმოადგენს სოფლის მეურნეობის პროდუქციის სახით ნაყოფად მიღებულ სიდიდეს.

2025 წლის 30 ივნისის და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბიოლოგიური აქტივები წარმოადგენენ ჯგუფის მიერ აღებული სესხების უზრუნველყოფას.

16. მარაგები

	30.06.2025	31.12.2024
საქონელი	183,229	190,745
დაუმთავრებელი წარმოება	1,033	1,231
ნედლეული და სხვა მარაგები	15,646	20,003
სულ	199,908	211,979

2025 წლის 30 ივნისის და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მარაგები წარმოადგენდა ჯგუფის მიერ აღებული სესხების უზრუნველყოფას.

17. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	30.06.2025	31.12.2024
სავაჭრო მოთხოვნები	28,330	37,052
გაუფასურების რეზერვი	(451)	(451)
წმინდა ფინანსური აქტივები	27,879	36,601
სხვა ავანსები	6,901	11,300
ავანსად გადახდილი დივიდენდები	-	199
მოთხოვნა შვილობილი კომპანიის კაპიტალის შევსებაზე - უმცირესობის წილი	200	200
შვილობილი კომპანიის წილის გაყიდვიდან მისაღები თანხები	50	370
გაუფასურების რეზერვი ავანსებზე	(72)	(72)
წინასწარ გადახდილი გადასახადები	6,466	3,700
სხვა მოთხოვნები	47	54
წმინდა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	41,471	52,352

2025 წლის 30 ივნისის და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო მოთხოვნები სრულად წარმოადგენს მიღებული სესხების უზრუნველყოფას.



სს“ნიკონა”-ს შემოკლებული შუალედური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული ექვსი თვისთის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

18. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	30.06.2025	31.12.2024
ფული საბანკო ანგარიშზე ეროვნულ ვალუტაში	31,614	19,830
ფული საბანკო ანგარიშზე უცხოურ ვალუტაში	278	79
შეზღუდული ფული	-	-
ნაღდი ფული	1,381	1,731
სულ	33,273	21,640

19. სააქციო კაპიტალი

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს ინფორმაციას ჩვეულებრივი აქციების შესახებ.

ჩვეულებრივი სააქციო კაპიტალი	ხმის უფლება		რაოდენობა ცალკეობით/ღირებულება ლარებში	
	30.06.2025	31.12.2024	30.06.2025	31.12.2024
სუბიაშვილი ვასილ	25%	25%	1,488,235	1,488,235
გუბანოვი ოლეგ	11%	11%	647,057	647,057
დუმბაძე დავით	11%	11%	679,413	679,413
ცირეკიძე თალიკო	10%	10%	582,353	582,353
სალუქვაძე მაკა	6%	6%	388,236	388,236
ცერცვაძე გურამ	5%	5%	323,529	323,529
ნიკოლაიშვილი ირაკლი	3%	3%	177,942	177,942
ნიკა სუბიაშვილი	1%	1%	71,177	71,177
სოფიო სუბიაშვილი	1%	1%	71,177	71,177
ტარადინი დემენტი	2%	2%	129,412	129,412
GREENMOON LTD	14%	14%	860,580	860,580
ეკატერინა გუბანოვა	2%	2%	129,412	129,412
ოლგა გუბანოვა	2%	2%	129,412	129,412
ქსენია გუბანოვა	2%	2%	129,412	129,412
ანტონ ნიკოლაიშვილი	1%	1%	58,235	58,235
რუსუდან ჯერენაშვილი	1%	1%	58,235	58,235
თამარ ჯერენაშვილი	2%	2%	129,412	129,412
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0%	0%	417,359	417,359
სულ	100%	100%	6,470,588	6,470,588

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს ინფორმაციას კომპანიის პრივილეგირებული აქციების შესახებ:

პრივილეგირებული სააქციო კაპიტალი	რაოდენობა		ღირებულება	
	30.06.2025	31.12.2024	30.06.2025	31.12.2024
ანდრეი ისაევი	78	78	12,248	12,248
Pelicans venture corp	20	20	2,692	2,692
სს გალთ ენდ თაგარტი (ნომინალური მფლობელი)	3	3	365	365
მაზიაშვილი არჩილ	6	6	498	498
ფიჩხაია თამარ	4	4	485	485
ვაჩნაძე გიორგი	13	13	1,602	1,602
ცერცვაძე გურამ	3	3	365	365
ჯანჯღავა ივანე	1	1	83	83
ნარეშელაშვილი ირაკლი	1	1	117	117
კიკნაძე ნოდარი	1	1	125	125
გვაზავა ოთარი	1	1	119	119
ნიჟარაძე ტარას	10	10	1,430	1,430
ტიხონოვა დარია	1	1	140	140
პანასიუკ კატერინა	1	1	135	135
პანასიუკ ოლეგსანდრ	2	2	269	269
ყაველაშვილი თამარ	4	4	536	536
გუბანოვი ოლეგი	8	8	1,089	1,089
ტარადინი დემენტი	3	3	404	404
სულ	160	160	22,702	22,702



სს“ნიკორა”-ს შემოკლებული შუალედური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული ექვსი თვისთვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

სს “ნიკორას” სააქციო კაპიტალი 2025 წლის 30 ივნისისთვის მოიცავს 6,471 ათას ცალ (2024: 6,471 ათასი) ჩვეულებრივ აქციას, რომლებიც გამოშვებულია 1 ლარის ნომინალური ღირებულებით და ასევე, 160 ცალ (რომლისგანაც განთავსებულია 2025 წლის 30 ივნისის და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 160 და 160 ცალი შესაბამისად) პრივილეგირებულ აქციებს, რომლებიც გამოშვებულია 50,000 აშშ დოლარის ნომინალური ღირებულებით. განთავსებული ჩვეულებრივი და პრივილეგირებული აქციები სრულად ანაზღაურებულია.

ჩვეულებრივი აქციის მფლობელებს არ გააჩნიათ უფლება ფიქსირებულ შემოსავალზე, ხმის უფლებები ნაწილდება განთავსებული აქციების პროპორციულად. ჩვეულებრივი აქციის მფლობელებს აქვთ უფლება მიიღონ კომპანიის მიერ გამოცხადებული დივიდენდი.

არაგამოსყიდვადი პრივილეგირებული აქციების მფლობელებს აქვთ უფლებამოსილება, მიიღონ წლიური დივიდენდი ფიქსირებული პროცენტით, რომელიც არ არის მუდმივი და შესაძლოა შეიცვალოს ჩვეულებრივი აქციების მფლობელთა გადაწყვეტილებით. პრივილეგირებულ აქციებს არ აქვს ხმის უფლება.

20. ობლიგაციები და სესხები

	30.06.2025	31.12.2024
საბანკო სესხები ცვლადი პროცენტით	82,819	75,476
საბანკო სესხი ფიქსირებული პროცენტით	783	938
ობლიგაციები ცვლადი პროცენტით	60,000	60,000
სესხების გრძელვადიანი ნაწილი	143,602	136,414
საბანკო სესხები ცვლადი პროცენტით	41,295	34,149
სესხები დაკავშირებული მხარისგან ფიქსირებული პროცენტით	94	88
ობლიგაციები ცვლადი პროცენტით	36,467	36,408
სესხების მიმდინარე ნაწილი	77,856	70,645
სულ სესხები	221,458	207,059

საბანკო სესხები არის 1- დან 9 წლამდე ვადიანობის. ქართულ ლარში დენომინირებულ სესხებს გადასახდელი აქვთ წლიურად პროცენტის მცოცავი განაკვეთი, რომელიც უთანაბრდება რეფინანსირების განაკვეთს (2025 წლის 30 ივნისისთვის და 2024 წლის 31 დეკემბრისათვის შეადგენს 8%) დამატებული 3.5 პროცენტი. ევროში დენომინირებულ სესხებს აქვთ საშუალოდ წლიური 6.175 % - 8.912 % მცოცავი განაკვეთი მიბმული Euribor-ზე, დოლარში დენომინირებულ სესხებს აქვთ საშუალოდ წლიური 7.05 % - 10.33 % მცოცავი განაკვეთი მიბმული აშშ დოლარის SOFR-ზე. ფიქსირებული სესხები წარმოადგენს დოლარში, ევროებში და ლარებში ნომინირებულ სესხებს. ლარში სესხების საპროცენტო განაკვეთია 11%, ხოლო დოლარში და ევროში 6.4 % - 8.5 % დიაპაზონში. სესხები უზრუნველყოფილია ძირითადი საშუალებებით, სავაჭრო მოთხოვნებითა, ბიოლოგიური აქტივებით და მარაგებით. სესხების უზრუნველყოფაში არსებული აქტივების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ შესაბამისი აქტივების განმარტებითი შენიშვნები.

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს სესხების და ობლიგაციების მოძრაობას 2024 წლის და 2025 წლის პირველი ნახევრის განმავლობაში:

	6 თვე 2025	2024
1 იანვარი	207,059	131,325
სესხების აღება	144,686	308,302
ობლიგაციების გამოშვება	-	59,755
სესხების დაფარვა	(131,339)	(258,833)
ობლიგაციების გადახდა	-	(35,000)
საპროცენტო ხარჯი	9,698	16,385
პროცენტის დაფარვა	(9,738)	(15,639)
პროცენტის კაპიტალიზაცია	127	386
კურსთაშორის სხვაობის ეფექტი	965	378
ნაშთი პერიოდის ბოლოს	221,458	207,059

2022 წლის ნოემბერში კომპანიამ გამოუშვა 35 მილიონი ლარის ღირებულების ობლიგაციები, რომლის დაფარვის ვადაა 2025 წლის 28 ნოემბერი. კომპანიის ობლიგაციებზე გადასახდელი აქვს წლიურად TIBR3M განაკვეთს (2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით შეადგენს 8.1233%, ხოლო 2024 წლის 31 დეკემბრისათვის შეადგენს 3 თვიანი პერიოდისათვის წლიური 8.3087 პროცენტი) დამატებული 3.5%. ობლიგაციებზე კუპონი/პროცენტი გადაიხდება ყოველკვარტალურად. ობლიგაციები წარმოადგენს კომპანიის პირდაპირ არაუზრუნველყოფილ ვალდებულებებს,



სს„ნიკორა“-ს შემოკლებული შუალედური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული ექვსი თვისთვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

რომლებიც რიგითობით უთანაბრდება ერთმანეთს და კომპანიის ყველა სხვა არაუზრუნველყოფილ და არა-სუბორდინირებულ ვალდებულებას.

2024 წლის 17 ოქტომბერს, ჯგუფში შემავალმა კომპანია სს „ნიკორა თრეიდ“-მა გამოუშვა 60 მილიონი ლარის ღირებულების ობლიგაციები, რომლის დაფარვის ვადაა 2029 წლის 17 ოქტომბერი. ჯგუფს ობლიგაციებზე გადასახდელი აქვს წლიურად თბილისის ბანკთაშორის საპროცენტო განაკვეთს (2024 წლის 31 დეკემბრისათვის შეადგენს 3 თვიანი პერიოდისათვის წლიური 8.3087 პროცენტი) დამატებული 3.25 %. ობლიგაციებზე კუპონი გადაიხდება სამ თვეში ერთხელ. ობლიგაციები წარმოადგენს ჯგუფის პირდაპირ არაუზრუნველყოფილ ვალდებულებებს, რომლებიც რიგითობით უთანაბრდება ერთმანეთს და ჯგუფის ყველა სხვა არაუზრუნველყოფილ და არა-სუბორდინირებულ ვალდებულებას.

სესხები და ობლიგაციები ითვალისწინებს გარკვეულ შემზღუდველ პირობებს. მოცემული გულისხმობს გარკვეული ფინანსურ და არაფინანსურ ვალდებულებების დაკმაყოფილებას, მათ შორის დივიდენდების გაცემასთან დაკავშირებულ შეზღუდვებს. ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში ობლიგაციების მფლობელს/გამსესხებელს წარმოექმნება უფლება და არა ვალდებულება მოითხოვოს შესაბამისი სესხის სრული ან ნაწილობრივი დაფარვა ვადაზე ადრე.

ქვემოთ მოცემულია კომპანიის მიერ 2022 წელს გამოშვებული ობლიგაციებით და ცალკეული ბანკის სესხებით ნაკისრი ფინანსური ვალდებულებების/შეზღუდვების (ფინანსური კოეფიციენტების) ძირითადი ნაწილი, რომელიც უნდა დაკმაყოფილდეს სს ნიკორა ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დონეზე, ეს მოთხოვნები 2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით დაკმაყოფილებულია:

მომგებიანობიდან დათვლილი სესხის მომსახურების კოეფიციენტი მინიმუმ (DSCR)	1.1
ფულადი ნაკადებიდან დათვლილი სესხის მომსახურების კოეფიციენტი მინიმუმ (DSCR)	1.1
ვალდებულება EBITDA-სთან მაქსიმუმ (DEBT/EBITDA)	4.5 (4 ბანკის ხელშეკრულებით)

ანალოგიურად, ჯგუფში შემავალი კომპანიის, სს „ნიკორა თრეიდ“-ის, მიერ გამოშვებული ობლიგაციებით განსაზღვრული ფინანსურ და არაფინანსურ ვალდებულებები ასევე დაკმაყოფილებულია 2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით.

21. გადავადებული შემოსავალი

გადავადებული შემოსავალი წარმოადგენს სახელმწიფოსაგან შემდგომი საინვესტიციო ვალდებულების პირობით უსასყიდლოდ გადმოცემულ აქტივთან დაკავშირებულ გადავადებულ საგრანტო შემოსავალს. ამასთანავე ამ აქტივთან დაკავშირებით საწარმომ უნდა შეასრულოს გარკვეული არაფინანსური ვალდებულება - წარმოების დაწყება 2025 წლის 30 მარტს და წარმოების დაწყებიდან მომავალ 5 წლის განმავლობაში შეინარჩუნოს საქმიანობის პროფილი. გადავადებული შემოსავალი და აქტივი შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით გადმოცემის მომენტში. შეფასებისა და აქტივის დეტალები იხილეთ ახსნა განმარტებით შენიშვნა 13 ში. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საინვესტიციო ფინანსური ვალდებულების შესრულება დასრულებულია.

22. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

	30.06.2025	31.12.2024
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	188,052	201,780
სულ ფინანსური ვალდებულებები	188,052	201,780
გადასახდელი ხელფასები	9,232	6,948
სახელშეკრულებო ვალდებულებები	2,830	2,801
შვილობილი კომპანიის წილის გამოსყიდვისას გადასახდელი თანხები	389	544
საგადასახადო ვალდებულებები	4,732	3,992
მიღებული ავანსები	590	180
სხვა ვალდებულებები	113	19
სულ არაფინანსური ვალდებულებები	17,886	14,484
სულ ვალდებულებები	205,938	216,264



სს“ნიკორა”-ს შემოკლებული შუალედური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული ექვსი თვისთვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

23. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

	30.06.2025	31.12.2024
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	443	1,108
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	773	481
საიჯარო ვალდებულებები	18,010	17,267
ობლიგაციები და სესხები	94	88
ხელფასები და ბონუსები ვალდებულება წლის ბოლოს	309	2,122

	30.06.2025	30.06.2024
არამაკონტროლებელი წილის მფლობელის მიერ კაპიტალში შენატანი	560	1,200
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია	11,215	6,388
მარაგებისა და ნედლეულის შეძენა	1,164	653
დივიდენდის განაწილება	279	416
საპროცენტო შემოსავალი	-	9
ხელმძღვანელობის შრომის ანაზღაურება შეადგენს	2,664	3,001

ჯგუფის კომპანიებს შორის ოპერაციები არის ელიმინირებული და არ არის განმარტებული.

24. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი ქონდა ქვემოთ ჩამოთვლილ არამაკორექტირებელ მოვლენებს:

ჯგუფში შემავალმა კომპანიამ, სს „ნიკორა ტრეიდ“-მა, მეორე ტრანშის სახით 2025 წლის 30 ივნისის კაპიტალის ბაზარზე განათავსა მეორე 60 მილიონი ლარის ობლიგაცია. ფასიან ქაღალდებს ერიცხება წლიური 3 თვიანი თბილისის ბანკთაშორის საპროცენტო განაკვეთს დამატებული 350 საბაზისო პუნქტი (3.50%) და მისი გადახდაც წარმოებს კვარტალურად. კომპანია ობლიგაციებს სრულად 2030 წლის 30 ივნისის დაფარავს.

შემოკლებული კონსოლიდირებული შუალედური ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 29 აგვისტოს. კომპანიის ხელმძღვანელობას უფლება აქვს შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.

ბალანსის შედგენის შემდგომ არ მომხდარა სხვა ისეთი მოვლენა, რაც მოითხოვს დამატებით კორექტირებას ან ახსნა-განმარტებას ფინანსურ ანგარიშგებაში.

სააქციო საზოგადოება ნიკორა



მმართველობითი ანგარიშგება
კონსოლიდირებული

2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით

შინაარსი:

მმართველობითი ანგარიშგება

1.	საქმიანობის მიმოხილვა.....	3
2.	ფინანსური ინფორმაცია	14
3.	რისკის ფაქტორები	24
4.	კორპორაციული მართვის ანგარიშგება	41
5.	არაფინანსური ანგარიშგება.....	53

1. საქმიანობის მიმოხილვა

1.1 ნიკორას შესახებ

კომპანია "ნიკორა" 1998 წელს ქართული კაპიტალით დაფუძნდა როგორც ხორცპროდუქტების მწარმოებელი კომპანია და უკვე 26 წელზე მეტია კვების პროდუქტების ბაზრის უცვლელი ლიდერია. განვითარებისა და სტრატეგიული ინვესტიციების განხორციელების შედეგად, ამჟამად კომპანია წარმოადგენს საქართველოს ერთ-ერთ უმსხვილეს ჰოლდინგს (ჯგუფს), რომელიც აერთიანებს ქვეყნის ყველაზე ფართო სუპერმარკეტების ქსელის მქონე კომპანიას და ხორცპროდუქტების, ნახევარფაბრიკატების, თევზულის, რძის ნაწარმის, ნაყინის, პურ-ფუნთუშეულის, სალათების, აგრეთვე კვების პროდუქტებისა და სასმელების იმპორტიორ/დისტრიბუტორ კომპანიებს.

მუდმივი განვითარების, ხარისხის სტანდარტების ზრდის, მომხმარებელთა ლოიალურობის კვალობაზე „ნიკორა“ უკვე წლებია ჩამოყალიბდა როგორც ერთ-ერთი ყველაზე ცნობადი და ღირებული ბრენდი საქართველოში. ჯგუფის ყველაზე მსხვილი ბიზნეს მიმართულებებია: საცალო გაყიდვების სუპერმარკეტების ქსელი - რაოდენობის და ქვეყნის ტერიტორიაზე განშლადობის კუთხით ასევე ბაზრის ერთ-ერთი ლიდერი და ხორცპროდუქტების წარმოება - ბაზრის უდავო ლიდერი საქართველოში.

ჰოლდინგი ნიკორა - ძირითადი მაჩვენებლები

შედეგები ('000 ლ)	6 თვე 2025	6 თვე 2024	ცვლ.(%)
შემოსავალი რეალიზაციიდან	757 722	677 831	11.8%
საერთო მოგება	207 617	196 830	5.5%
საოპერაციო მოგება	20 212	32 283	-37.4%
წლის მოგება	4 809	9 870	-51.3%
აქტივები და ვალდებულებები ('000 ლ)	30.06.2025	31.12.2024	ცვლ.(%)
სულ აქტივები	807 215	816 108	-1.1%
სულ ვალდებულებები	582 605	589 161	-1.1%
სულ კაპიტალი	224 610	226 947	-1.0%
ფინანსური მაჩვენებლები	6 თვე.2025	2024	ცვლ.(%)
საერთო მოგების მარჟა (%)	27.4%	28.9%	-5.3%
სესხები/კაპიტალი	0.99	0.91	8.1%
არაფინანსური მაჩვენებლები	30.06.2025	31.12.2024	ცვლ.(%)
დასაქმებულთა რაოდენობა	10 411	10 264	1.4%
სავაჭრო ობიექტების რაოდენობა	654	634	3.2%
გაყიდვების ფართობი (მ²)	114 536	109 610	4.5%

1.2 კომპანიის მიმოხილვა და განვითარების ისტორია

სს „ნიკორა“, როგორც პოლიდინგი, ამჟამად არის საქართველოს ერთ-ერთი უდიდესი საკვების მწარმოებელი და საცალო მოვაჭრე. დაარსების პირველ წლებში, როგორც მცირე ზომის ხორცის გადამამუშავებელი კომპანია, იგი მომხმარებელს „ივერიას“ და „რძიანის“ ტიპის სოსისებს სთავაზობდა. პირველი მაღაზია 2000 წელს გაიხსნა და მომხმარებელს შესთავაზა მაღალი ხარისხის სოსისისა და ლორის დიდი ასორტიმენტი. კომპანიის პროდუქციამ მალევე მოიპოვა პოპულარობა, რის შედეგადაც დაიწყო მრავალწლიანი გაფართოვების პროცესი. 2001 წელს „ნიკორამ“ დააარსა სადისტრიბუციო ქსელი. შემდგომი წლების განმავლობაში კომპანია გარდაიქმნა ქვეყნის ერთ-ერთ უმთავრეს მოთამაშედ საკვების ინდუსტრიაში. ამჟამად „ნიკორა ჯგუფი“ არის თითქმის მილიარდ ნახევრიანი ბრუნვის მქონე ბიზნესი, რომელშიც 2024 წლის ბოლოსთვის დასაქმებულია 10,595 თანამშრომელი და მოიცავს საქართველოს თითქმის მთელ ტერიტორიას. კომპანიის წარმოებული ხორცპროდუქტები 113-მდე სახეობას მოიცავს, მათ შორის ნედლად შებოლილი პროდუქცია, რომელთა წარმოება მოითხოვს მნიშვნელოვან ტექნოლოგიურ გამოცდილებას და ცოდნას. პოლიდინგში შემავალი კომპანიები ასევე აქტიური მონაწილენი არიან საქართველოს ისეთ ბაზრებზე, როგორიცაა თევზულისა და ზღვის პროდუქტების, რძის პროდუქტების, პურ-ფუნთუშეულის წარმოება, აგრეთვე სხვადასხვა საკვებისა და სასმელების იმპორტი-დისტრიბუცია.

1999 წელს ოპერაციების დაწყების შემდეგ „კომპანია“ სწრაფი ტემპით იზრდებოდა. „ნიკორა“ იყო პირველი ქართული მწარმოებელი, რომელმაც ნაწარმის გაყიდვა საკუთარ ქსელში დაიწყო 2000 წელს. 2001-2002 წლებში სწრაფმა ზრდამ საკუთარი სადისტრიბუციო ოპერაციების და სტაბილური მიწოდების ჯაჭვის შექმნის აუცილებლობა განაპირობა. ამის საპასუხოდ, „კომპანიამ“ საკუთარი სადისტრიბუციო ქსელი შექმნა და დაიწყო ინვესტიციები გაყიდვების არეალის გაფართოებაში. მომდევნო წელს კომპანია რძის და ზღვის პროდუქტების ბაზარზე შევიდა. გურიის სოფელ ვაკიჯვარში შეიქმნა საკალმახე მეურნეობა. 2004 წელს „ნიკორა“ საკვები ნახევარფაბრიკატების ბაზარზე შევიდა და წაყინის ბიზნესი წამოიწყო, ხოლო 2005 წლიდან დაიწყო საკვები პროდუქტების და სასმელების იმპორტი. „ნიკორა“ ასევე გახდა ერთ-ერთი პირველი ქართული კომპანია, რომელმაც მიიღო ISO 9001: 2008 და ISO 22000: 2005 (HACCP) სერტიფიკატები.

2008 წელს კომპანიამ მნიშვნელოვანი ეტაპი განვლო, როცა მან მოახდინა რძის და ზღვის პროდუქციის წარმატებული რებრენდინგი („ჩვენი ფერმერი“ და „ოკეანე“) და გააფართოვა პროდუქციის ასორტიმენტი ცომეული და გამომცხვარი პროდუქციით.


მომდევნო წლებში „კომპანია“ ახდენდა არსებული ბიზნეს-პლატფორმის ოპტიმიზაციას, აფართოებდა საცალო ქსელს და აუმჯობესებდა ეფექტიანობას.

არსებობის განმავლობაში კომპანია აფართოებდა „ნიკორა ტრეიდის“ საცალო ვაჭრობის ქსელს, რომელიც 2000 წელს გაჩნდა და თავდაპირველად თბილისში კომპანიის პროდუქციის გაყიდვით იყო დაკავებული. 2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით ქსელში 654 მაღაზია შედის „ლიბრე“-ს და „ნიკორა“ სუპერმარკეტის ბრენდის ქვეშ, სადაც იყიდება ათიათასობით პროდუქცია, მათ შორის, 500-ზე მეტი სახეობის პროდუქტი „ნიკორას“ წარმოებისაა.

2025 წელს შპს „ნიკორა“-ს ახალი ულტრათანამედროვე დანადგარებით აღჭურვილი ახალი ხორცპროდუქტების საწარმო გაეშვა, რომელიც ეტაპობრივად გავა სრულ სიმძლავრეებზე.

განვითარების ძირითადი ეპიზოდები:

- 1998 – კომპანიის დაარსება დეკემბერში.
- 1999 - პირველი პროდუქცია იანვარში.
- 2000 - პირველი მაღაზიის გახსნა.
- 2001 - ა) სადისტრიბუციო ქსელის შექმნა;
ბ) პირუტყვის ფერმის გახსნა.
- 2003 – ა) თევზის და რძის პროდუქტების წარმოება;
ბ) საკალმახე მეურნეობის გაშენება;
გ) ყველაზე პოპულარული კვების პროდუქტის მწარმოებელი კომპანია.
- 2004 - ა) ნახევარფაბრიკატების წარმოება - მზარეულის ბრენდი;
ბ) ნაყინის წარმოება;
გ) ჯილდო - "წლის საუკეთესო დებიუტანტი კომპანია".
- 2005 - ა) დასავლეთ საქართველოში გაფართოება;
ბ) ინტერიდის დაარსება;
გ) ჯილდო - „რეპუტაცია და ნდობა“.
- 2006 - ა) გაფართოება აღმოსავლეთ საქართველოში;
ბ) ღვინის წარმოების შესყიდვა;
გ) პალომას საფირმო მაღაზიის გახსნა;
დ) ჯილდო - „ოქროს ბრენდი“.
- 2007 - ა) სს ნიკორას დაარსება;
ბ) ფოთის ოფისის გახსნა;
გ) ჯილდო - „დარგის ლიდერი“.
- 2008 - ა) ჩვენი ფერმერის და ოკეანის ბრენდების გაშენება;
ბ) საკონდიტრო წარმოების ხაზის შესყიდვა; გ) ISO 9001:2008 და ISO 22000:2005 (HACCP) სისტემის დანერგვა.
- 2009 - ა) ხიზილალის წარმოების დაწყება;
ბ) ჯილდოები - „ოქროს ბრენდი“ და „წამყვანი კომპანია“.
- 2010 - ა) „მასივი“-ს ქსელის შესყიდვა; ბ) ჯილდო - „ოქროს ბრენდი“.
- 2011-2013 - მაღაზიების ქსელის გაფართოება და მოდერნიზაცია თბილისსა და რეგიონებში.
- 2014 - ა) „სანდი“-ს, „კი ბატონო“-სა და „პომმარტი“-ს შეძენა;
ბ) კახეთისა და დასავლეთ საქართველოს მაღაზიების მოდერნიზება;
გ) ჯილდოები - „წლის ლიდერი კომპანია“ და „წლის საუკეთესო კომპანია“.
- 2015 - ა) „ნუგეში“-ს და „ლიბრე“-ს შეძენა (ყველაზე დიდი ქსელის სტატუსი მიენიჭა კომპანიას);
ბ) ცელოფნის პარკების ბიო პარკებით ჩანაცვლება;
გ) ჯილდოები - „დარგის ლიდერი“ და „ოქროს ბრენდი“;
დ) ელექტრონული აპლიკაციის გაშენება.
- 2016 - ა) \$5 მლნ. მოზიდვა ობლიგაციების საჯარო შეთავაზებით;
ბ) ნიკორა ტრეიდის აღიარება უმსხვილეს ქსელად;
გ) ჯილდო - „ოქროს ბრენდი“.
- 2017 - ა) \$10 მლნ. დოლარის წარმატებული ემისია საქართველოს საფონდო ბირჟაზე;
ბ) ჯილდოები - „ოქროს ბრენდი“ (ნიკორას და ნიკორა ტრეიდის ბრენდებს);
- 2018 - ჯილდოები - „ოქროს ბრენდი“ (ნიკორა ტრეიდის ბრენდს).
- 2019 – 28 მლნ. ლარის ობლიგაციის წარმატებული ემისია.
- 2020 - სს "ნიკორა ტრეიდის" მიერ წლის საუკეთესო ანგარიშგების ჯილდოს მიღება.
- 2022 – ა) სს „ნიკორა“-ს 35 მლნ ლარის ობლიგაციის წარმატებული ემისია;
ბ) სს „ნიკორა ტრეიდი“ - წლის საუკეთესო დამსაქმებელი.
- 2023 – შპს "ნიკორა"-ს მიერ ხორცპროდუქტების ახალი თანამედროვე დანადგარებით აღჭურვილი საწარმოს მშენებლობა.
- 2024 – სს "ნიკორა ტრეიდის" მიერ 120 000 000 ლარის ობლიგაციების პირველი ნაწილის წარმატებით გამოშვება
- 2025 – აშენდა შპს "ნიკორა"-ს მიერ ხორცპროდუქტების ახალი თანამედროვე დანადგარებით აღჭურვილი საწარმო.



* ზემოთ მოცემულ სტრუქტურაში მოცემული მხოლოდ მოქმედი კომპანიები.

1.3 შვილობილი კომპანიების და ბრენდების მიმოხილვა

ბრენდ „ნიკორა“-ს განვითარებამ უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა კომპანიის გაფართოების სტრატეგიაში. ბრენდი განვითარებასთან ერთად მცირე ადგილობრივი მწარმოებლიდან გადაიქცა მთელი ქვეყნის მასშტაბით ცნობილი კომპანიად. ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში მომხდარი ეკონომიკური რყევების მიუხედავად, „კომპანია“ თანმიმდევრულად ცდილობდა მოეპოვებინა აღიარება და ნდობა მაღალი სტანდარტების დაცვით. ყურადღება ექცეოდა ადგილობრივ წარმოებას, პროდუქციის ტერიტორიულ ხელმისაწვდომობას, მაღალ ხარისხს, ფართო არჩევანსა და ადგილობრივ მოსახლეობაზე მორგებულ საგემოვნო თავისებურებებს.

„ნიკორა“-ს სახელის წარმატება ყოველთვის ეფუძნებოდა მუდმივი განვითარების პროცესს. წლების განმავლობაში „კომპანია“ დააგროვა დიდი ტექნიკური გამოცდილება და კვების ინდუსტრიაში ბევრი წამოწყების ინიციატორი გახდა. ინოვაციის საჭიროებიდან გამომდინარე, „ნიკორა“ ყოველთვის ისწრაფოდა ტექნიკურად რთული პროექტების განხორციელებისკენ. „კომპანია“ პირველმა აწარმოა ბაზარზე ნედლად შებოლილი ძეხვეული და თევზეულის პრესერვები. აღნიშნული სახის პროდუქციის წარმოება დიდ გამოცდილებას და მაღალ ტექნოლოგიურ მხარდაჭერას მოითხოვს. „ნიკორა“ ასევე იყო მოწინავე ე. წ. დაცული შეფუთვის დანერგვის საკითხში. სწორედ მუდმივი ინოვაციებია კიდევ ერთი მიზეზი იმისა, რომ მომხმარებელს „ნიკორა“-ს ბრენდის მიმართ ნდობის მაღალი ხარისხი აქვს.

სრულად კონსოლიდირებული და ვერტიკალურად ინტეგრირებული შვილობილები წარმოადგენენ საოპერაციო ერთეულებს, რომლებიც კონცენტრირებას აკეთებენ ბიზნესის კონკრეტულ მიმართულებაზე. ვერტიკალური ინტეგრაცია საშუალებას აძლევს „ნიკორა ჯგუფს“ თითოეულ ერთეულში მიაღწიოს რესურსების გამოყენების მაქსიმალურ ეფექტიანობას. ამავდროულად, „კომპანია“ დამატებით სარგებელს იღებს საკუთარ ქსელში შვილობილების პროდუქციის რეალიზაციის გზით.

„ნიკორა ჯგუფი“-ს ბიზნესი პირობითად ოთხ მიმართულებად შეიძლება დაიყოს:

- ა) საცალო ვაჭრობა, რომელიც ხორციელდება სს ნიკორა ტრეიდის მეშვეობით;
- ბ) კვების პროდუქტების წარმოება, რომელიც მოიცავს ხორცის, ზღვის პროდუქტების, რძის პროდუქტების, გამომცხვარი პროდუქტების, სალათების წარმოებას; საკვების წარმოებაში მონაწილეობენ შპს ნიკორა, შპს კორიდა, შპს მზარეული 1, შპს ჩვენი ფერმერი, შპს ოკეანე, შპს კულიანრი და შპს ვაკიჯვრის კალმახი;
- გ) დისტრიბუცია, რომელსაც ახორციელებს შპს პარტნიორი;
- დ) სასმელების და საწარმოო ნედლეულის იმპორტი, რასაც შპს ინტრეიდი და შპს მულტიტრეიდი ახორციელებენ.

1. სს „ნიკორა ტრეიდი“ - ნიკორა ჯგუფში შემავალი ყველაზე მსხვილი სუბიექტია, რომელიც სუპერმარკეტების ქსელს ოპერირებს. 2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით კომპანია 654 მაღაზიით იყო წარმოდგენილი საქართველოს ბაზარზე.

გაყიდვები სს ნიკორა ტრეიდის სავაჭრო ობიექტებში ხორციელდება შემდეგი სავაჭრო ნიშნის მქონე მარკეტებში:



სუპერმარკეტები უმეტესად მორგებული საშუალო და მაღალი შემოსავლის მქონე სეგმენტის მომხმარებლებზე.



ე. წ. დისქაუნთერი მარკეტები.

2. შპს „ნიკორა“ - კომპანია აწარმოებს სხვადასხვა დასახელების სოსისსა და სარდელს, მოხარშულ და ნედლად შებოლილ ძეხვეულს, მრავალი სახეობის შაშხს, დელიკატესს, შებოლილ ქათამსა და ნეკნებს, ასევე აწარმოებს ნახევარფაბრიკატებს. ასორტიმენტი მოიცავს როგორც ტრადიციულ ქართულ, ასევე კარგად ცნობილ ევროპისა და სხვა ქვეყნების კერძებს.



შპს „ნიკორა“-ს მიერ წარმოებული ხორცპროდუქტები ჯამში: 59-ზე მეტი დასახელების ხორცპროდუქტი, 14-ზე მოხარშული და შებოლილი ძეხვეული, 18-მდე სახეობის სოსისები და სარდლები, შაშხი და 27-მდე სახეობის ნედლად შებოლილი ხორცპროდუქტსა და დელიკატესს.



მეტაბლე არის ახალი ქართული ბრენდი, რომელიც ნიკორას მაღალტექნოლოგიურ საწარმოში იქმნება და პრემიუმ ხარისხის ხორცპროდუქტებს წარმოადგენს. მეტაბლე აერთიანებს რამდენიმე სახეობას - ესენია ძეხვი, სოსისი და შაშხი. ამ ეტაპზე, ბრენდში გაერთიანებულია 20-მდე დასახელება და ეტაპობრივად, ახალი პროდუქტებიც ემატება.



შპს ნიკორას მიერ წარმოებული ნახევარფაბრიკატები (ქართული, რუსული და ევროპული სამზარეულოების ტრადიციული კერძები - ხინკალი, პელმენი, ვარენიკი, ბლინები, კატლეტები და სხვა), აგრეთვე შპს ოკეანეს მიერ წარმოებული სოუსები.

3. შპს „კორიდა“ - შპს ნიკორას მსგავსად წარმოადგენს ხორცპროდუქტების და ნახევარფაბრიკატების საწარმოს (დასავლეთ საქართველოში).





ბრენდი „შეფმაისტერი“ - შპს კორიდას ხორცპროდუქტების პრემიუმ ხაზია.

4. შპს „პარტნიორი“ - ახდენს ჯგუფში შემავალი კომპანიების მიერ წარმოებული პროდუქციის დისტრიბუციას შიდა და გარე ქსელში.



5. შპს „ოკეანე“ - აწარმოებს ზღვის პროდუქტებს და პრესერვებს. კომპანია წარმოებისას იყენებს როგორც ჰოლდინგში შემავალი კომპანიის საკალმახე მეურნეობიდან მიღებულ ნედლეულს, ასევე ახორციელებს იმპორტს ნორვეგიიდან, სადაც საუკეთესო კატეგორიის თევზი ბინადრობს. ადგილობრივად წარმოებული პროდუქტების გარდა, კომპანია ასევე ახორციელებს ზღვის პროდუქტების და დელიკატესების იმპორტს.



ძირითადად ასორტიმენტშია: ცოცხალი, შეციებული, ცივად და ცხლად შებოლილი, დამარილებული, ნაკლებმარილიანი, ნახევრად შებოლილი თევზეული, პრესერვები და ზღვის დელიკატესები. „კომპანიის“ კალმახის ხიზილალა განსაკუთრებით პოპულარულია ქართველ მომხმარებლებს შორის.

6. შპს „ჩვენი ფერმერი“ - კომპანია რამდენიმე სახის რძის პროდუქტს, კარაქს, ყველს და ნაყინს აწარმოებს. რძის პროდუქტები ბაზარზე „დღის პროდუქტის“ სავაჭრო ნიშნით გამოდის, ხოლო ნაყინი - „პალომა“-ს სავაჭრო სახელით.



- i. შპს ჩვენი ფერმერის მიერ წარმოებული რძის პროდუქტებია: მაწონი, არაჟანი, ხაჭო, რამდენიმე სახეობის კარაქი და ყველი - როგორც ქართული, ასევე ევროპული ტექნოლოგიით დამზადებული.



- ii. პალომას ბრენდის ქვეშ წარმოებული 22-მდე დასახელების ნაყინი: საოჯახო, ჭიქის, პრემიალური 250გრ. ესკიმო და დიაბეტური ნაყინი. ნაყინი კარაქსა და შესქელებულ რძეზე მზადდება და უდავოდ გამორჩეული გემოთი და რბილი კონსისტენციით ხასიათდება.

7. შპს „მულტიტრეიდი“ - კომპანია ახორციელებს ნედლეულის იმპორტს ხორცპროდუქტების წარმოებისთვის, როგორც გარე ბაზარზე სარეალიზაციოდ, ასევე შპს „ნიკორა“-სთვის და შპს „კორიდა“-სთვის.



8. შპს „მზარეული 1“ - პურ-ფუნთუშეულის (ბრენდი „პანე“) და სხვა გამომცხვარი პროდუქციის წარმოება. საწარმოში დამონტაჟებულია თანამედროვე დანადგარები, რაც პროდუქციის ევროპული სტანდარტების სრული დაცვით წარმოებას უზრუნველყოფს.



პანე-ს სავაჭრო ნიშნით წარმოებული პურ-ფუნთუშეული და სხვადასხვა გამომცხვარი ნაწარმი.

9. შპს „ინტრედი“ – კომპანია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან მაღალი ხარისხის ტკბილეულის, ბაკალეას, ხორცპროდუქტების, ალკოჰოლური და გამაგრილებელი სასმელების იმპორტს აწარმოებს. „გამაგრილებელი სასმელების იმპორტს აწარმოებს, კერძოდ:

- წვენები: „VitaGo“, „პფანერი“, „ნატურალისი“, „ენერგია“ „ალოე“, „ჯაფა“;
- ლუდები: Warsteiner, Grolsch, Pilsner Urquell, Bud, 5.0, Zhigul, Benediktiner, Praga, Schofferhofer, Estrella Galicia, Bitburger, Stiegl
- არყები: Хлебная, Parliament, Green Mark, Talka, Russian Standard, Punchclub; Gustav,
- მაღალ ალკოჰოლური სასმელები: Gibson’s, Glen Moray, Label 5, Old Virginia; Cutty Sark, Gautier, Busnel, Bardinnet, Sombrero
- დაბალ ალკოჰოლური სასმელი Shake, Royal, Punchclub; Somersby
- სნეკები Lorenz, Master, Gusto, YAW, RiceUp Boomza, Bob Snail; Mogyi,
- ხორცპროდუქტები: Campofrio, Greisinger, Negroni, Tarczynski, Snack It, Sokolow;
- ტკბილეული: Bahlsen, Kellog’s, Millano, Flis, Wedel, Confectum, Gurmex, Freddi, 4You, Jules Destrooper, Caffarel, Bogutti;
- ბაკალეა: Yonca, Rio Santo, Santa Sophia, Rollton, Oyakata, Uvelka, Sante, Dr. Benner, Loid, და სხვა.

10. შპს „ნაფარეულის ძველი მარანი“ - ფლობს საკუთარ ვენახებს და მხოლოდ ყურძნის მოყვანითა და რეალიზაციითაა დაკავებული.

11. შპს „ვაკიჯერის კალმახი“ (ყოფილი შპს „აგია“) – არის საკალმახე მეურნეობა, წელიწადში დაახლოებით 300 ტონა თევზის საწარმოო მოცულობით, რომელიც აგრეთვე აწარმოებს კალმახის ხიზილალას „ოკეანე“-ს საფირმო სახელწოდებით.

12. შპს „კულინარი“ – აწარმოებს სალათებს და სხვადასხვა მზა საკვებს, რომლებიც იყიდება სს „ნიკორა ტრეიდის“ სუპერმარკეტის ქსელში.



13. შპს „ნიკორა ბაკურიანი“ - დაბა ბაკურიანში მდებარე უძრავი ქონების დეველოპმენტი.

14. შპს „მილა საქართველო“ - სხვადასხვა დასახელების პროდუქციის იმპორტი.

15. შპს „რეფ ელ“ - უძრავი ქონების მენეჯმენტი.

16. შპს „რეფ ბი“ - უძრავი ქონების მენეჯმენტი.

1.4 ჯილდოები

კომპანიის 26 წლიანი ისტორიის განმავლობაში უამრავი ჯილდო აქვს მიღებული; თანმიმდევრულად მისდევს საკუთარ მიზნებს, განუხრელად იცავს ისეთ ფუნდამენტურ პრინციპებს, როგორიცაა მომხმარებლებზე ზრუნვა, ხარისხის მართვის თანამედროვე სტანდარტების დანერგვა, თანამშრომლებისათვის სტაბილური სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა და ღირებულების შექმნაზე ორიენტაცია.

ხარისხის მართვის, როგორც წარმოებაში, მათ შორის სურსათის უვნებლობის საერთაშორისო სტანდარტების კუთხით, აგრეთვე გაყიდვებში და ზოგადად მენეჯმენტში, მაღალი სტანდარტების წლების განმავლობაში დაცვის შედეგად „ნიკორა“ არაერთხელ გახდა საქართველოს პრესტიჟული სხვადასხვა ჯილდოს მფლობელი:

- ❖ წლის ყველაზე პოპულარული კვების პროდუქტების მწარმოებელი კომპანია - 2003 წ.
- ❖ წლის საუკეთესო დებიუტანტი კომპანია (ნახევარფაბრიკატი საკვები) - 2004 წ.
- ❖ წლის რეპუტაცია და ნდობა - 2005 წ.
- ❖ ხარისხის მართვის ISO 9001 : 2015 და სურსათის უვნებლობის ISO 22000 : 2018 (HACCP) სისტემების დანერგვა - 2008 წ.
- ❖ ოქროს ბრენდი - 2005, 2009, 2015, 2016, 2017, 2018 წ.
- ❖ ლიდერი კომპანია - 2007, 2009, 2013, 2014 წ.
- ❖ წლის საუკეთესო კომპანია - 2013 წ.
- ❖ ეროვნული ბიზნეს ჯილდო - 2016 წ.
- ❖ დარგის ლიდერის ჯილდო (ხორცპროდუქტებისა და თევზეულის წარმოება) - 2015 წ, 2017 წ.

1.5 საოპერაციო გარემოს მიმოხილვა

ეკონომიკური გარემო და ბოლო პერიოდის განვითარება

სს „ნიკორა“-ს ძირითადი შემოსავალი შვილობილ კომპანიებთან ტრანზაქციები წარმოადგენს, რომლებიც ჩართულნი არიან კვების პროდუქტების წარმოების, საცალო ვაჭრობის, იმპორტისა და დისტრიბუციის საქმიანობებში. საცალო ვაჭრობა და ხორცპროდუქტების წარმოება ბიზნესის უმთავრეს საქმიანობას წარმოადგენს. შედეგად, საკვებით საცალო ვაჭრობა და ხორცპროდუქტების წარმოება „კომპანიისთვის“ წარმოადგენს ყველაზე მნიშვნელოვან საინვესტიციო ბაზარს საქართველოში. თიბისი კაპიტალის კვლევის თანახმად, 2022 წელს სწრაფად ბრუნვადი პროდუქტის ბაზარზე ორგანიზებული ბაზრის წილი 30%-ია. 2023 წელს ბაზრის ამ ნაწილის 36% შეადგინა, ხოლო 2024 წლის წინასწარი მონაცემებით 41%-ამდე გაიზარდა. აღნიშნული მიუთითებს ორგანიზებული ქსელების ზრდის მაღალ პოტენციალზე. ნიკორა ჰოლდინგში შემავალი სს „ნიკორა ტრეიდი“ ბოლო წლების განმავლობაში სტაბილურად იკავებს ორგანიზებული საცალო სასურსათო ბაზრის ერთ-ერთი ლიდერის პოზიციას.

კვების პროდუქტებით საცალო ვაჭრობა

საქართველოში მომხმარებელი განკარგავს შემოსავლის დაახლოებით მესამედს სურსათსა და არა-ალკოჰოლურ სასმელზე ხარჯავს. ეს მაჩვენებელი ბოლო ხუთი წლის განმავლობაში სტაბილურად იზრდება - 2017 წლის 30.09%-დან 2024 წელს 33.39%-მდე გაიზარდა.

განვითარებულ ქვეყნებში საკვებ პროდუქტებზე დანახარჯის წილი სამომხმარებლო კალათში შედარებით დაბალია. თუმცა, აბსოლუტურ მნიშვნელობაში დანახარჯები იზრდება ერთ მოსახლეზე მშპ-ს ზრდასთან ერთად.

ამასთან, აღსანიშნავია განვითარებადი და განვითარებული ქვეყნების საკვების საცალო ბაზრის კიდევ ერთი განსხვავება. ზოგადად განვითარებული ქვეყნის ბაზრებს ახასიათებთ მეტი კონსოლიდაცია, მაგალითისთვის, ინდოეთში არაორგანიზებული ბაზრის წილი 8%-ს აღწევს, ჩინეთში 20%-ს, არაორგანიზებული ბაზრის წილი მეტად იკლებს განვითარებულ ქვეყნებში. ორგანიზებული საცალო კვების ვაჭრობის ბაზრის წილი ამერიკაში, იაპონიასა და გაერთიანებულ სამეფოში შესაბამისად 85%, 89% და 92%-ია. თიბისი კაპიტალის დათვლებით, ორგანიზებული ბაზრის წილი მზარდია საქართველოშიც და მაჩვენებელმა 2016 წლის 17%-დან 2023 წელს 30%-ს მიაღწია. მისივე პროგნოზებით 2024 წლისთვის ორგანიზებული ბაზრის წილი 41%-მდე გაიზრდება, 2025 წელს კი 45%-ს მიაღწევს.

ძირითადი მოთამაშეები სურსათის საცალო ბაზარზე გაყიდვების მიხედვით¹

თიბისი კაპიტალის FMCG სექტორის კვლევის თანახმად, 2024 წელს სს ნიკორა ტრეიდი გაყიდვების მოცულობით ბაზრის ერთ-ერთი ლიდერია.

ბაზარზე ძირითადი მოთამაშეები შემდეგი კომპანიებია

კარფური - წარმოადგენს ფრანგულ საერთაშორისო ბრენდს, რომელსაც საქართველოში Majid Al Futtaim Group-ი ოპერირებს. კარფურის პირველი ჰიპერმარკეტი 2012 წელს გაიხსნა საქართველოში და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბაზარზე 95 სავაჭრო ობიექტით იყო წარმოდგენილი. კარფური ყიდის როგორც ზოგად პროდუქციას, ასევე კერძო ლეიბლებს.

ორი ნაბიჯი - 2009 წელს დაარსებული ადგილობრივი ბრენდი, რომელსაც 2017 წლის ბოლოსთვის 100 მაღაზია ჰქონდა თბილისში და 11 თბილისის გარეთ. ქსელი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბაზარზე 470 სავაჭრო ობიექტით იყო წარმოდგენილი. ორი ნაბიჯი უზნის მაღაზიების სტრატეგიით ვითარდება და მისი მფლობელები ადგილობრივი მეწარმეები არიან.


დეილი ჯგუფი - კონკურენციის სააგენტოს მიერ 2024 წელს გაცემული ნებართვების შედეგად, "დეილის" ჯგუფი აერთიანებს "სპარის", "იოლის", "დეილის", "კალათას", "გვირილასა" და "მაგნიტის" ქსელებს, რაც გულისხმობს საქართველოს მასშტაბით დაახლოებით 1,700 სავაჭრო წერტილისა და ორგანიზებული ბაზრის 30%-იან წილს.

გუდვილი - არის პირველი ქართული ჰიპერმარკეტების ქსელი და ამჟამად ბაზარზე წარმოდგენილია 8 მაღაზიით. ამასთან 6 ლოკაცია აქვს თბილისში, 2 კი - ბათუმში. მაღაზიებში იყიდება კერძო ლეიბლების პროდუქცია. ქსელს აქვს მზა საკვების მიტანის მომსახურებაც.

ევროპროდუქტი - ადგილობრივი ბრენდია, რომელიც 2004 წლიდან არსებობს და საქმიანობა იმპორტიორად დაიწყო. ამჟამად კომპანია ბაზარზე 38 მაღაზიითაა წარმოდგენილი. კომპანია გეგმავს ქვეყნის მასშტაბით გაფართოვებას.

FMCG ბაზარი რამდენიმე მსხვილი მოთამაშით არის წარმოდგენილი და გარემო საკმაოდ მაღალი კონკურენციით ხასიათდება.

ორგანიზებული ბაზრის განაწილება 2024 წლის პირველი ცხრა თვის მდგომარეობით



წყარო: თიბისი კაპიტალი

სწრაფად ბრუნვადი პროდუქციის ბაზრის ზრდის პოტენციალზე მიუთითებს ბაზრის რეგიონული განაწილება. ბაზრის მესამედი თბილისის უკავია და მოცემული სექტორი მძაფრი კონკურენციით ხასიათდება. თუმცა, ორგანიზებული ბაზრის წილი ჯერ კიდევ დაბალია ქვეყნის სხვა რეგიონებში. აღნიშნული ბაზრის ზრდის მაღალ პოტენციალზე მიუთითებს.


¹პარაგრაფში გამოყენებულია მენეჯმენტის და თიბისი ბანკის სავარაუდო მონაცემები

1.6 ბიზნესი და ოპერაციები

ბიზნეს მოდელი

ჰოლდინგში შემავალი, სრულად კონსოლიდირებული და ვერტიკალურად ინტეგრირებული შვილობილი კომპანიები წარმოადგენენ საოპერაციო ერთეულებს, რომლებიც კონცენტრირებას ახდენენ ბიზნესის კონკრეტულ მიმართულებაზე. ვერტიკალური ინტეგრაცია საშუალებას აძლევს „ნიკორა ჯგუფს“ თითოეულ ერთეულში მიაღწიოს რესურსების გამოყენების მაქსიმალურ ეფექტიანობას. ამავდროულად, „კომპანია“ დამატებით სარგებელს იღებს საკუთარ საცალო ვაჭრობის ქსელში შვილობილების პროდუქციის გაყიდვის გზით.

„ნიკორა ჯგუფის“ ბიზნესი პირობითად ოთხ პირობით კომპონენტად შეიძლება დაიყოს, რომელთა ერთობლიობითაც ქმნის ღირებულებას ნიკორა:



საცალო ვაჭრობის და კვების პროდუქტების, კერძოდ კი ხორცპროდუქტების წარმოების მიმართულებები ის ძირითადი ბირთვია, სადაც ნიკორა ჯგუფს მთავარი კონკურენტული უპირატესობა გააჩნია ბაზარზე და შესაბამისად, კომპანიისთვის წარმოადგენს მოგების მთავარ წყაროს.

ხორცპროდუქტების და მათი ნახევარფაბრიკატების წარმოებაში ჩართული არიან შპს ნიკორა და შპს კორიდა, რომელთა პროდუქცია, აღნიშნული კომპანიების მრავალწლიანი სპეციალიზაციის შედეგად, სულ უფრო და უფრო მზარდი მოთხოვნით სარგებლობს ბაზარზე. ნიკორას ხორცპროდუქტების, როგორც ბრენდის, პოპულარიზაციას და მიმზიდველობას, მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ნიკორას სუპერმარკეტების ფართო ქსელი. მეორეს მხრივ სავაჭრო ობიექტების სიმრავლე და აგრეთვე ფართო არეალი საშუალებას აძლევს წარმოების შვილობილ კომპანიებს მყისიერი რეაგირება მოახდინონ მომხმარებელთა მოთხოვნილებებზე, პრეფერენციების ცვლილებაზე; შედეგად მიიღწევა მომხმარებელთა კმაყოფილების ზრდა და მაღალ დონეზე შენარჩუნება, როგორც პროდუქციის კუთხით, ასევე გაყიდვების სერვისის თვალსაზრისით.


ჰოლდინგში შემავალი კვების პროდუქტების სხვა მწარმოებელი კომპანიები (შპს ოკეანე, ჩვენი ფერმერი, მზარეული1, კულინარი, ვაკიჯვრის კალმახი) ერთის მხრივ დამატებითი შემოსავლის წყაროს წარმოადგენენ, მაგრამ აგრეთვე ქმნიან ჰოლდინგის მდგრადობის და კონკურენტული უპირატესობის გაძლიერების დამატებით ბერკეტს - მცირდება რა დამოკიდებულება მომწოდებლებზე, ნიკორას სუპერმარკეტებისთვის და უფრო მეტიც, რაც შემთხვევებში ჩნდება ბერკეტი მინიმალური ფასების მიღებისთვის მომწოდებლებისგან, რაც შემდგომში გაყიდვების ზრდის უმთავრეს წინაპირობას ქმნის - შევთავაზოთ მომხმარებლებს მაღალი სარგებელი/ღირებულების (benefit/value) პროდუქცია.

ჰოლდინგი ანალოგიური ბიზნეს მოდელით ახდენს სასმელების (გამაგრებული და ალკოჰოლური) და სხვადასხვა საქონლის იმპორტს, რაც შვილობილი კომპანია შპს ინტრეიდის მეშვეობით ხორციელდება. საკუთარი გაყიდვის ობიექტების რიცხოვნობის და ფართო არეალის საფუძველზე (და აგრეთვე მძლავრი შვილობილი სადისტრიბუციო კომპანიების შესაძლებლობების გათვალისწინებით) მიღწეულ იქნა ის მასშტაბი იმპორტისთვის, რამაც საშუალება მისცა კომპანიას სასმელების სეგმენტშიც მიეღო დაბალი ფასები მომწოდებლებისგან და აგრეთვე ექსკლუზიური იმპორტიორი გამხდარიყო რიგი პროდუქციის სახეობებისა საქართველოში.

ხორცპროდუქტების წარმოებისთვის კომპანია თავად ახდენს საჭირო ნედლეულის იმპორტს შპს მულტიტრეიდის მეშვეობით - ხორცპროდუქტების წარმოების მასშტაბიდან გამომდინარე მიიღწევა დაბალი ფასები ნედლეული იმპორტისთვის.


მძლავრი შვილობილი სადისტრიბუციო კომპანია - შპს პარტნიორი - ახორციელებს სხვა შვილობილი კომპანიების მიერ წარმოებული პროდუქციისა და იმპორტირებული საქონლის დისტრიბუციას გარე სავაჭრო ობიექტებში. (გამონაკლისია შპს კორიდა, ოკეანე, ვაკიჯვრის კალმახი და ჩვენი ფერმერი, რომლებიც პროდუქციის გარე ქსელებში დისტრიბუციას თავად ახდენენ).

ნიკორას ტრეიდის სავაჭრო ობიექტების რაოდენობა:



წყარო: კომპანიის შიდა მონაცემები

სავაჭრო ობიექტების რაოდენობა ფართობის მიხედვით:



წყარო: კომპანიის შიდა მონაცემები

პერიოდი	2022	2023	2024	2024 H1	2025 H1
სავაჭრო ფართი ჯამში, მ2	81 074	101 176	109 610	106 090	114 536
საშუალო გაყიდვების მოცულობა ერთ კვადრატულ მეტრზე, დღ-ს გარეშე	12 222	12 717	12 196	5 917	5 993

წყარო: კომპანიის შიდა მონაცემები

ამ ეტაპზე კომპანია ძირითად შესყიდვებს ახორციელებს ადგილობრივ ბაზარზე. მისი მომწოდებლები არიან, როგორც ადგილობრივი მწარმოებლები, ქართული იმპორტიორი და სადისტრიბუციო კომპანიები, ასევე საერთაშორისო სადისტრიბუციო კომპანიები. მთლიანი შესყიდვის ნაწილი ხდება ცენტრალიზებულად. პროდუქციის ძირითადი ნაწილის დისტრიბუციას სავაჭრო ობიექტებში თვითონ მომწოდებლები ახდენენ. კომპანია ფლობს ძირითად (თბილისი) და რეგიონულ (დასავლეთ საქართველო, კახეთის რეგიონი) საწყობებს, ასევე სადისტრიბუციო მანქანებს, რომლითაც უზრუნველყოფს ცენტრალიზებული წესით შესყიდული საქონლის დისტრიბუციას. პროდუქციის გასაყიდი ფასი ფორმირდება დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებლების და კონკურენტული გარემოს გათვალისწინებით.

კომპანიას ასეულობით სადისტრიბუციო ავტომობილი გააჩნია, რომელთა მეშვეობით იგი მუდმივად ახდენს მაღაზიებში საქონლის შევსებას რათა არ მოხდეს გაყიდვების შეფერხება.

მსხვილი შესყიდვების დროს „კომპანია“ ცდილობს მომწოდებლების დიდი დიაპაზონისგან მიიღოს საუკეთესო ფასები და ხარისხი. „კომპანია“ შესყიდვების პროცესის დროს უზრუნველყოფს რომ შეიქმნას კონკურენტული გარემო პოტენციურ კონტრაქტორებს შორის რათა „კომპანიამ“ საუკეთესო საბაზრო ფასს მიაღწიოს.

2. ფინანსური ინფორმაცია



სს „ნიკორა“ წარმოადგენს ჰოლდინგურ კომპანიას „ჯგუფში“ შემავალი 16 მოქმედი შვილობილისთვის. სს ნიკორა 100%-იანი წილის მფლობელია თითქმის ყველა კომპანიაში, გამონაკლისებია: სს „ნიკორა ტრეიდი“ (97%), შპს ვაკიჯვრის კალმახი (94%), შპს „ნიკორა ბაკურიანი“ (50%), შპს „მილა საქართველო“ (50%), შპს „მზარეული 1“ (90%), შპს „რეფ ელ“ (50%), შპს „რეფ ბი“ (80%). ჯგუფი სრულად აკონტროლებს ყველა შვილობილი კომპანიის საოპერაციო და ფინანსურ საქმიანობას. ჯგუფის ფინანსური ანგარიშგება შეიცავს ყველა შვილობილი კომპანიის ფინანსურ შედეგებს მათზე კონტროლის მოპოვების დღიდან. „ჯგუფის“ არსებული სტრუქტურა ვერტიკალური ინტეგრაციიდან გამომდინარეობს და „ჯგუფი“ მნიშვნელოვან სარგებელს ნახულობს შვილობილებს შორის ვაჭრობის გზით. ამ ურთიერთობებიდან წარმოქმნილი არარეალიზებული ნამეტები ელიმინირდება კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

ფინანსური მაჩვენებლების მიმოხილვა

აქტივები


2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით კომპანიის სრულმა აქტივებმა ლ807 მილიონი შეადგინა, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ეს მაჩვენებელი ლ816 მილიონს შეადგენდა. აქტივების ძირითადი ნაწილი ჰოლდინგში პროცენტულად უკავია ძირითად საშუალებებსა და იჯარით სარგებლობის უფლებებს მარაგებთან ერთად.

აქტივების განაწილება



ძირითადი საშუალებები წარმოადგენს აქტივების ყველაზე დიდ ნაწილს (40%). მიწის და შენობების ღირებულება დგინდება ყოველ ორ წელიწადში ერთხელ (ან უფრო ხშირად, თუ საბაზრო პირობები მნიშვნელოვნად შეიცვალა) დამოუკიდებელი, შესაბამისი სერტიფიცირების მქონე, შემფასებლის მიერ. ბოლოს ასეთი შეფასება 2024 წლის 31 დეკემბრისთვის განხორციელდა სს „სავი“-ს მიერ საერთაშორისო შეფასების სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად (International Valuation Standards Committee 2013 - IVSC, მეათე გამოცემა).

ძირითადი საშუალებების შემადგენლობა:



სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

აქტივების 25%-ს შეადგენს. 2024 წლის 31 დეკემბრის ნაშთან შედარებით მარაგების მოცულობა შემცირებულია 6%-ით.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	2022	2023	2024	30.06.2025
ღირებულება (ათასებში)	128,815	167,197	211,979	119,908
წილი მოკლევადიან აქტივებში	64%	74%	74%	73%
წილი სრულ აქტივებში	24%	25%	26%	25%

ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები წარმოადგენენ კომპანიის საბრუნავი კაპიტალის ძირითად კომპონენტს და მიმდინარე ვალდებულებების უდიდეს ნაწილს. 2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით სავაჭრო ვალდებულებები მოკლევადიანი ვალდებულებების 65%-ს შეადგენდა, ხოლო ჯამური ვალდებულების 26% იყო. ამასთან, თანხობრივი მაღალი მაჩვენებელი განპირობებულია სს „ნიკორა ტრეიდი“-ს საქმიანობის



გაფართოებით და ეფექტიანობით. გაფართოებული პლატფორმა კომპანიის პოზიციებს აძლიერებს და აძლევს საშუალებას უკეთესი პირობები მიიღოს სავაჭრო პარტნიორებისაგან.

სავაჭრო ვალდებულებები	2022	2023	2024	30.06.2025
ღირებულება (ათასებში)	166,193	201,774	216,264	205 938
მიმდინარე ვალდებულებების წილი	74%	70%	67%	65%

სესხები და ობლიგაციები:

* ათასი ლარი

ობლიგაციები და სესხები	30.06.2025	31.12.2024
ობლიგაციები და სესხები		
საბანკო სესხები ცვლადი პროცენტით	82 819	75 476
საბანკო სესხი ფიქსირებული პროცენტით	783	938
ობლიგაციები ცვლადი პროცენტით.	60 000	60 000
სესხების გრძელვადიანი ნაწილი	143 602	136 414
საბანკო სესხები ცვლადი პროცენტით	41 295	34 149
სესხები დაკავშირებული მხარისგან ფიქსირებული პროცენტით	94	88
ობლიგაციები ცვლადი პროცენტით	36 467	36 408
სესხების მიმდინარე ნაწილი	77 856	70 645
სულ სესხები	221 458	207 059

საბანკო სესხები არის 1- დან 10 წლამდე ვადიანობის. ქართულ ლარში დენომინირებულ სესხებს გადასახდელი აქვთ წლიურად პროცენტის მცოცავი განაკვეთი, რომელიც უთანაბრდება რეფინანსირების განაკვეთს (2025 წლის 30 ივნისის და 2024 წლის 31 დეკემბრისათვის შეადგენს 8.00%) დამატებული 3.5%. ევროში დენომინირებულ სესხებს აქვთ საშუალოდ წლიური 6.175%-8.912% მცოცავი განაკვეთი მიზნული Euribor-ზე, დოლარში დენომინირებულ სესხებს აქვთ საშუალოდ წლიური 7.05% - 10.33% მცოცავი განაკვეთი მიზნულია აშშ დოლარის SOFR-ზე. ფიქსირებული სესხები წარმოადგენს ლარებში ნომინირებულ სესხებს და მათი განაკვეთი არის 11%, ხოლო დოლარში და ევროში 6.4 % - 8.5 % დიაპაზონში. სესხები უზრუნველყოფილია ძირითადი საშუალებებით, სავაჭრო მოთხოვნებითა, ბიოლოგიური აქტივებით და მარაგებით. სესხების უზრუნველყოფაში არსებული აქტივების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ შესაბამისი აქტივების განმარტებითი შენიშვნები.

2022 წლის ნოემბერში კომპანიამ გამოუშვა 35 მილიონი ლარის ღირებულების ობლიგაციები, რომლის დაფარვის ვადაა 2025 წლის 28 ნოემბერი. კომპანიას ობლიგაციებზე გადასახდელი აქვს წლიურად TIBR3M განაკვეთს (2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით შეადგენს 8.1233%-ს, ხოლო 2024 წლის 31 დეკემბრისათვის შეადგენს 3 თვიანი პერიოდისათვის წლიური 8.3087 პროცენტი) დამატებული 3.5%. ობლიგაციებზე კუპონი/პროცენტი გადაიხდება ყოველკვარტალურად. ობლიგაციები წარმოადგენს კომპანიის პირდაპირ არაუზრუნველყოფილ ვალდებულებებს, რომლებიც რიგითობით უთანაბრდება ერთმანეთს და კომპანიის ყველა სხვა არაუზრუნველყოფილ და არა-სუბორდინირებულ ვალდებულებას.

2024 წლის 17 ოქტომბერს, ჯგუფში შემავალმა კომპანიამ სს „ნიკორა თრეიდ“-მა გამოუშვა 60 მილიონი ლარის ღირებულების ობლიგაციები, რომლის დაფარვის ვადაა 2029 წლის 17 ოქტომბერი. ჯგუფს ობლიგაციებზე გადასახდელი აქვს წლიურად თბილისის ბანკთაშორის საპროცენტო განაკვეთს (2024 წლის 31 დეკემბრისათვის შეადგენს 3 თვიანი პერიოდისათვის წლიური 8.3087 პროცენტი) დამატებული 3.25 %. ობლიგაციებზე კუპონი გადაიხდება სამ თვეში ერთხელ. ობლიგაციები წარმოადგენს ჯგუფის პირდაპირ არაუზრუნველყოფილ ვალდებულებებს, რომლებიც რიგითობით უთანაბრდება ერთმანეთს და ჯგუფის ყველა სხვა არაუზრუნველყოფილ და არა-სუბორდინირებულ ვალდებულებას.

სესხები და ობლიგაციები ითვალისწინებს გარკვეულ შემზღუდველ პირობებს. მოცემული გულისხმობს გარკვეული ფინანსურ და არაფინანსურ ვალდებულებების დაკმაყოფილებას, მათ შორის დივიდენდების გაცემასთან დაკავშირებულ შეზღუდვებს. ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში ობლიგაციების მფლობელს/გამსესხებელს წარმოექმნება უფლება და არა ვალდებულება მოითხოვოს შესაბამისი სესხის სრული ან ნაწილობრივი დაფარვა ვადაზე ადრე.



ქვემოთ მოცემულია კომპანიის მიერ 2022 წელს გამოშვებული ობლიგაციებით და ცალკეული ბანკის სესხებით ნაკისრი ფინანსური ვალდებულებების/შეზღუდვების (ფინანსური კოეფიციენტების) ძირითადი ნაწილი, რომელიც უნდა დაკმაყოფილდეს სს ნიკორა ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დონეზე, ეს მოთხოვნები 2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით დაკმაყოფილებულია:

მომგებიანობიდან დათვლილი სესხის მომსახურების კოეფიციენტი მინიმუმ (DSCR)	1.1
ფულადი ნაკადებიდან დათვლილი სესხის მომსახურების კოეფიციენტი მინიმუმ (DSCR)	1.1
ვალდებულება EBITDA-სთან მაქსიმუმ (DEBT/EBITDA)	4.5 (4 ბანკის ხელშეკრულებით)

იჯარები აღრიცხული ფასს 16-ის თანახმად

საიჯარო ხელშეკრულებები მოიცავს საოპერაციო საქმიანობისთვის განკუთვნილი მაღაზიების და სასაწყობე ფართების იჯარას. იჯარის სახელშეკრულებო პერიოდი მოიცავს 1-12 წლამდე პერიოდს. ხელმძღვანელობა გონივრულად ვარაუდობს გაგრძელების უფლების გამოყენებას იმ ფართების შემთხვევაში, რომელიც ჯგუფისთვის ეკონომიკური სარგებლის მომტანია და მოქმედებს წარსული გამოცდილების საფუძველზე. ჯგუფი იჯარის ვადას გადახდევს ყოველი პერიოდის ბოლოს და მსჯელობის საფუძველზე აფასებს იჯარის დარჩენილ ვადას. იჯარის გაგრძელების უფლება გამყარებულია მიღებული საქმიანი პრაქტიკით.

ჯგუფს არ გააჩნია იჯარის ხელშეკრულებების მსგავსი პირობებით მიღებული სესხები მიმდინარე ან შესადარის პერიოდში. სესხის პროცენტის განსაზღვრისთვის გამოიყენა დაკვირვებადი საბაზრო მონაცემები მსგავსი სექტორისთვის. ზღვრული სასესხო განაკვეთი შეადგენს 11.00 % - 14.00 % ლარში დადებული ხელშეკრულებების შემთხვევაში, ხოლო დოლარის ხელშეკრულებების შემთხვევაში 7.00% - 9.00%.

ცხრილი გვიჩვენებს აქტივების გამოყენების უფლების მოძრაობას:

* ათასი ლარი

30.06.2025 31.12.2024

საწყისი ნაშთი	160 974	146 552
შემოსვლა	7 771	41 489
ცვეთა	(14 730)	(30 645)
იჯარის პირობებში მოდიფიკაციის ეფექტი	1 758	4 846
შეწყვეტა	(460)	(1 268)
საბოლოო ნაშთი	155 313	160 974

საწყისი ნაშთი	163 301	143 700
შემოსვლა	7 771	41 489
საპროცენტო ხარჯი.	6 692	13 033
გადახდა	(21 726)	(44 562)
კურსთაშორის სხვაობის ეფექტი.	(4 400)	6 054
იჯარის პირობებში მოდიფიკაციის ეფექტი	1 758	4 846
შეწყვეტა	(724)	(1 259)
საბოლოო ნაშთი	152 672	163 301

კაპიტალი:

სს “ნიკორა“-ს სააქციო კაპიტალი 2025 წლის 30 ივნისისთვის მოიცავს 6,471 ათას ცალ (წინა წელსაც ანალოგიურად) ჩვეულებრივ აქციას, რომლებიც გამოშვებულია 1 ლარის ნომინალური ღირებულებით და ასევე, 160 ცალ (რომლისგანაც განთავსებულია 2025 წლის 30 ივნისის და 2024 წლის 31 დეკემბრის



მდგომარეობით 160-ვე) პრივილეგირებულ აქციას, რომლებიც გამოშვებულია 50,000 აშშ დოლარის ნომინალური ღირებულებით.

ჩვეულებრივი აქციის მფლობელებს არ გააჩნიათ უფლება ფიქსირებულ შემოსავალზე. ხმის უფლებები ნაწილდება განთავსებული აქციების პროპორციულად. ჩვეულებრივი აქციის მფლობელებს აქვთ უფლება მიიღონ კომპანიის მიერ გამოცხადებული დივიდენდი.

არაგამოსყიდვადი პრივილეგირებული აქციების მფლობელებს აქვთ უფლებამოსილება, მიიღონ წლიური დივიდენდი ფიქსირებული პროცენტით, რომელიც არ არის მუდმივი და შესაძლოა შეიცვალოს ჩვეულებრივი აქციების მფლობელთა გადაწყვეტილებით. პრივილეგირებულ აქციებს არ აქვს ხმის უფლება.

შემოსავალი:

ჯგუფის ამონაგები ფორმირდება მაღაზიებიდან პროდუქციის საცალო რეალიზების და წარმოება, იმპორტი დისტრიბუციიდან საბითუმო რეალიზაციის შედეგად. ამონაგები აღიარდება დროის კონკრეტულ მომენტში. 2025 წლის პირველ ნახევარში ჯგუფის კონსოლიდირებულმა გაყიდვებმა 757 მილიონი შეადგინა, რაც 12%-ით მეტია წინა წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით:

* ათასი ლარი	6 თვე 2025	6 თვე 2024
საკვები.	401 527	372 472
არასაკვები	284 167	250 100
სულ საცალო	685 694	622 572
საკვები	71 988	55 234
არასაკვები	-	-
მომსახურების გაწევით მიღებული შემოსავალი	5	2
სხვა..	35	23
სულ საბითუმო	72 028	55 259
სულ	757 722	677 831

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება და საერთო მოგება:

* ათასი ლარი	6 თვე 2025	6 თვე 2024
გაყიდული პროდუქტი	(534 155)	(471 754)
დანაკლისი და ვადაგასული პროდუქტი	(15 950)	(9 247)
სულ	(550 105)	(481 001)

შემოსავალი 12.0%-ით, ხოლო რეალიზებული საქონლის თვითღირებულება 14%-ით გაიზარდა.

გაყიდვების და მიწოდების ხარჯი:

გაყიდვების და მიწოდების დანახარჯები მოიცავს მაღაზიის კონსულტანტების, მოლარეების და სავაჭრო მაღაზიის სხვა თანამშრომლების ხელფასს, აგრეთვე მარკეტინგისა და დისტრიბუციის თანამშრომლების ხელფასს; აგრეთვე მოიცავს სავაჭრო მაღაზიის შენობების, თაროების, მაცივრებისა და მაღაზიის სხვა აღჭურვილობის, სადისტრიბუციო მანქანების ცვეთას ასევე იჯარით სარგებლობის აქტივის ცვეთას და სხვა გაყიდვასთან და დისტრიბუციასთან დაკავშირებულ ხარჯებს:

* ათასი ლარი

გაყიდვების და მიწოდების ხარჯები	6 თვე 2025	6 თვე 2024
თანამშრომელთა ხელფასი	(82 528)	(76 351)
ცვეთა და ამორტიზაცია	(29 204)	(25 955)
კომუნალური ხარჯი	(13 945)	(13 566)
დისტრიბუცია	(6 507)	(6 245)
მარკეტინგის ხარჯი	(5 568)	(3 530)
იჯარა	(9 654)	(6 704)
რემონტი	(2 269)	(2 110)
სხვა	(14 691)	(8 743)
სულ	(164 366)	(143 204)

ადმინისტრაციული ხარჯები	6 თვე 2025	6 თვე 2024
თანამშრომელთა ხელფასი	(13 830)	(12 795)
ცვეთა და ამორტიზაცია	(4 464)	(3 967)
საგადასახადო ხარჯი	(2 921)	(3 707)
საოფისე ხარჯი	(889)	(635)
კონსულტაცია და პროფესიული მომსახურება	(587)	(854)
მივლინების და წარმომადგენლობითი ხარჯები	(381)	(389)
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	(2 406)	(2 220)
სულ	(25 478)	(24 567)



ფინანსური რისკების მართვა

საბაზრო რისკი:

„კომპანიის“ საბაზრო რისკი უმთავრესად წარმოიშობა ლარის გაცვლითი კურსის და საპროცენტო განაკვეთების ცვლილებებისგან, რომლებიც მომდინარეობს საოპერაციო და საინვესტიციო საქმიანობებიდან. მიუხედავად იმისა, რომ ტრანზაქციების უმეტესობა ლარებში ხორციელდება, ჯგუფს ასევე გააჩნია უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გარკვეული ოპერაციები. ჯგუფი არ იყენებს არანაირ წარმოებულ ინსტრუმენტებს სავალუტო რისკის მართვისთვის.

ჯგუფი სავალუტო რისკის მგრძნობელობას ანგარიშობს შესაბამისი უცხოური ვალუტების ლართან მიმართებაში 20%-ით გაზრდაზე და შემცირებაზე. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოხატულ დაუფარავ ფულად მუხლებს და აკორექტირებს მათ გადაფასებას პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილების მიხედვით. ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებას.

	30.06.2025		31.12.2024	
	აშშ დოლარი	ევრო	აშშ დოლარი	ევრო
ფინანსური აქტივები				
წმინდა სავაჭრო მოთხოვნები	3 445	1 415	4 803	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	121	163	66	1
სულ ფინანსური აქტივები	3 566	1 578	4 869	1
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9 150	8 083	8 154	3 506
საიჯარო ვალდებულებები	139 812	65	149 546	70
სესხები და ობლიგაციები	29 090	33 822	32 587	19 431
სულ ფინანსური ვალდებულებები	178 052	41 970	190 287	23 007
წმინდა სავალუტო პოზიცია	(174 486)	(40 392)	(185 418)	(23 006)

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს უცხოური ვალუტის მიმართ მგრძნობელობას.

	აშშ დოლარი/ლარი +20%	აშშ დოლარი/ლარი - 20%	ევრო/ლარი +20%	ევრო/ლარი - 20%
მოგება/(ზარალი) 30.06.2025	(34 897)	34 897	(8 078)	8 078
მოგება/(ზარალი) 31.12.2024	(37 084)	37 084	(4 601)	4 601

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე. ჯგუფი დგას საპროცენტო რისკის წინაშე, რადგანაც ჯგუფს გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე მიღებული სესხები და ობლიგაციები.

ქვემოთ წარმოდგენილი მგრძნობელობის ანალიზი ჩატარდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის არაწარმოებული ინსტრუმენტების საპროცენტო განაკვეთების მიმართ არსებული რისკის საფუძველზე. ცვალებადი განაკვეთის ვალდებულებების შემთხვევაში, ანალიზი მომზადდა იმის დაშვებით, რომ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის დაუფარავი ვალდებულების თანხა მთელი წლის განმავლობაში დაუფარავი იყო. 100 საბაზისო ერთეულის გაზრდა (100 საბაზისო ერთეული შეესაბამება 1 პროცენტთან ცვლილებას) ან შემცირება ხდება საპროცენტო განაკვეთის რისკის შიდა ანგარიშგებისას უმაღლესი რგოლის



ხელმძღვანელობისთვის და წარმოადგენს ხელმძღვანელობის მიერ საპროცენტო განაკვეთების შესაძლო ცვლილების შეფასებას, გონივრულობის ფარგლებში.

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს საპროცენტო განაკვეთის მგრძნობელობას 2025 წლის ივნისის და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	30.06.2025		31.12.2024	
	ზრდა 100 საბაზისო პუნქტით	შემცირება 100 საბაზისო პუნქტით	ზრდა 100 საბაზისო პუნქტით	შემცირება 100 საბაზისო პუნქტით
მოგება/(ზარალი)	(2 206)	2 206	(2 060)	2 060

მგრძნობელობის ანალიზის შეზღუდვა.

ზემოთ მოცემული ცხრილი ასახავს ერთი ცვლადის ცვლილებას იმ დაშვებით, რომ სხვა ცვლადები დარჩება უცვლელი. რეალურად, ცვლადები ერთმანეთთან კორელაციურ კავშირშია და ერთი ცვლადის ცვლილება გავლენას ახდენს სხვა დანარჩენზე. ცვლადებს შორის ურთიერთობა არ არის წრფივი და მცირე ან დიდი ცვლილება შეიძლება არ იყოს გამოსადეგი შედეგების ექსტრაპოლაციისთვის. მოცემული მგრძნობელობის ანალიზი დამატებით შეზღუდულია იმით, რომ დაშვება არის ჰიპოტეტური პოტენციური რისკის დემონსტრაციისთვის და წარმოადგენს ჯგუფის მოსაზრებას ბაზრის შესაძლო ცვლილებაზე. რეალურად ბაზრის სამომავლო ცვლილება შეუძლებელია წინასწარ განისაზღვროს.

მგრძნობელობის ანალიზი არ ითვალისწინებს იმ ფაქტს რომ ჯგუფის აქტივები და ვალდებულებები იმართება აქტიურად. შესაბამისად, ჯგუფის ფინანსური მდგომარეობა შეიძლება იყოს განსხვავებული საბაზრო ფაქტორების ცვლილებების დროს. ჯგუფის ფინანსური რისკის მართვის პოლიტიკის მიზანია გაუმჯობესდეს ბაზარზე არასასურველი ცვლილების ეფექტს.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. ჯგუფის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. ჯგუფის საკრედიტო რისკი, ძირითადად განპირობებულია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებიდან, სხვა ფინანსური აქტივებიდან და ფული და ფულის ეკვივალენტებიდან (გარდა ნაღდი ფულისა).

ჯგუფი საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ცალკეული კონტრაგენტის კრედიტუნარიანობის საფუძველიან ანალიზს, კონტრაგენტის დიდძალი დავალიანების თავიდან აცილებას, ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის მკაცრ კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას.

საკრედიტო რისკის მონიტორინგის მიზნით, ჯგუფი მომხმარებლებს აერთიანებს მათი ვადაგადაცილების სტატუსის მიხედვით. საკრედიტო რისკის სამართავად ჯგუფი განიხილავს შემდეგ ფაქტორებს: მომხმარებელი იურიდიული პირია თუ ფიზიკური, ბითუმად მოვაჭრეა თუ საცალოდ, მომხმარებლების გეოგრაფიულ განაწილებასა და წარსულში ფინანსური სიმძნელების არსებობას. მაღალ რისკიანი მომხმარებლები გაერთიანებულია შეზღუდულ მომხმარებელთა ჯგუფში და მათზე რეალიზაცია ხორციელდება წინასწარი ანაზღაურების საფუძველზე. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს.

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობას:

	30.06.2025	31.12.2024
სხვა ფინანსური აქტივები	-	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	27 879	36 601
ფული და ფულის ეკვივალენტები გარდა ნაღდი ფულისა	31 892	19 909
სულ	59 771	56 510

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს სესხების გასტუმრება და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის ხელმძღვანელობა ახორციელებს სისტემატურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია ფინანსური ვალდებულებების კატეგორიების ლიკვიდურობის ანალიზი იმისდა მიხედვით, თუ როდის არის მოსალოდნელი მათი დაფარვა. ამ ცხრილებში წარმოდგენილი თანხები შესაძლოა არ შეესაბამებოდეს ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში აღრიცხულ თანხებს, რადგან ქვემოთ წარმოდგენილი ინფორმაცია მოიცავს ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზს, რაც უთითებს ხელშეკრულების მიხედვით დარჩენილ მთლიან დაუდისკონტირებელ გადახდებს საპროცენტო დავალიანების ჩათვლით. იმის გათვალისწინებით, რომ ჯგუფს აქვს ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მატარებელი სესხები და ობლიგაციები, მომავალში გადასახდელი ფულადი ნაკადები გაანგარიშებულია საანგარიშგებო წლის ბოლოს დაფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. ქვემოთ მოცემულ ცხრილში გვიჩვენებს ლიკვიდურობის ანალიზს

	6 თვეზე ნაკლები	6 თვიდან 1 წლამდე	1 - 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	201 780	-	-	-	201 780
საიჯარო ვალდებულებები	25 787	24 355	132 084	33 504	215 730
სესხები და ობლიგაციები	33 756	51 059	165 960	19 806	270 581
სულ 31.12.2024	261 323	75 414	298 044	53 310	688 091

	6 თვეზე ნაკლები	6 თვიდან 1 წლამდე	1 - 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	188 052	-	-	-	188 052
საიჯარო ვალდებულებები	24 109	22 770	123 487	31 323	201 689
სესხები და ობლიგაციები	70 604	12 512	147 358	26 973	257 447
სულ 30.06.2025	282 765	35 282	270 845	58 296	647 188

კაპიტალის რისკის მართვა

ჯგუფი თავის კაპიტალთან დაკავშირებულ რისკს მართავს იმისათვის, რომ უზრუნველყოს ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა და ამავდროულად დაინტერესებული მხარეების უკუგების მაქსიმიზაცია, მოზიდული და საკუთარი კაპიტალის ოპტიმალური ბალანსის დაცვის გზით. ჯგუფის ხელმძღვანელობა რეგულარულად მიმოიხილავს კაპიტალის სტრუქტურას. ასეთი განხილვების ფარგლებში, ჯგუფის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ჯგუფი აბალანსებს მთლიანი კაპიტალის სტრუქტურას დივიდენდების გაცემით, აღებული სესხის თანხით კაპიტალის ზრდით და არსებული სესხების დაფარვით.

3. რისკის ფაქტორები

კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებული რისკები:

„კომპანია“ მგრძნობიარეა როგორც საერთო მაკროეკონომიკური ცვლილებების, ასევე სამომხმარებლო მოთხოვნის მიმართ, რომელთა ცვლილებამ შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ფინანსურ შედეგებზე.

ბიზნესის მომგებიანობაზე შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს ზოგადი ეკონომიკური პირობების გაუარესებამ. „კომპანიას“ არ აქვს კონტროლი ეკონომიკურ ფაქტორებზე, რომელიც გავლენას ახდენს მის საქმიანობაზე, როგორცაა სავალუტო კურსი, ფულადი გზავნილების მოცულობა, ინფრასტრუქტურული დანახარჯების მოცულობა, სურსათის ფასები, ნავთობის ფასები და სამომხმარებლო ხარჯები. ეს ფაქტორები უფრო ართულებს „კომპანიისთვის“ წინასწარ განჭვრიტოს ცვლილებები მისი მომწოდებლის ხარჯებში, მომხმარებლების განწყობაში, და ფასების დონეში რამაც შესაძლოა არსებითი უარყოფითი გავლენა მოახდინოს „კომპანიის“ ეფექტურობაზე მისი საოპერაციო და ფინანსური შედეგების თვალსაზრისით.

სამომხმარებლო ფასის ინდექსით განსაზღვრული ინფლაციის მაჩვენებელი მნიშვნელოვანი ინდიკატორია, როგორც ქვეყნის ეკონომიკისთვის, ასევე „კომპანიის“ ბიზნესისთვის. სამომხმარებლო კალათის მნიშვნელოვანი ნაწილი შედგება ისეთი სწრაფად ბრუნვადი პროდუქტებისგან, რომელთაზეც „კომპანიის“ ძირითადი საქმიანობაა დაკავშირებული. ქვეყანაში ფასების ზრდის სამიზნეზე მაღალ მაჩვენებელზე ხანგრძლივად შენარჩუნებამ და/ან მისმა არასტაბილურმა დინამიკამ შესაძლოა გაზრდილი ხარჯებისა და მომხმარებელთა გადახდისუნარიანობის შემცირების გამო გაზარდოს წნეხი მარჟაზე, რამაც, თავისმხრივ, შესაძლოა არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ბიზნესსა და ფინანსურ მაჩვენებლებზე.

რყევები საქართველოს საცალო ყოველდღიური მოხმარების საქონლის ბაზარზე ისტორიულად დაკავშირებულია ცვლილებებთან საერთო ეკონომიკურ პირობებში, მოხმარებასთან, რომელიც ზოგადად იზრდება ეკონომიკური ექსპანსიის დროს და მცირდება რეცესიის დროს. საქართველოში ეკონომიკური ვარდნა გავლენას ახდენს როგორც საერთო მაკროეკონომიკურ პირობებზე, ასევე პირადი მოხმარების დონეზე. სამომხმარებლო მოთხოვნის შემცირებამ საქართველოში ასევე შესაძლოა გამოიწვიოს კონკრეტულ მომწოდებლებთან მოქმედი მიწოდების ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ფასდაკლების პირობის შეუსრულებლობა, რომელიც საზიანო გავლენას იქონიებს კომპანიის საოპერაციო შედეგებზე.

„კომპანიამ“ შესაძლებელია ვერ შეინარჩუნოს საკუთარი ზრდის მაჩვენებელი და/ან ამჟამინდელი პოზიცია ბაზარზე

2024 წლის მდგომარეობით, „ნიკორა“ 16.4%-იანი ზაზრის წილით ბრენდულ ქსელებში, ორგანიზებული FMCG ბაზრის ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშეა. აღსანიშნავია, რომ ორგანიზებულ FMCG ბაზარზე მძაფრი კონკურენცია შეინიშნება, რაც საკმაოდ მოკლე დროში, 2024 წელს კომპანიების კონსოლიდირებითა და ზაზრის წილების მნიშვნელოვანი რყევებით დასტურდება. 2024 წელს სპარი, მაგნიტი, დეილი და გვირილა გაერთიანდნენ დეილი ჯგუფის პოლდინგის ქვეშ და გახდნენ საქართველოს ბაზრის ლიდერები 27.6%-იანი წილით. ამავე წელს, ბაზარზე 17.0% ზაზრის წილით, მეორე ადგილი დაიკავა ქსელმა „ორი ნაბიჯი“. ისტორიულად მოწინავე პოზიციის მიუხედავად, 2024 წელს „ნიკორამ“, გამძაფრებული კონკურენციისა და დეილი ჯგუფის კონსოლიდაციის ფონზე, 16.4% ზაზრის წილით მესამე ადგილი დაიკავა.

ამასთან, ბაზარი, რომელზეც „კომპანია“ ოპერირებს, არის ძალიან ცვალებადი და ხასიათდება ახალი მოთამაშეების გამოჩენით, არსებული მოთამაშეების გასვლითა და მოთამაშეების კონსოლიდაციით/გაერთიანებით. ახალ მოთამაშეებს აქვთ სხვადასხვა დონის ფინანსური შესაძლებლობები და ბაზარზე მუშაობის გამოცდილება. მიუხედავად იმისა, რომ „კომპანია“ ბაზარზე ბოლო 27 წლის მანძილზე წარმატებულად ფუნქციონირებს, ხასიათდება მზარდი ტენდენციით და ფართოვდება, ახლად გამოჩენილი კონკურენტების გამოცდილების მაღალი დონის ან „კომპანიის“ მიერ თავისი განვითარების მიზნების (რომლებიც ძირითადად მოიცავს ბაზრის წილის ზრდას და პლატფორმის გაფართოებას ქვეყნის რეგიონებში) მიუღწევლობის შედეგად, „კომპანიამ“ შესაძლებელია ვერ შეინარჩუნოს საკუთარი ზრდის მაჩვენებელი და/ან ამჟამინდელი პოზიცია ბაზარზე. დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ - „ინდუსტრიის აღწერა“.

„კომპანია“ შესაძლოა ვერ მართოს ქსელის გაფართოებასთან დაკავშირებული საოპერაციო რისკები

„კომპანია“ სწრაფად გაიზარდა მას შემდეგ რაც საქმიანობა დაიწყო. მაღაზიათა ქსელი, წარმოდგენილი შვილობილი „ნიკორა ტრედიტ“, რომელიც მოიცავდა 52 მაღაზიას 2010 წელს, 2023 წლის დეკემბრის მდგომარეობით მოიცავდა 579 მაღაზიას. ხოლო 2024 წლის ბოლოს წარმოდგენილი იყო 634 მაღაზიით.

ზრდის ამგვარი ტემპის გამო შესაძლოა შემცირდეს კომპანიის ეფექტურობა, წარმოიქმნას სირთულეები ოპერაციების დონეზე, გამოიწვიოს წყვეტა საწარმოო ციკლში (შესყიდვა, მომარაგება). უნდა აღინიშნოს, რომ ამ რისკების მართვაში კომპანიას დიდი გამოცდილება აქვს. 2015 წელს მოხდა ნუგეშის ქსელის შესყიდვა, ასევე აქტიურად მიმდინარეობდა ახალი მაღაზიების გახსნა. ყოველივე ამის შედეგად 2015 წელს სავაჭრო ობიექტების რაოდენობა 93-ით გაიზარდა, რაც 85%-იან ზრდას ნიშნავს. ახლადშექმნილი აქტივების ინტეგრაცია 2016 წელს წარმატებით დასრულდა.

„კომპანია“ შესაძლოა საფრთხე შეუქმნას რომელიმე მომწოდებელზე დამოკიდებულების მაღალმა ხარისხმა

რომელიმე მომწოდებელზე დამოკიდებულების მაღალმა ხარისხმა „კომპანიას“ მომწოდებელთან ურთიერთობის გაუარესების ან მომწოდებლის ბაზრიდან გასვლის შემთხვევაში შესაძლოა ისეთი სირთულეები შეუქმნას, როგორებიცაა წყვეტა პროდუქციის მოწოდებაში, რეალიზაციების შემცირება, მომხმარებელთა დაკარგვა, დამატებითი ლიკვიდური სახსრების მიმართვა საბრუნავ კაპიტალში და სხვა. აღსანიშნავია, რომ „კომპანიას“ აქვს მომწოდებლების ფართო და მრავალფეროვანი ბაზა, რომელიც მოიცავს დისტრიბუტორებს, იმპორტიორებსა და ადგილობრივ მწარმოებლებს. დივერსიფიცირებული მომწოდებლების ბაზა საშუალებას აძლევს „კომპანიას“ უზრუნველყოს სტაბილური მომარაგება და მინიმუმამდე დაიყვანოს ზემოთ ხსენებული რისკები, დაკავშირებული ერთ ან რამდენიმე მომწოდებელთან შესაძლო შეფერხებებთან. მიმდინარე მდგომარეობით უმსხვილესი მომწოდებლის წილი („ნიკორა ჯგუფში“ შემავალი კომპანიების გარდა) ნაკლებია 8%-ზე. გარდა ამისა, თითოეული პროდუქტისთვის მიწოდებას რამდენიმე კონკურენტი კომპანია ახორციელებს, შესაბამისად, რომელიმე მათგანის გასვლა ქსელიდან არ იწვევს მნიშვნელოვან ცვლილებას კომპანიის საქმიანობაში, რადგან ასეთ მომწოდებელს მარტივად ანაცვლებს მისი კონკურენტი, ხოლო საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია მნიშვნელოვანი პროდუქტების საკუთარი ძალებით იმპორტი.

კომპანიას ჰყავს მომწოდებლები როგორც რუსეთიდან, რომელთა წილი 2024 წლის იმპორტებში 19%-ია. კომპანიის შეფასებით, დამოკიდებულება კრიტიკული არა არის ვინაიდან კომპანიას ჰყავს ალტერნატიული მომწოდებლები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან, და აქვს გამოცდილება გაუმკლავდეს აღნიშნულ რისკ ფაქტორს - კერძოდ, რუსეთ-უკრაინის ომის საწყის პერიოდში მცისიერად იქნა ჩანაცვლებული შესაბამისი მომწოდებლები და კომპანიის ოპერაციებს, არსებითი შეფერხება არ შეჰქმნია. თუმცა, აღნიშნული ბუფერების მიუხედავად, მსხვილი მომწოდებელი ქვეყნის ჩანაცვლების საჭიროებამ შესაძლოა გამოიწვიოს გაუთვალისწინებელი ხარჯები და მარაგების შევსების პრობლემები, რაც უარყოფით აისახება კომპანიის საოპერაციო შედეგებზე.

იმპორტის ქვეყნებზე დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ ქვეთავი „კომპანიის ძირითადი საოპერაციო მაჩვენებლები“

„კომპანია“ შესაძლოა აღმოჩნდეს მარაგების გაუვარგისების რისკის წინაშე პროდუქციის ვადის გასვლის გამო

იმ შემთხვევაში, თუ „კომპანია“ არ დაიცავს პროდუქციის შენახვის ნორმებს, შესაძლოა იგი დადგეს მარაგების გაუვარგისების რისკის წინაშე. ამასთან ერთად, თუ „კომპანია“ სწორად ვერ მართავს პროცესებს და მოხდება ვადაგასული პროდუქციის რეალიზაცია, შესაძლოა მიადგეს რეპუტაციული და სამართლებრივი ზიანი, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინოს მის საოპერაციო შედეგებზე. ამჟამად, მარაგების ბალანსის მონიტორინგი ხორციელდება საოპერაციო განყოფილების მიერ, პროდუქტის ვიზუალური მდგომარეობის, ვადის გასვლის, თაროების მოწესრიგების და სხვა პირობების რეგულარული შემოწმების გზით. გარდა ამისა, მაღაზიებში პროდუქციის განლაგება და რეალიზაცია ხდება „FIFO“ მეთოდის დაცვით, რაც გულისხმობს რიგითობის დაცვას და პირველ რიგში უფრო ადრე შეძენილი პროდუქტის განლაგებასა და გაყიდვას. აღსანიშნავია, რომ დაზიანებული და/ან ვადაგასული პროდუქტები უბრუნდება მომწოდებელს ან იგზავნება საწყობში გასანადგურებლად.

„კომპანიას“ არ აქვს დაზღვევა იჯარით აღებულ კომერციულ ფართებზე და შესაბამისად, რამდენიმე სადაზღვევო შემთხვევის ერთდროულად დადგომამ შესაძლოა არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს მის საქმიანობაზე

„კომპანიის“ მაღაზიები ძირითადად განთავსებულია იჯარით აღებულ ფართებში. შესაბამისად, არც თვითონ უძრავი ქონება, სადაც მაღაზიებია განთავსებული და არც მათში განთავსებული მარაგები თუ მანქანა-დანადგარები არ არის დაზღვეული. იმ შემთხვევაში, თუ ერთდროულად დადგება სადაზღვევო რისკი ობიექტების მნიშვნელოვან რაოდენობაში ამან შესაძლოა არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ საოპერაციო შედეგებსა და ზოგადად, მის საქმიანობაზე.

„კომპანიას“ მიაჩნია, რომ აღნიშნული რისკი მეტწილად დივერსიფიცირებულია, ვინაიდან მაღაზიები საკმაოდ მცირე მოცულობისაა და ერთი კონკრეტული ლოკაციის დაზიანებამ (თუნდაც სრულმა) არ შეიძლება მოიტანოს იმხელა ზიანი, რაც ფინანსურად მომგებიანს გახდიდა შესაბამისი ობიექტების დაზღვევას. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ქსელში არსებული მაღაზიების 73% 200 კვ.მ-ზე ნაკლები ფართობისაა.

აღსანიშნავია, რომ „კომპანიას“ დაზღვეული აქვს კუთვნილი უძრავი ქონება და მასში არსებული პროდუქციაც.

„კომპანიის“ გაყიდვები დამოკიდებულია დისტრიბუციის არხებზე, რომელთა შეფერხებამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ საქმიანობაზე

„კომპანიას“ აქვს ინტეგრირებული პროდუქციის მიწოდების არხები საკუთარ სტრუქტურაში, რაც მოიცავს ჯგუფში შემავალ სადისტრიბუციო განყოფილებას, რომელიც ამარაგებს „ემიტენტს“. დისტრიბუციის არხებში შეფერხებამ შესაძლოა გამოიწვიოს გაყიდვების შემცირება, მომხმარებლის დაკარგვა და სხვა უარყოფითი გავლენები „კომპანიის“ ფინანსურ შედეგებზე.

საცალო ვაჭრობის სექტორის კონსოლიდაციამ შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს „კომპანიაზე“

ამჟამად საცალო ვაჭრობის სექტორი საქართველოში დაყოფილია ორგანიზებულ და არაორგანიზებულ სეგმენტებად. საჯაროდ ხელმისაწვდომი ფინანსური ანგარიშგებების მიხედვით ორგანიზებულ სეგმენტში წამყვანი პოზიცია გაყიდვების მოცულობის მიხედვით „კომპანიას“ უჭირავს. არსებობს რისკი, რომ მოხდეს ორგანიზებული ბაზრის კონსოლიდაცია და ბაზარზე შედეგად გამოჩნდეს დამატებით ერთი ან რამდენიმე მსხვილი კონკურენტი მოთამაშე, რამაც შეიძლება გამოიწვიოს საფასო კონკურენციის გამძაფრება, მარჟების შემცირება და ბაზრის წილების ცვლილება.

2024 წლის ივლისში საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტომ თანხმობა განაცხადა შპს „დეილის“ (ს/ნ: 406088638) მიერ შპს „ფუდმარტის“ (ს/ნ: 404460187) 100%-იანი წილის შესყიდვაზე რომლის შედეგადაც გაერთიანდება სპარის (მათ შორის იოლი), დეილის და გვირილას ქსელები. არაორგანიზებული სეგმენტი დანაწევრებულია ინდივიდუალურ მოთამაშეებად და მათ კონსოლიდაციის ალბათობა შედარებით დაბალია, თუმცა შესაძლებელია მოხდეს არაორგანიზებული სეგმენტის ეტაპობრივი ჩანაცვლება ორგანიზებული მოთამაშეების მიერ გრძელვადიან პერსპექტივაში. აღნიშნული ტენდენცია დასტურდება ორგანიზებული ბაზრის წილობრივი ზრდით, ხოლო არაორგანიზებული ბაზრის წილის შემცირებით - 2019 წელს ორგანიზებული ბაზრის წილი FMCG ბაზარზე 30%-ს, ხოლო 2023 წელს 36%-ს წარმოადგენდა. დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ - „ინდუსტრიის აღწერა“ – „FMCG ბაზრის ჩაშლა ორგანიზებულ და არაორგანიზებულ ნაწილებად“.

ვალუტის კურსის ცვლილებებმა იქონია და შეიძლება მომავალშიც იქონიოს გავლენა „კომპანიაზე“

„კომპანიის“ ხარჯების გარკვეული ნაწილი დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, უმეტესად აშშ დოლარში, მაშინ როცა მისი შემოსავლის დიდი ნაწილი დენომინირებულია ქართულ ლარში. „კომპანია“ პროდუქციის უდიდეს ნაწილს ადგილობრივ ბაზარზე ყიდულობს ადგილობრივი მომწოდებლებისგან და პირდაპირ ყიდის მომხმარებელზე. ადგილობრივი იმპორტიორებისგან განხორციელებული შესყიდვები ლარში არის დენომინირებული, კურსის ცვლილება პირველ რიგში იმპორტიორებზე ახდენს გავლენას და მხოლოდ შემდეგ შეიძლება გადაეცეს „კომპანიას“. გასაყიდი საქონელი სწრაფად ბრუნვადია, რის გამოც „კომპანიას“ საკუთრო ცვლილებების შედეგად შეცვლილი თვითღირებულების გასაყიდ ფასებში ასახვა მალევე შეუძლია. იმის ზუსტად დადგენა თუ თავად ადგილობრივმა მომწოდებლებმა პროდუქციის რა ნაწილი შემოიტანეს იმპორტის მეშვეობით და რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს ადგილობრივი მომწოდებლების ფასებზე გაცვლით კურსების ცვლილებას მენეჯმენტის შეფასებით შეუძლებელია.

„კომპანიის“ საიჯარო კონტრაქტების 70%-მდე აშშ დოლარშია დენომინირებული. უცხოური ვალუტის იჯარები ფიქსირებული განაკვეთისაა, ხოლო ლარის იჯარები უმეტესად კონკრეტული მაღაზიის ბრუნვაზეა დაკავშირებული. იჯარების უმეტესობის საშუალო ხანგრძლივობა 2-12 წელს შეადგენს. „კომპანიას“ ყოველთვის არ აქვს შესაძლებლობა აწარმოოს მოლაპარაკებები სახელშეკრულებო პირობებთან დაკავშირებით, რათა შეამციროს საკუთარი სავალუტო რისკები, და, ამასთან, ფასების ზრდა ქართულ ლარში შეიძლება იყოს კონტრპროდუქტიული (გამოიწვიოს მომხმარებელთა რაოდენობის შემცირება). შედეგად, ვალდებულებების ვალუტის კურსის მიმართ ლარის კურსის ნებისმიერმა გაუფასურებამ შესაძლებელია გამოიწვიოს წმინდა მოგების შემცირება, რამაც, თავის მხრივ, შეიძლება განაპირობოს ბიზნესის ზრდისკენ მიმართული ინვესტიციების შეწყვეტა და მენეჯმენტის მობილიზება არსებული საბაზრო პოზიციის შენარჩუნებისკენ. აღნიშნულმა შესაძლებელია არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიაზე“.

მიუხედავად იმისა, რომ „კომპანიას“ სურს შეამციროს უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ვალდებულებების რაოდენობა, მსგავსი ზომები არ იძლევა უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებასთან დაკავშირებული რისკებისგან დაცვის გარანტიას. თუ ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლართან მიმართებაში შეიცვლება, ამან შესაძლებელია „კომპანიას“ მიაყენოს ზიანი, რამაც, თავის მხრივ, შეიძლება არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიაზე“.

„კომპანიის“ სავალუტო პოზიციასთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ „სარეგისტრაციო დოკუმენტი - ფინანსური რისკის მართვა - სავალუტო რისკი“.

„კომპანიას“ აქვს არასაკმარისი ლიკვიდურობა, რამაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ გადახდისუნარიანობაზე

სარეიტინგო სააგენტოს შეფასების თანახმად კომპანიის ლიკვიდურობა არასაკმარისია. სარეიტინგო სააგენტოს პროგნოზში „კომპანიის“ თავისუფალი ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან უარყოფითი იქნება მოკლევადიან და საშუალოვადიან პერსპექტივაში. აღნიშნული განპირობებულია „კომპანიის“ მასშტაბური CAPEX გეგმიდან, რის დაფინანსებასაც „კომპანია“ თავისი და მისი შვილობილის, „ნიკორა ტრეიდის“ ობლიგაციების გამოშვებით აპირებს.

აღსანიშნავია, „ჯგუფის“ მნიშვნელოვანი დამოკიდებულება მოკლევადიან ვალდებულებებზე. კომპანიას აქვს უარყოფითი საბრუნავი კაპიტალი, ვინაიდან საცალო ვაჭრობის სეგმენტში, კომპანია მომხმარებლებისგან მომენტალურად იღებს შემოსავლებს, ხოლო მომწოდებლებთან კი აქვს მოქნილობა თანხა გადაიხადოს კონსიგნაციით. უარყოფითი საბრუნავი კაპიტალი საცალო ვაჭრობის სფეროს კომპანიებისთვის დამახასიათებელია, თუმცა იმ შემთხვევაში, თუ მომწოდებლებთან კონსიგნაციის დღეები შემცირდება, „კომპანია“ დადგება ლიკვიდურობის რისკის წინაშე. აღსანიშნავია, რომ 2024 წლის მდგომარეობით, ფულის ამოღების ციკლი გაიზარდა და შეადგინა 4.5 დღე (2023: -4.4), რაც მიუთითებს შენელებულ ფულის ამოღებაზე, რამაც თავის მხრივ შესაძლოა გაზარდოს კომპანიის ლიკვიდურობის რისკი. ფულის ამოღების ციკლის შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ „ძირითადი ფინანსური კოეფიციენტები“.

აღნიშნულმა ლიკვიდურობის რისკმა, შეიძლება გამოიწვიოს „კომპანიის“ დაფინანსების მოთხოვნების ზრდა, რამაც, თავის მხრივ, შესაძლებელია გაზარდოს „კომპანიის“ სავალო ტვირთი. აღნიშნულმა შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ განვითარების სტრატეგიასა და ასევე მის უნარზე დროულად შეასრულოს ფინანსური ვალდებულებები.

„კომპანიას“ შესაძლებელია წარმოეშვას მნიშვნელოვნად მეტი დავალიანება ან განახორციელოს სხვა ქმედებები, რამაც შეიძლება გაზარდოს ზედმეტი დავალიანების წარმოშობის რისკების ინტენსივობა

ორგანული ზრდის ეფექტურად მართვის მიზნით, „კომპანიამ“ დროულად უნდა გააფართოვოს და განავითაროს თავის ოპერაციული სისტემები და პროცედურები. თუ „კომპანია“ ვერ შეძლებს ამას საჭირო სახსრების ან კვალიფიციური პერსონალის არარსებობის გამო, შესაძლებელია იგი ვეღარ მოემსახუროს მისი მომხმარებლების მოთხოვნებს, აიყვანოს და შეინარჩუნოს ახალი თანამშრომლები, დაიწყოს ახალი ბიზნესი, ეფექტურად მართოს ბიუჯეტის ხარჯები, ზუსტად განსაზღვროს ოპერაციული ხარჯები ან სხვაგვარად ეფექტურად წარმართოს საკუთარი ბიზნესი. იმ საქმიანობის სფეროების ბუნების გათვალისწინებით, რომლებშიც „კომპანიას“ ოპერირებს, შესაძლებელია მას დროდადრო მოუწიოს პოტენციურ დანახარჯებთან დაკავშირებით მენეჯმენტის გათვლების შეცვლა და, შედეგად, უფრო ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, შეიძლება ასევე შეიცვალოს მისი დაფინანსების მოთხოვნები. აღნიშნულმა შესაძლოა გამოიწვიოს პროექტის

დანახარჯების რესტრუქტურისა და გაზარდოს ან შეამციროს „კომპანიის“ მოსალოდნელი ფულადი სახსრების მიმოქცევა.

მითითებულმა რისკმა, ასევე ზემოთ აღწერილმა ნებისმიერმა სხვა ფაქტორმა, შეიძლება გამოიწვიოს „კომპანიის“ დაფინანსების მოთხოვნების ზრდა, რამაც, თავის მხრივ, შესაძლებელია გაზარდოს „კომპანიის“ საცალო ტვირთი. ზემოთ აღწერილმა ფაქტორებმა, შესაძლოა ასევე გამოიწვიოს ფულადი ნაკადების შემცირება, რაც თავის მხრივ შეამცირებს კომპანიის შესაძლებლობას მოემსახუროს ვალდებულებებს და გაზარდოს ლევერიჯი (გამოხატული Debt/EBITDA კოეფიციენტებით, რომელიც ფიგურირებს საბანკო კოვენანტებში).

აღნიშნულმა გარემოებებმა შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ განვითარების სტრატეგიასა და ასევე მის უნარზე დროულად შეასრულოს ფინანსური ვალდებულებები.

შრომითმა დაგეგმვა და გაფიცებმა შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ წარმოების დონესა და მომგებიანობაზე

„კომპანიის“ საქმიანობა დამოკიდებულია სამუშაო ძალასთან დადებითი ურთიერთობების შენარჩუნებაზე. „კომპანიის“ წარმოების დონეზე ზეგავლენა შეიძლება იქონიოს შრომითმა დაგეგმვა პროფკავშირებთან რამაც შეიძლება გამოიწვიოს საქმიანობის შენელება, შეფერხება ან შეჩერება გაფიცვის შემთხვევაში. შრომითი პროცესის შეჩერებამ შეიძლება გამოიწვიოს პროდუქციის მომხმარებელზე მიწოდების შეფერხება ან დროებითი შეჩერება, რამაც შესაძლოა გრძელვადიანი უარყოფითი გავლენა იქონიოს მომხმარებელთან ურთიერთობასა და საბაზრო პოზიციებზე. „კომპანიის“ საქმიანობაზე ასევე შეიძლება გავლენა იქონიონ მისი მომწოდებლების შრომითმა დაგეგმვა თავიანთ თანამშრომლებთან და პროფკავშირებთან.

„კომპანიის“, მისი მომწოდებლების თანამშრომლების გაფიცებმა, სამუშაოს შეჩერებამ ან შენელებამ მატერიალური უარყოფითი ზეგავლენა შეიძლება იქონიოს „კომპანიის“ მომგებიანობაზე, ფინანსურ მდგომარეობასა და საქმიანობის წარმოების უნარზე.

უმაღლესი ხელმძღვანელობისა და კვალიფიციური პერსონალის მოზიდვის და შენარჩუნების შეუძლებლობამ შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს „კომპანიის“ საოპერაციო და ფინანსურ შედეგებზე

„კომპანია“ დამოკიდებულია ტოპ მენეჯმენტზე საქმიანობის ყველა ძირითადი მიმართულებით, როგორებიცაა ხარისხის კონტროლი, გაყიდვები და მარკეტინგი, ლოგისტიკა, ფინანსური მართვა და სხვა. „კომპანიის“ ტოპ მენეჯმენტის ბევრ წევრს აქვს დიდი გამოცდილება საცალო ვაჭრობის და საკვების წარმოების სფეროებში. „კომპანიის“ წარმატება დამოკიდებულია შესაფერისი, კვალიფიციური და გამოცდილი ხელმძღვანელი პირების იდენტიფიცირებაზე, აყვანაზე, განვითარებასა და შენარჩუნებაზე.

ასევე აღსანიშნავია, რომ FMCG სექტორის მზარდი კონკურენციის პირობებში, ახალ და კვალიფიციურ კადრებზე მოთხოვნა იზრდება, ხოლო ადამიანური რესურსების ხელმისაწვდომობა შეზღუდულია. თუ „კომპანია“ ვერ შეძლებს ტოპ მენეჯმენტის წევრებისა და ძირითადი პერსონალის დროულად მოზიდვას, განვითარებასა და შენარჩუნებას, „კომპანიას“ შესაძლოა მოუწიოს სახელფასო ხარჯების ზრდა, რამაც შესაძლოა არსებითად უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს „კომპანიის“ მომგებიანობაზე, ფინანსურ მდგომარეობასა და საქმიანობის წარმოების უნარზე.

საქართველოში კორპორაციული მართვის სტანდარტები მუდმივად ვითარდება. ეს განსაკუთრებით რელევანტურია ანგარიშვალდებული საწარმოების შემთხვევაში. „კომპანია“ იცავს რა კორპორაციული მართვის კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს, 2023 წელს პირველად წარადგინა კორპორაციული მართვის ანგარიში. იმ შემთხვევაში თუ საკანონმდებლო დონეზე დაწესდება დამატებითი მოთხოვნები შიდა კორპორაციული მოწყობის ნაწილში, აღნიშნულმა რეგულაციებმა შესაძლოა გაზარდოს „კომპანიის“ სახელფასო და/ან ადმინისტრირებისათვის საჭირო რესურსი. ამან კი შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს „კომპანიის“ საოპერაციო და ფინანსურ შედეგებზე.

2014-2024 წლების აუდიტის დასკვნა მოდიფიცირებულია, რის გამოც ფინანსურ ანგარიშგებაში მოყვანილი მონაცემები, რომელზეც აუდიტორმა პირობითი მოსაზრება გამოხატა, შესაძლოა ზუსტად არ ასახავდნენ ეკონომიკურ რეალობას. ასევე, ახალი ან არსებული ანგარიშგების სტანდარტების არასწორმა ინტერპრეტაციამ შესაძლოა არასწორად ასახოს „კომპანიის“ არააუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მოყვანილი შედეგები და „კომპანიის“ ფინანსების ეკონომიკური რეალობა

აუდიტის პირობითი მოსაზრების საფუძველი გახდა გუდვილის შეფასების მეთოდი. „კომპანიის“ და მისი შვილობილების კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჩართული იყო 2015 წელს შპს „ნუგეშის“ 100%-ის შემენისას წარმოქმნილი გუდვილის ღირებულება. შპს „ნუგეშის“ შემენისას გუდვილის ღირებულება დათვლილი იყო როგორც სხვაობა შემენისას გადახდილ ანაზღაურებასა და შემენის მომენტში შემენილი კომპანიის იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების სააღრიცხვო ღირებულებას შორის. გუდვილის ღირებულების განსაზღვრის ასეთი მეთოდი არ შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს.

აუდიტორის მოდიფიცირებული დასკვნის შინაარსიდან გამომდინარე არსებობს რისკი, რომ „კომპანიის“ ფინანსური ანგარიშგება ზუსტად არ ასახავდეს მის ეკონომიკურ რეალობას და რომ ანგარიშგებაში ნაჩვენები რიცხვები რომლებზეც აუდიტორმა მოდიფიცირებული დასკვნა გამოხატა მატერიალურად განსხვავდებოდნენ რეალური მონაცემებისგან.

„კომპანიის“ მენეჯმენტი ვარაუდობს, რომ დროულად მოახდენს ჯგუფის საანგარიშგებო პოლიტიკაში შესაბამისი ახალი თუ უკვე არსებული სტანდარტების, ცვლილებებისა და ინტერპრეტაციების ასახვას.

„კომპანია“ დამოკიდებულია ბრენდსა და მის რეპუტაციაზე, რეპუტაციულმა ზიანმა შესაძლოა მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინოს „კომპანიის“ შემოსავლებზე

ადგილობრივ, ბაზარზე კომპანია სარგებლობს კარგი რეპუტაციითა და მომხმარებლების მაღალი ნდობით, შესაბამისად, კომპანიას დანერგილი აქვს მთელი რიგი ოპერაციებისა, რომ უზრუნველყოს პროდუქციის ხარისხის სტანდარტებთან შესაბამისობა და ჯანმრთელობისთვის უვნებლობა, მათი პერიოდული შემოწმებით და ტექნოლოგიების მუდმივი მონიტორინგითა და გაუმჯობესებით.

სს ნიკორა ტრეიდს დანერგილი აქვს სურსათის უვნებლობის, ხარისხის და გარემოდაცვითი მენეჯმენტის სისტემები და მიღებული აქვს შესაბამისი ISO სერთიფიკატი: 22000:2018, ვადიანობით 2026 წლის 18 დეკემბრამდე, ISO 9001:2015, ვადიანობით 2026 წლის 18 დეკემბრამდე; ISO 14001:2015 ვადიანობით 2026 წლის 14 ნოემბრამდე. ემიტენტის ჯგუფში შეავალი კომპანიები შპს ნიკორა, შპს ჩვენი ფერმერი, შპს ოკეანე, შპს მზარეული 1, შპს კორიდა ფლორენ, ISO სერთიფიკატს: 22000:2018, ვადიანობით 2026 წლის 30 ნოემბრამდე, ISO 9001:2015, ვადიანობით 2026 წლის 30 ნოემბრამდე. არსებობს რისკი იმისა, რომ გაუთვალისწინებელი შემთხვევების დადგომის შედეგად კომპანიამ ვერ შეძლოს ხარისხის დაცვა და ჯგუფს შეეღაზოს რეპუტაცია, რაც მნიშვნელოვნად აისახება მის საოპერაციო და ფინანსურ შედეგებზე“

„კომპანიის“ საკრედიტო რეიტინგის შემცირებამ შესაძლოა შეზღუდოს ახალ სასესხო საშუალებებზე მოლაპარაკებების ან სასესხო კაპიტალის ბაზრებზე წვდომის შესაძლებლობა და გაზარდოს სესხის აღების ხარჯები ან/და უარყოფითად იმოქმედოს კრედიტორებთან ურთიერთობაზე.

„კომპანიის“ ან მისი შვილობილი „ნიკორა ტრეიდის“ საკრედიტო რეიტინგის გაუარესებამ, შესაძლოა გაზარდოს კომპანიის მიერ დაფინანსების მოპოვების ღირებულება, ან შეზღუდოს „კომპანიის“ შესაძლებლობა მოიზიდოს დაფინანსება, რაც თავის მხრივ უარყოფითად იმოქმედებს „კომპანიის“ კაპიტალური დანახარჯების გეგმებსა და მის ფინანსურ მდგომარეობაზე.

„კომპანიის“ საკრედიტო რეიტინგი მნიშვნელოვანი ფაქტორია „კომპანიის“ მიერ სესხების სახსრების ღირებულების განსაზღვრაში. ამ დოკუმენტის მომზადების დღისთვის, ემიტენტს Scope-ის მიერ მინიჭებული აქვს ემიტენტის გრძელვადიანი რეიტინგი BB- სტაბილური პერსპექტივა.

უახლეს, 2024 წლის 29 აგვისტოს საკრედიტო რეიტინგის ანგარიშში (Scope Ratings) აღნიშნულია, რომ კომპანიის სამომავლო რეიტინგის და პერსპექტივის (Outlook) შესაძლოა გაუარესების სცენარისთვის ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორი იქნებოდა სარეიტინგო სააგენტოს მიერ კორექტირებული ვალი/EBITDA მაჩვენებლის სტაბილურად/მდგრადად დაფიქსირება 2.5x ნიშნულზე მაღლა; Pro-Forma სცენარებში

წარდგენილი ვალი/EBITDA კოეფიციენტები აჭარბებს ხსენებულ ნიშნულს, რაც ბადებს რისკს, რომ „ობლიგაციებით“ მოზიდულმა ვალდებულებებმა შესაძლოა გამოიწვიოს რეიტინგის გაუარესება. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ Pro-Forma მაჩვენებლები დათვლილია 2024 წლის რიცხვებით და წარმოდგენილია მხოლოდ საილუსტრაციო მიზნებისთვის. სარეიტინგო სააგენტო კოეფიციენტების კალკულაციისთვის იყენებს ისტორიულ და სამომავლო დაპროგნოზებულ მაჩვენებლებს.

ასევე აღსანიშნავია, რომ კომპანიის მენეჯმენტი გრძელვადიან პერსპექტივაში არ მოიაზრებს აღნიშნული კოეფიციენტის 2.5x ნიშნულზე ზემოთ შენარჩუნებას და მენეჯმენტი გადაფასებს დამატებითი სასესხო ვალდებულებების ათვისების საჭიროებას, თუ ეს უკანასკნელი რისკს შეუქმნის კოვენანტების შესრულებას თუ რეიტინგის შენარჩუნებას. ასევე აღსანიშნავია, რომ „კომპანია“ 2019 წელს რეიტინგის პირველი მინიჭებიდან წარმატებით ინარჩუნებს BB- რეიტინგს.

დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ ქვეთავები „ძირითადი ფინანსური კოეფიციენტები“ და „კომპანიის საკრედიტო რეიტინგი“

უძრავი ქონების შეფასება საჭიროებს მნიშვნელოვან დაშვებებს, რის გამოც ფინანსურ ანგარიშგებაში მოყვანილი მონაცემები შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს უძრავი ქონების სამართლიანი ღირებულებისგან

„კომპანიის“ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებულ იქნა დამოუკიდებელი შემფასებლის სს „სავის“ მიერ მომზადებული უძრავი ქონების შეფასების ანგარიში. უძრავი ქონების საშემფასებლო საქმიანობა არ არის რეგულირებადი საქართველოში, არ მოითხოვს სახელმწიფო ლიცენზირებას და არ ექვემდებარება სახელმწიფო ზედამხედველობას.

უძრავი ქონების შეფასება საჭიროებს მნიშვნელოვან დაშვებებს. შეფასების პროცესში უზუსტობის არსებობის შემთხვევაში უძრავი ქონების სამართლიანი ღირებულება შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ღირებულებისგან.

კომპანიას შესაძლოა დაერღვეს საბანკო ხელშეკრულებებით ან „ობლიგაციების“ პირობებით განსაზღვრული ფინანსური და/ან არა-ფინანსური დათქმები

„კომპანიამ“ შეიძლება ვერ უზრუნველყოს საკრედიტო ხელშეკრულებით ან ემისიის პროსპექტით გათვალისწინებული ფინანსური ან არა-ფინანსური დათქმების შესრულება. ამასთან, არ არსებობს იმის გარანტია, რომ „კომპანია“ შეძლებს გათავისუფლების წერილების (waiver letter) მიღებას შესაბამისი მხარეებისგან, და რომ კრედიტორები არ ამოქმედებენ

სასესხო ხელშეკრულების და ობლიგაციების „პროსპექტის“ ფარგლებში გათვალისწინებულ სანქციებს, რაც შესაძლოა გამოიხატოს ახალი დაკრედიტების გაცემაზე უარის თქმაში, ჯარიმებისა და საურავების დარიცხვაში, არსებული საკრედიტო დავალიანებების დაუყოვნებლივ გადახდის მოთხოვნაში და სხვა. აღნიშნული სანქციების ამოქმედებამ შესაძლოა არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ფინანსურ მდგომარეობასა და საოპერაციო საქმიანობაზე.

შვილობილი კომპანიებიდან დივიდენდების შემოღინების შეჩერებამ, შესაძლოა რისკი შეუქმნას „ემიტენტის“ საკრედიტო ვალდებულებების მომსახურების შესაძლებლობას

სს „ნიკორა“ წარმოადგენს ჰოლდინგურ საწარმოს, რომლის შვილობილები კონცენტრირდებიან ბიზნესის კონკრეტულ მიმართულებაზე. შესაბამისად, შვილობილებისგან მიღებული დივიდენდები წარმოადგენს შემოსავლის ერთ-ერთ ძირითად წყაროს. უშუალოდ სს „ნიკორა“ ასევე ფლობს უძრავ ქონებას, მიწისა და შენობების სახით, რომლებსაც აქირავებს შვილობილ კომპანიებზე და შედეგად საიჯარო შემოსავალი ასევე წარმოადგენს კომპანიის შემოსავლის ერთ-ერთ ძირითად წყაროს. კომპანია ასევე აგენერირებს საპროცენტო შემოსავალს, შემოსავალს შვილობილების მომსახურებიდან და შემოსავალს როიალტიდან. ჯგუფის სტრუქტურიდან გამომდინარე, შვილობილი კომპანიებიდან დივიდენდების შემოღინების შეჩერებამ, შესაძლოა რისკი შეუქმნას „ემიტენტის“ საკრედიტო ვალდებულებების მომსახურების შესაძლებლობას.

მარეგულირებელ ჩარჩოსთან დაკავშირებული რისკები:

ახალმა რეგულაციებმა ამ და სხვა ინდუსტრიაში შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის საქმიანობაზე;

კომპანია ექვემდებარება კანონებს და რეგულაციებს, რომლებიც არეგულირებს პროდუქტების მიმოქცევას და საკვები პროდუქტების უსაფრთხოებას, დასაქმების სტანდარტებს, გარემოსდაცვით საკითხებს, გადასახადებს და სხვა საკითხებს. შესაძლებელია, რომ მომავალმა ცვლილებებმა მოქმედ რეგიონულ, ტერიტორიულ, ადგილობრივ კანონმდებლობასა და რეგულაციებში ან ცვლილებებმა მათ აღსრულებასა და ინტერპრეტირებაში გამოიწვიოს იმ საკანონმდებლო მოთხოვნების ცვლილებები, რომლებიც კომპანიას ეხება. გარდა ამისა, ევროკავშირთან დაახლოების გეგმებთან დაკავშირებით საქართველოში მუდმივად ტარდება ახალი რეფორმები, რაც შესაძლოა ნეგატიური გავლენის მომტანი აღმოჩნდეს კომპანიის ბიზნეს ოპერაციებისთვის.

შეუძლებელია წინასწარმეტყველება, შეიცვლება თუ არა მომავალში ის მარეგულირებელი რეჟიმები, რომლებიც კომპანიაზე ვრცელდება და ასევე რთულია ამ ცვლილებების მონეტარული გავლენის შეფასება კომპანიის საქმიანობაზე. თუმცა ახალმა რეგულაციებმა რომლებიც არეგულირებს პროდუქტების მიმოქცევასთან, საკვები პროდუქტების უსაფრთხოებას, თუ სხვა საკითხთან დაკავშირებით შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის ინვესტიციებზე. დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ ქვეთავი: „მარეგულირებელი გარემო“.

2022 წელს ძალაში შევიდა „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ კანონი, რომლითაც განისაზღვრა მომხმარებელსა და საქონლის მიმწოდებელს შორის ურთიერთობის მარეგულირებელი ახალი წესები და პირობები:

(i) ძალაში შევიდა „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ კანონი, რომლითაც განისაზღვრა მომხმარებელსა და საქონლის მიმწოდებელს შორის ურთიერთობის მარეგულირებელი ახალი წესები და პირობები

მაკონტროლებელ ორგანოდ განისაზღვრა კონკურენციის სააგენტო, რომელმაც 2022 წლის პირველი ნოემბრიდან დაიწყო კანონის აღსრულების კონტროლი.

დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში, ბიზნეს-სუბიექტებს ჯერ გააფრთხილებენ, შემდეგი ნაბიჯი კი ჯარიმაა, რომლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს კომპანიის წინა ფინანსური წლის ბრუნვის 2%-ს. აღსანიშნავია, რომ ჯარიმის ოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იყოს დარღვევის სიმძიმე.

ინდუსტრიისა და ეკონომიკისათვის დამახასიათებელი რისკები:

ეკონომიკური არასტაბილურობისა და ინვესტირების რისკი მაღალია ისეთ განვითარებად ქვეყნებში, როგორიც საქართველოა:

პოლიტიკურმა და სამთავრობო არასტაბილურობამ საქართველოში შესაძლოა მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინოს ადგილობრივ ეკონომიკასა და კომპანიის ბიზნესზე;

1991 წელს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველომ მნიშვნელოვანი პოლიტიკური ტრანსფორმაცია განიცადა საბჭოთა კავშირის წევრი რესპუბლიკიდან დამოუკიდებელ, სუვერენულ დემოკრატიამდე.

ამჟამად საქართველო რამდენიმე გამოწვევის წინაშე დგას, მათ შორის, რუსეთთან კვლავ დამაბული ურთიერთობისა და შემდგომი ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმების გატარების საჭიროების ჩათვლით. არ არსებობს იმის გარანტია, რომ გაგრძელდება პოლიტიკური ან/და ეკონომიკური, ბიზნესისა და ინვესტირებისთვის ხელსაყრელი, რეფორმების გატარება ან რომ ეს მცდელობები წარმატებული იქნება; ასევე, ასეთი რეფორმები და ეკონომიკური ზრდა შესაძლოა შეფერხდეს სამთავრობო ცვლილებით ან/და პრეზიდენტის, პარლამენტისა თუ სხვა ინსტიტუტების მიერ სარეფორმო პოლიტიკის გატარებაზე უარის თქმის შედეგად.

ამასთანავე, 2024 წლის 26 ოქტომბერს ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებში „ქართულმა ოცნებამ“ 150-წევრიან პარლამენტში მიიღო 89 მანდატი, 61 მანდატი მოიპოვა ოთხმა ოპოზიციურმა პარტიამ - „კოალიცია ცვლილებებისთვის: გვარამია, მელია, გირჩი, დროა“ (19 მანდატი), „ერთიანობა-ნაციონალური მოძრაობა“ (16 მანდატი), „მლიერი საქართველო-ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის“ (14 მანდატი) და „გაზარია

საქართველოსთვის“ (12 მანდატი). ოპოზიციურმა სპექტრმა უარი თქვა არჩევნების შედეგების აღიარებასა და პარლამენტში შესვლაზე და საპროტესტო რეჟიმში გადავიდა. ამასთან, აღნიშნული ოპოზიციური პარტიებიდან პირველმა სამმა სადეპუტატო მანდატების გაუქმების მოთხოვნით ცენტრალურ საარჩევნო კომისიას მიმართეს. ამ უკანასკნელმა მოთხოვნის შესაბამისად რეგისტრაცია გაუუქმა სამივე პოლიტიკურ გაერთიანებას.

გარდა ამისა, ბოლო პერიოდში გლობალურად აქტიურად ხდება ფინანსური თუ სხვა სანქციების დაწესება ისეთი იურისდიქციების მიერ, რომელთა პოლიტიკა ამ მიმართულებით დიდ გავლენას ახდენს ფინანსურ ბაზრებზე. რეგიონში შექმნილი ვითარება სანქციების შემოღების რისკებს ზრდის. შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ ემიტენტზე, მის ბენეფიციარ მესაკუთრეზე ან ემიტენტის კონტრაჰენტებზე გავრცელდება სანქციების რეჟიმი, გამომდინარე იქიდან, რომ სანქციების რეჟიმები მრავლისმომცველი და ფართოა, აღნიშნულმა შესაძლებელია ემიტენტის საქმიანობაზე მოახდინოს უარყოფითი გავლენა ან შესაძლებელია გაართულოს ან/და შეუძლებელი გახადოს ემიტენტის მიერ წინამდებარე პროსპექტის საფუძველზე გამოშვებული ობლიგაციებიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულება (მათ შორის, ობლიგაციების ძირი თანხის ან/და მათზე დარიცხული საპროცენტო სარგებლის (კუპონი) გადახდა) ან ობლიგაციების განკარგვა ნებისმიერი ფორმით სანქციით დადგენილი ვადის განმავლობაში.

ამჟამად, პოლიტიკური გაურკვევლობა კვლავ სახეზეა და ნებისმიერმა შემდგომმა პოლიტიკურმა არასტაბილურობამ შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე, მათ შორის საინვესტიციო კლიმატზე და კერძო ბიზნესის საქმიანობაზე. პოლიტიკურმა არასტაბილურობამ და ეკონომიკური რეფორმების წარუმატებლობამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს საქართველოს ეკონომიკაზე, რასაც ამასთანავე უარყოფითი გავლენა ექნება კომპანიის ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერირების შედეგებსა და განვითარების პერსპექტივაზე.

არსებობს დამატებითი რისკის ფაქტორები, რომლებიც უკავშირდება ისეთ განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებას, როგორიც საქართველოა;

განვითარებად ბაზრებს ახასიათებთ უფრო დიდი არასტაბილურობა, შეზღუდული ლიკვიდურობა, ნაკლები მოცულობის საექსპორტო ბაზა და მათზე უფრო მეტად მოქმედებს ხშირი ცვლილებები პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და მარეგულირებელ გარემოში, ვიდრე განვითარებულ ბაზრებზე. განვითარებადი ბაზრები სწრაფად იცვლება და ისინი განსაკუთრებით დაუცველები არიან საბაზრო პირობებისა და მსოფლიოს ნებისმიერ ადგილას მომხდარი ეკონომიკური კრიზისების წინაშე.

გარდა ამისა, საერთაშორისო ინვესტორების რეაქცია მოვლენებთან დაკავშირებით ზოგჯერ „ჯაჭვური ეფექტით“ ხასიათდება, როდესაც ინვესტორები უარყოფენ მთლიანად რეგიონს ან ინვესტიციის კლასს. თუ ადგილი ექნება ამგვარ ჯაჭვურ ეფექტს, საქართველოზე შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს სხვა განვითარებად ბაზრებზე მომხდარმა ნეგატიურმა ეკონომიკურმა ან ფინანსურმა მოვლენებმა. საქართველომ წარსულში უკვე განიცადა ჯაჭვური ეფექტი, მათ შორის, რუსეთის 1998 წლის ფინანსური კრიზისის და უფრო გვიანდელი გლობალური ფინანსური კრიზისის შემდეგ და შესაძლებელია, რომ ქვეყანამ მსგავსი უარყოფითი ზეგავლენა მომავალშიც განიცადოს.

ამასთან, ქვეყნის ეკონომიკაზე უარყოფითი გავლენა შეიძლება იქონიოს ფინანსურმა და პოლიტიკურმა არასტაბილურობამ. აღნიშნულის შემთხვევაში, ადგილი ექნება კაპიტალის გადინებას, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვნად დააზიანოს ფინანსური სისტემა და, საბოლოოდ, ეკონომიკა სტაგნაციაში გადაიყვანოს.

საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების მიერ საქართველოსთვის მინიჭებული შემდეგი რეიტინგი:

- Fitch Ratings – BB (Negative Outlook) - თებერვალი, 2025;
- Moody's – Ba2 (Negative Outlook) - მარტი, 2025;
- S&P Global Ratings – BB (Stable Outlook) - თებერვალი, 2025.

კომპანიის საქმიანობაზე შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს ლარის გაუფასურებამ დოლართან/სხვა ეკონომიკურად დაკავშირებული ქვეყნების ვალუტებთან მიმართებით;

მიუხედავად იმისა, რომ ლარი სრულად კონვერტირებადი ვალუტაა, მისი საქართველოს ფარგლებს გარეთ კონვერტირებისთვის საერთოდ არ არსებობს სავალუტო ბაზარი. საქართველოში არსებობს ბაზარი ლარის სხვა ვალუტებში კონვერტირებისთვის, მაგრამ მისი მოცულობა მეტ-ნაკლებად შეზღუდულია. ზოგადად,

საქართველოში ოფიციალურად ლარის კურსი ფორმირდება აშშ დოლარის მიმართ, ხოლო ლარი/ევროს კურსზე გავლენას ახდენს როგორც ლარის დოლარის, ასევე ევრო დოლარის კურსის ცვლილებები.

საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, მისმა საერთაშორისო რეზერვმა 4.7 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა 2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, რომელიც წლიურად 2.3%-ით არის გაზრდილი. მიუხედავად ზრდისა, მიმდინარე რეზერვების დონე ადეკვატურ დონეზე დაბალია საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეფასებით. შესაბამისად, მისი შევსება საქართველოს ეროვნული ბანკის მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს, რადგან რეზერვების დონეს აკვირდებიან ინვესტორები, საკრედიტო ორგანიზაციები და ა.შ. და აფასებენ თუ რამდენად შესწევს უნარი ქვეყანას შეამსუბუქოს საგარეო შოკებიდან მომდინარე უარყოფითი გავლენები, მათ შორის ლარის გაცვლით კურსზე ერთჯერადი შეტევები.

წლების მანძილზე ლარის კურსი აშშ დოლართან მიმართებაში მნიშვნელოვნად იცვლებოდა როგორც საგარეო შოკების, ასევე სეზონური ფაქტორების გამო. ამასთან, საგარეო კრიზისების პერიოდში ასევე ადგილი ჰქონდა ევროს დასუსტებას აშშ დოლარის მიმართ. მათგან აღსანიშნავია: 2015 წლის ნავთობის და ინდუსტრიული საქონლის ფასების გლობალური შოკი - ამ პერიოდში ლარი უფრო მეტად გაუფასურდა, ვიდრე ევრო გაუფასურდა აშშ დოლარის მიმართ, რამაც საბოლოოდ გამოიწვია ლარის კურსის ევროსთან გაუფასურება, თუმცა უფრო ნაკლები ზომით; 2020 წელს კორონავირუსის პანდემიით გამოწვეული პრობლემები - გაცვლითმა კურსმა ისტორიულ მაქსიმუმს, 1 აშშ დოლარზე 3.48 ლარს, მიაღწია, ევროს კურსი აშშ დოლარის მიმართ წლის პირველ ნახევარში გაუფასურდა, შემდეგ გამყარდა და მნიშვნელოვნად გააუფასურა ლარის კურსი ევროს მიმართ; 2022 წელს რუსეთის შეჭრა უკრაინაში - რუსეთ-უკრაინის ომის საწყის ფაზაში ლარმა რეგიონის სხვა ვალუტებთან ერთად მოულოდნელი გაუფასურება დაიწყო. 2022 წლის 24 თებერვალსა და 10 მარტს შორის პერიოდში ლარი დოლართან მიმართებით 12.8%-ით გაუფასურდა და 1 დოლარის ღირებულებამ 3.40 ლარი შეადგინა. თუმცა, ამავედროულად, ევროც მნიშვნელოვნად გაუფასურდა აშშ დოლარის მიმართ და ადგილი არ ჰქონია ლარის დიდ გაუფასურებას ევროს მიმართ. ამავე წლის მომდევნო თვეებში საქართველოს ეკონომიკამ აჩვენა მდგრადობა რეგიონული შოკის მიმართ და შეინარჩუნა კაპიტალის შემოდინებისა და ქვეყნის შიდა აქტივობის დონე, რის შედეგადაც ლარმა გამყარების ტენდენცია შეიძინა და მისი ღირებულება, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, წლიურად 12.8%-ით გაიზარდა აშშ დოლართან მიმართებით. აღნიშნულ პერიოდში ევროს კურსი აშშ დოლარის მიმართ გაუფასურებული დარჩა, რომელიც საბოლოოდ ლარი/ევროს კურსზე პოზიტიურად აისახა. 2023 წლის განმავლობაში ლარის კურსი ევროს მიმართ მცირედით გაუფასურდა, რაც ძირითადად იხსნება ევროს გამყარებით აშშ დოლარის მიმართ. ლარის კურსი აშშ დოლარის მიმართ სტაბილურობას ინარჩუნებდა 2023 წლის განმავლობაში, რაზეც დადებითი გავლენა ჰქონდა კაპიტალის მაღალ შემოდინებასთან ერთად საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მკაცრი მონეტარული პოლიტიკის გატარებას, რაც გამოიხატა 2022 წლის განმავლობაში რეფინანსირების განაკვეთის 11.0%-მდე გაზრდით. ამასთან, მკვეთრად გაზრდილი სავალუტო შემოდინებების ფონზე, ეროვნულმა ბანკმა რეზერვები შეავსო - 2022 წლის განმავლობაში სებ-ის წმინდა სავალუტო შესყიდვამ 564.5 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. რეზერვების შევსება მაღალი საგარეო შემოდინებების პირობებში გაგრძელდა 2023 წელსაც - საქართველოს ეროვნულმა ბანკმა სავალუტო ბაზარზე 1,474 მლნ აშშ დოლარი შეისყიდა, ხოლო გაყიდა 194.9 მლნ აშშ დოლარი, რის შედეგადაც ეროვნული ბანკის საერთაშორისო რეზერვები წლიურად 2.2%-ით 5.0 მლრდ აშშ დოლარამდე გაიზარდა 2023 წელს. რაც შეეხება 2024 წელს, მიუხედავად სტაბილური სავალუტო შემოდინებებისა, პოლიტიკური გაურკვევლობების ფონზე ლარის გაცვლით კურსზე გაუფასურების მიმართლებით მსხვილი ერთჯერადი შეტევები განხორციელდა მასივი-ივნისის და სექტემბერ-ოქტომბრის თვეებში. განსაკუთრებით, წინასაარჩევნოდ შექმნილი გარკვევლობებიდან გამომდინარე, ეროვნულ ბანკს მოუხდა 591.1 მლნ აშშ დოლარი გაყიდვა ლარზე გაუფასურების წნეხის მოსახსნელად 2024 წლის ოქტომბერში. ჯამურად, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2024 წელს სავალუტო ბაზარზე გაყიდა 917.4 მლნ აშშ დოლარი, ხოლო შეისყიდა 482.6 მლნ აშშ დოლარი. ლარის გაცვლით კურსზე ზეწოლა გაუფასურების მიმართლებით გაგრძელდა 2025 წლის იანვარშიც, თუმცა თებერვლიდან გამყარება დაიწყო, რადგან სავალუტო შემოდინებები მაღალ დონეზე შენარჩუნდა და გაურკვევლობები თანდათანობით შენელდა. 2025 წლის მარტის ბოლოს ლარი აშშ დოლართან მიმართებით 2.77-ის ფარგლებში ივაჭრებოდა, რაც იანვრის ბოლოს არსებულ გაცვლით კურსთან შედარებით 3.8%-იანი გამყარებაა, ხოლო ევრო მიმართ ლარის გაცვლითი კურსი აღნიშნულ პერიოდში 0.4%-ით გაუფასურდა, რაც საერთაშორისო ბაზარზე ევროს აშშ დოლარის მიმართ გამყარებამ გამოიწვია.

ის ფაქტი, რომ ლარი ევროს კურსზე მხოლოდ ლარი დოლარის გაცვლითი კურსი არ მოქმედებს, ამ უკანასკნელის ცვლილებები ძალზედ მნიშვნელოვანია. უნდა აღინიშნოს, რომ ლარის ნებისმიერი არასტაბილურობა დამოკიდებულია არაერთ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ფაქტორზე, მათ შორის, ეროვნული ბანკის მხრიდან ინფლაციის კონტროლზე. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (შემდგომში

„საქსტატი“) შეფასებით, საქართველოში სამომხმარებლო ფასების საშუალო წლიური ინფლაცია 2019 წელს 4.9%, 2020 წელს 5.2%, 2021 წელს 9.6%, 2022 წელს 11.9% და 2023 წელს 2.5% იყო. საკვებ პროდუქტებსა და ენერგომატარებლებზე გლობალურად გაზრდილი ფასების ფონზე, 2021 წლის გაზაფხულიდან ინფლაციურმა წნეხმა მნიშვნელოვნად მოიმატა და 2021 წლის ივლისში წლიურმა ინფლაციამ 11.9% შეადგინა. ინფლაციის ზრდის საპასუხოდ ეროვნულმა ბანკმა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი მარტი-დეკემბრის პერიოდში ოთხჯერ გაზარდა, ჯამურად 250 საბაზისო პუნქტით 10.5%-მდე. 2022 წლის დასაწყისიდან, წინა წლის ბაზის გავლენისა და საკვებისა და ენერგომატარებლების რუსეთ-უკრაინის ომით გამოწვეული კიდევ უფრო გაზრდილი ფასების ფონზე ინფლაციამ ზრდა განაგრძო. 2022 წლის გაზაფხულიდან აღნიშნულ ფაქტორებს დაემატა ქირის ზრდაც, რაც მნიშვნელოვანწილად მიგრანტების მხრიდან უძრავ ქონებაზე გაზრდილი მოთხოვნით იყო განპირობებული. 2022 წელს საშუალო წლიურმა ინფლაციამ 11.9% შეადგინა. ხანგრძლივად მაღალი ინფლაციის საპასუხოდ 2022 წლის მარტში სებ-მა რეფინანსირების განაკვეთი კიდევ 50 საბაზისო პუნქტით, 11.0%-მდე გაზარდა და აღნიშნულ ნიშნულზე 2023 წლის მაისამდე შეინარჩუნა. იყო პერიოდები, როცა ინფლაციის მაღალ დონეს მეტწილად საგარეო ფაქტორები განაპირობებდა, თუმცა იმ პერიოდებში მონეტარული პოლიტიკის გამკაცრება სებ-ს გარკვეულწილად დაეხმარა ინფლაციის დონის მართვაში, მიუხედავად იმისა, რომ სებ-ი უმეტესწილად მოთხოვნის ფაქტორებიდან ინფლაციაზე მომდინარე ზეწოლის შემთხვევაში რეაგირებს. ხოლო შემდეგ, როცა საშინაო ფაქტორების კონტრიბუცია გაიზარდა ინფლაციაში, გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკა მნიშვნელოვნად ეხმარებოდა სებ-ს ინფლაციის მიზნობრივ დონესთან დაბრუნებაში. 2023 წლის მარტიდან ინფლაციამ მკვეთრი შენელება დაიწყო, რომელიც მაისიდან ჩამოცდა 3.0%-იან მიზნობრივ დონეს და 2023 წლის დეკემბერში ინფლაციამ 0.4% შეადგინა. დაბალი ინფლაციური გარემო შენარჩუნდა 2024 წელსაც - წლიურმა საშუალო წლიურმა ინფლაციამ 1.1% შეადგინა 2024 წელს. ინფლაციის შემცირებაზე ძირითადად გავლენა ჰქონდა გლობალურ ბაზრებზე საკვების და ნავთობის ფასების კლებას, ასევე საერთაშორისო ტრანსპორტირების ღირებულების შემცირებას, ლარის გამყარებას, მკაცრ მონეტარულ პოლიტიკას და ფისკალური დეფიციტის შემცირებას. მას შემდეგ, რაც ინფლაცია მის მიზნობრივ დონეს ჩამოცდა, ეროვნულმა ბანკმა დაიწყო მონეტარული პოლიტიკის შერბილება და 2023 წლის მაისი 2024 წლის მაისის პერიოდში რეფინანსირების განაკვეთი ჯამურად 300 საბაზისო პუნქტით 8.00%-მდე შეამცირა. 2025 წლის დასაწყისიდან წლიური ინფლაციის ტემპი დაჩქარდა და 2025 წლის მარტში 3.5% შეადგინა, რაზეც ყველაზე დიდი გავლენა იქონია ადგილობრივად წარმოებული საქონლისა და მომსახურების ფასების ზრდამ. ინფლაციის მიზნობრივ დონეზე შენარჩუნებას მნიშვნელოვანი როლი აქვს ეკონომიკის სტაბილური განვითარებისათვის. მაღალმა ინფლაციამ შეიძლება გამოიწვიოს სავალუტო და ფინანსური ბაზრების არასტაბილურობა, მომხმარებლების მსყიდველობითი უნარის დაქვეითება და მათი ნდობის შემცირება. ამ ყველაფერს კი შეუძლია განაპირობოს საქართველოს ეკონომიკური მაჩვენებლების გაუარესება და არსებითი უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიის კლიენტებზე, რაც, თავის მხრივ, უარყოფითად აისახება კომპანიაზე.

ამასთან, აღსანიშნავია რომ 2023 წლის ოქტომბერში დაიწყო ისრაელი-პალესტინის კონფლიქტი ახლო აღმოსავლეთში. არის რისკი რომ ეს შესაძლოა ფართომასშტაბიან ომში გადაიზარდოს. ამ რისკის რეალიზებამ შესაძლოა გამოიწვიოს საერთაშორისო ბაზრებზე სურსათის, ნავთობის და სხვა ნედლეულის ფასების ზრდა, სატვირთო გადაზიდვების შეფერხება, შეანელოს მსოფლიო სავაჭრო ბრუნვა და მსოფლიო ეკონომიკების უმრავლესობა რეცესიაში გადავიდეს. საქართველოს ეკონომიკაზე ამ პროცესების პირდაპირი და არაპირდაპირი ეფექტები არსებითად უარყოფითი შესაძლოა აღმოჩნდეს - გამოიწვიოს ინფლაციის დაჩქარება, ლარის გაუფასურება, ფისკალური და ფინანსური მაჩვენებლების გაუარესება და საბოლოოდ ეკონომიკური ზრდის შემცირება.

ასევე, საქართველოს პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ სტაბილურობაზე შეიძლება იმოქმედოს ნებისმიერმა გარემოებამ ქვემოთ ჩამოთვლილთაგან:

- 1) რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობების, მათ შორის, სასაზღვრო და ტერიტორიულ დავებთან დაკავშირებული ურთიერთობის, გაუარესება;
- 2) ცვლილებები საქართველოს, როგორც ენერგომატარებლების სატრანზიტო ქვეყნის მნიშვნელობაში;
- 3) ცვლილებები საქართველოსთვის გაწეული დახმარების მოცულობაში ან ქართველი მწარმოებლების შესაძლებლობაში, ხელი მიუწვდებოდეთ მსოფლიოს საექსპორტო ბაზრებთან;
- 4) რეგიონის ქვეყნებს შორის ურთიერთობების მნიშვნელოვანი გაუარესება;
- 5) რეგიონის ქვეყნებში ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობის გაუარესება.

ვინაიდან კომპანია საქართველოში ოპერირებს, საქართველოს ეკონომიკის პირობებში ცვლილებები მასზე გავლენას მოახდენს;

კომპანიის შემოსავლები სრულად დამოკიდებულია საქართველოზე. შესაბამისად, კომპანიის ოპერაციების შედეგებზე მნიშვნელოვნად ზემოქმედებს საქართველოში მიმდინარე ან საქართველოსთან დაკავშირებული ფინანსური და ეკონომიკური მოვლენები, განსაკუთრებით საქართველოს ეკონომიკური აქტივობა, და ეს ზემოქმედება მომავალშიც გაგრძელდება. ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა: მშპ, ინფლაცია, საპროცენტო განაკვეთი და ვალუტის გაცვლის კურსი, ასევე, უმუშევრობა, პირადი შემოსავალი და კომპანიების ფინანსური მდგომარეობა, მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს კომპანიის პროდუქტებსა და სერვისებზე მომხმარებლის მოთხოვნაზე.

კოვიდ-19 პანდემიიდან მომდინარე კრიზისმა მნიშვნელოვანი ნეგატიური გავლენა მოახდინა საქართველოს ეკონომიკაზე, რაც მნიშვნელოვნად შეეხო ტურიზმის სექტორს, რომლის წილი საქართველოს ეკონომიკაში საგრძნობლად მაღალია. საქსტატის მონაცემებით, 2020 წელს საქართველოს ეკონომიკა 6.3%-ით შემცირდა 2019 წელთან შედარებით.

ამასთან, კორონავირუსის პანდემიის მართვისთვის დაწესებული შეზღუდვების ეტაპობრივი მოხსნის შედეგად, 2021 წლის მარტიდან საქართველოს ეკონომიკის გაჯანსაღება დაიწყო და 2021 წელს საქართველოს ეკონომიკა 2020 წელთან შედარებით 10.6%-ით გაიზარდა, ხოლო 2019 წლის დონესთან შედარებით ზრდა 3.7% იყო. 2022 წლის დასაწყისში რუსეთ-უკრაინის ომმა გაზარდა ბუნდოვანება, შეფერხებები ვაჭრობაში და ნედლეულის ფასები, რამაც განსაკუთრებულად უარყოფითი გავლენა მოახდინა რეგიონზე. ომის მოსალოდნელმა უარყოფითმა შედეგებმა ქართულ ეკონომიკაზე გამოიწვია ეკონომიკის ზრდის მიმართ მოლოდინების გაუარესება. მიუხედავად ამისა, მას შემდეგ, რაც საქართველოს ეკონომიკამ მდგრადობა გამოავლინა რეგიონული შოკისადმი და შეინარჩუნა კაპიტალის შემოდინებისა და ეკონომიკური აქტივობის დონე, ზრდის მოლოდინებმა გაუმჯობესება დაიწყო. ტურიზმმა სტაბილური ტემპით დაიწყო აღდგენა ექსპორტის ზრდის პარალელურად, რაც, თავის მხრივ, ნედლეულზე მომატებული ფასებითა და მზარდი რეექსპორტით იყო განპირობებული. ადგილობრივ ბაზარზე ერთობლივი მოთხოვნა მყარი იყო, რასაც ხელს უწყობდა მთლიანი საკრედიტო პორტფელის ჯანსაღი ზრდა და ფისკალური დანახარჯები. საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით, რეალური მშპ-ის წლიურმა ზრდამ 2022 წელს 11.0% შეადგინა, რაც ძირითადად რეკორდულად მაღალმა სავალუტო შემოდინებებმა განაპირობა. ამ შემოდინებების გარკვეული ნაწილი უკავშირდება რუსეთ-უკრაინის ომის დაწყებიდან მიგრანტების მიერ კაპიტალის რეალოკაციას რეგიონში და მათ შორის საქართველოშიც. სტაბილური საგარეო შემოდინებებისა და ინფლაციის სწრაფად შემცირების ფონზე, მაღალი ეკონომიკური ზრდა 2023 და 2024 წლებშიც გაგრძელდა. 2023 წელს საქართველოს ეკონომიკა წლიურად 7.8%-ით გაიზარდა, ხოლო 2024 წელს ეკონომიკურმა ზრდამ 9.4% შეადგინა. ინფორმაციისათვის, საქართველოს ეკონომიკა 2019 წელს 5.4%-ით, 2018 წელს 6.1%-ით, 2017 წელს 5.2%-ით, ხოლო 2015 და 2016 წლებში 3.4%-ით იზრდებოდა.

საქართველოს ეკონომიკური ზრდის პერსპექტივა კვლავ მნიშვნელოვანი საფრთხეების წინაშე დგას, მათ შორის გაცვლითი კურსის მერყეობის, ფინანსური სტაბილურობის შესუსტების, ინფლაციის, ბიუჯეტის შესრულებისა და კაპიტალის გადინების რისკების წინაშე. ამასთან, ეკონომიკურ ზრდაზე უარყოფითად მოქმედებს ხშირი პოლიტიკური არასტაბილურობა, რომელმაც შეიძლება დააყოვნოს უცხოური ინვესტიციების მოზიდვა ქვეყანაში. საბაზრო კრიზისმა და ეკონომიკის გაუარესებამ საქართველოში შეიძლება მომხმარებლების მხრიდან დანახარჯების შემცირება გამოიწვიოს და სერიოზული უარყოფითი გავლენა მოახდინოს საქართველოში კომპანიის მომხმარებელთა ლიკვიდურობასა და ფინანსურ მდგომარეობაზე. არასტაბილურმა გლობალურმა ეკონომიკურმა გარემომ შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი პოლიტიკური და მაკროეკონომიკური ცვლილებები მსოფლიო მასშტაბით, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად უარყოფით გავლენას მოახდენს კომპანიის ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე და ოპერაციების შედეგებზე.

მეზობელ ქვეყნებსა და რეგიონთან დაკავშირებული რისკები:

რეგიონულმა დაძაბულობამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ადგილობრივ ეკონომიკაზე და კომპანიის ბიზნესზე;

საქართველო რუსეთს, აზერბაიჯანს, სომხეთსა და თურქეთს ესაზღვრება და პოლიტიკურმა დაძაბულობამ მის საზღვრებს შიგნით და მეზობელ ქვეყნებში მასზე შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს. კერძოდ, 1991 წელს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოს კონფლიქტები აქვს აფხაზეთის და ცხინვალის/სამხრეთ

ოსეთის სეპარატისტულ რეგიონებთან და რუსეთთან. 2008 წლის აგვისტოში ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის კონფლიქტი გამწვავდა. საქართველოს სამხედრო ძალები ბრძოლაში ჩაებნენ ადგილობრივ შეიარაღებულ ჯგუფებსა და რუსეთის არმიასთან, საქართველომ საომარი მდგომარეობა გამოაცხადა. აღნიშნულ რეგიონებთან დაკავშირებით დამატულობა გრძელდება, რადგან რუსეთის არმიას კონტროლის ქვეშ აქვს აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი/სამხრეთ ოსეთი და აღიარებული აქვს აღნიშნული რეგიონების დამოუკიდებლობა. საქართველოს ხელისუფლებამ გარკვეული ნაბიჯები გადადგა რუსეთთან ურთიერთობების გასაუმჯობესებლად, მაგრამ ამ ნაბიჯებს დღეისათვის რაიმე ოფიციალური ან იურიდიული ცვლილება ორი ქვეყნის ურთიერთობებში არ მოუტანია.

2019 წლის 8 ივლისიდან რუსეთიდან საქართველოს მიმართულებით პირდაპირი საჰაერო ფრენები აიკრძალა, რამაც გავლენა იქონია ტურიზმის სექტორზე. ამავდროულად, რუსეთიდან ტურისტული ნაკადების შემცირებამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია სავალუტო ბაზარზე. საქართველოს ეროვნული ბანკის შეფასებით რუსეთიდან პირდაპირი საჰაერო ფრენების აკრძალვით ქვეყანამ ტურიზმიდან დაახლოებით 300 მლნ აშშ დოლარით ნაკლები შემოსავალი მიიღო მოსალოდნელთან შედარებით. ამასთან, აღნიშნული შოკის მიუხედავად, საქართველოს საგარეო ბალანსი 2019 წელს გაუმჯობესდა 2018 წელთან შედარებით.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ სომხეთ-აზერბაიჯანის ომი 2020 წლის სექტემბერ-ოქტომბრის პერიოდში, უარყოფითად მოქმედებდა რეგიონის ეკონომიკურ მდგომარეობაზე. 2020 წლის 10 ოქტომბერს მოსკოვში ხელი მოეწერა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებას, თუმცა 11 ოქტომბერს სომხეთი და აზერბაიჯანი ერთმანეთის მხრიდან ქალაქების დაბომბვას იწყებოდნენ. აზერბაიჯანმა სომხეთი ღამით დიდ ქალაქებზე თავდასხმაში დაადანაშაულა და მიუთითა, რომ მან დაარღვია მოსკოვში 10 ოქტომბერს მიღწეული ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება. საბოლოოდ, 10 ნოემბერს მოხერხდა ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების მიღწევა. სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის სასაზღვრო კონფლიქტის მორიგი ესკალაცია 2022 წლის 12 სექტემბერს დაფიქსირდა. 14 სექტემბერს ევროპის საბჭოს შუამდგომლობით მხარეები ცეცხლის შეწყვეტაზე შეთანხმდნენ. ამჟამად, სიტუაცია დასტაბილურებულია და მიმდინარეობს მოლაპარაკებები საზღვრების დადგენაზე. ის, რომ სამომავლოდ ისევ დაიძაბოს სიტუაცია ამის ალბათობა ამ ეტაპზე შემცირებულია.

რუსეთის შეჭრამ უკრაინაში 2022 წლის თებერვალში შეიძლება ასევე მოახდინოს არსებითად უარყოფითი გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე. უკრაინაში მიმდინარე ომმა უკვე გამოიწვია ჰუმანიტარული კრიზისი და მოუტანა უზარმაზარი ეკონომიკური ზარალი არამხოლოდ ომში ჩართულ ქვეყნებს, არამედ რეგიონსა და გლობალურ ეკონომიკასაც. ომის დაწყებიდანვე ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ევროკავშირმა რუსეთს არაერთი სანქცია დაუწესა, რომელთა მიზანაც რუსეთზე წნეხის გაზრდა იყო, რათა მას შეეჩერებინა საომარი მოქმედებები. მოსალოდნელია, რომ ამ ფართომასშტაბიანი სამხედრო კონფლიქტის უარყოფითი ეფექტები რეგიონულ და გლობალურ ეკონომიკას ნედლეულის ბაზრების, ვაჭრობისა და ფინანსური არხების გავლით დააზარალებს. ომის დაწყებასთან ერთად საწვავისა და საკვების ფასები გაიზარდა, რამაც კიდევ უფრო შეუწყო ხელი ისედაც მზარდი ინფლაციის კიდევ უფრო გაზრდას. ფასებზე არსებული გაზრდილი წნეხის პასუხად, დასავლური ცენტრალური ბანკები 2023 წლის ბოლომდე ახორციელებდნენ საპროცენტო განაკვეთების ზრდას, რამაც გაართულა გლობალური ფინანსური მდგომარეობა. რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის შემდგომი ესკალაცია, რაიმე დამატებითი სანქციები რუსეთზე, გაზრდილი გაურკვევლობის დონე, რეგიონის პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობის ზრდა და ნებისმიერი სამომავლო გაუარესება საქართველოსა და რუსეთს შორის არსებული ურთიერთობისა, შეიძლება გახდეს უარყოფითი ეფექტის მქონე საქართველოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტაბილურობაზე.

2023 წლის ოქტომბერში ისრაელი-პალესტინის კონფლიქტის გაღვივება ახლო აღმოსავლეთში შესაძლოა ფართომასშტაბიან ომში გადაიზარდოს. ამას კი შესაძლოა მოჰყვეს საერთაშორისო ბაზრებზე სურსათის, ნავთობის და სხვა ნედლეულის ფასების ზრდა, სატვირთო გადაზიდვების შეფერხება, შეანელოს მსოფლიო სავაჭრო ბრუნვა და მსოფლიო ეკონომიკების უმრავლესობა რეცესიაში გადავიდეს. საქართველოს ეკონომიკაზე ამ პროცესების პირდაპირი და არაპირდაპირი ეფექტები არსებითად უარყოფითი შესაძლოა აღმოჩნდეს - გამოიწვიოს ინფლაციის დაჩქარება, ლარის გაუფასურება, ფისკალური და ფინანსური მაჩვენებლების გაუარესება და საბოლოოდ ეკონომიკური ზრდის შემცირება.

ასევე, საქართველოს პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ სტაბილურობაზე შეიძლება იმოქმედოს ნებისმიერმა გარემოებამ ქვემოთ ჩამოთვლილთაგან:

- რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობების, მათ შორის, სასაზღვრო და ტერიტორიულ დავებთან დაკავშირებული ურთიერთობის, გაუარესება;

- ცვლილებები საქართველოს, როგორც ენერგომატარებლების სატრანზიტო ქვეყნის მნიშვნელობაში;
- ცვლილებები საქართველოსთვის გაწეული დახმარების მოცულობაში ან ქართველი მწარმოებლების შესაძლებლობაში, ხელი მიუწვდებოდეთ მსოფლიოს საექსპორტო ბაზრებთან;
- რეგიონის ქვეყნებს შორის ურთიერთობების მნიშვნელოვანი გაუარესება;
- რეგიონის ქვეყნებში ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობის გაუარესება.

საქართველოს მეზობელი ბაზრების დესტრუქციას შესაძლოა ჰქონდეს უარყოფითი გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე;

საქართველოს ეკონომიკა მჭიდროდაა დაკავშირებული მის რეგიონში არსებული ქვეყნების (აზერბაიჯანი, სომხეთი, რუსეთი, თურქეთი) ეკონომიკებთან. აზერბაიჯანი და სომხეთი ისტორიულად წარმოადგენდა ორ უდიდეს ბაზარს საქართველოს ექსპორტისათვის და საქსტატის მიხედვით, მათმა წილმა საქართველოს მთლიან საქონლის ექსპორტში 2019 წელს შეადგინა 13.4% და 11.4%, შესაბამისად. პანდემიის შემდგომ პერიოდში აზერბაიჯანის წილი მცირედით, ხოლო სომხეთის წილი მნიშვნელოვნად შემცირდა საქართველოს საქონლის მთლიან ექსპორტში და 2021 წელს, შესაბამისად, შეადგინა 12.5% და 6.0%. 2022 წელს აზერბაიჯანის წილი კვლავ შემცირდა, ხოლო სომხეთის წილი მნიშვნელოვნად გაიზარდა და შესაბამისად 12.0% და 10.5% შეადგინა. 2023 წელს ორივე ქვეყნის წილი გაიზარდა - აზერბაიჯანის წილმა მთლიანი ექსპორტის 14.2%, ხოლო სომხეთის წილმა 12.9% შეადგინა. 2024 წელს აზერბაიჯანზე და სომხეთზე მოდიოდა საქართველოდან განხორციელებული ექსპორტის 11.0% და 9.4%, შესაბამისად. 2025 წლის იანვარ-მარტი მონაცემებით საქართველოდან საქონლის ექსპორტმა აზერბაიჯანში მთლიანი ექსპორტის 10.0%, ხოლო სომხეთში 8.1% შეადგინა. რუსეთი არის ასევე ერთ-ერთი უდიდესი ბაზარი საქართველოს ექსპორტისათვის. საქსტატის მიხედვით, რუსეთის წილი მთლიანი საქონლის ექსპორტში 2019 წელს 13.1%-ს, 2020 წელს - 13.2%-ს, 2021 წელს - 14.4%-ს, 2022 წელს 11.5%-ს, 2023 წელს - 10.8%-ს, 2024 წელს 10.4%, ხოლო 2025 წლის იანვარ-მარტში 9.3%-ს შეადგენდა. თურქეთი წარმოადგენს უდიდეს საიმპორტო ბაზარს საქართველოსთვის და საქსტატის მიხედვით მისი წილი საქართველოს მთლიან საქონლის იმპორტში შეადგენდა 17.0%-ს 2019 წელს, 17.5%-ს 2020 წელს, 18.1%-ს 2021 წელს, 17.5%-ს 2022 წელს, 16.5%-ს 2023 წელს, 16.4%-ს 2024 წელს, ხოლო 13.9%-ს 2025 წლის იანვარ-მარტში. მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორია უკრაინაც, რომლის წილმაც 2021 წელს ექსპორტში - 7.2%, ხოლო იმპორტში - 4.5% შეადგინა. რუსეთ-უკრაინის ომის დაწყებიდან საქართველოს სავაჭრო ბრუნვა უკრაინასთან მნიშვნელოვნად შემცირდა და საქართველოს ექსპორტმა უკრაინაში მთლიანი ექსპორტის 4.2% შეადგინა 2022 წელს, რომელიც 2023 წელს კიდევ შემცირდა 1.7%-მდე, ხოლო 2024 წელს 1.6% შეადგინა. შესაბამისად, რეგიონის ქვეყნებზე მნიშვნელოვანი დამოკიდებულება და ამ ქვეყნებში შესაძლო პოლიტიკური და ეკონომიკური გამოწვევები წარმოადგენს პოტენციურ დაბრკოლებებს შემდგომი ეკონომიკური ზრდისთვის. 2022 წლის განმავლობაში საქართველოს ეკონომიკის დამოკიდებულება რუსეთზე ტურიზმისა და ფულადი გზავნილების კუთხით საგრძნობლად გაიზარდა, რაც მნიშვნელოვანწილად რუსეთ-უკრაინის ომის დაწყების შემდეგ რუსი მიგრანტების ტალღამ განაპირობა. თუკი 2021 წელს რუსეთიდან მიღებული ტურისტული შემოსავლები და ფულადი გზავნილები მშპ-ის 3.0%-ს შეადგენდა, აღნიშნული მაჩვენებელი 2022 წელს 11.8%-მდე გაიზარდა, 2023 წელს 8.0%-მდე, ხოლო 2024 წელს 4.1%-მდე შენედა, თუმცა მაინც მაღალია. ასეთი მაღალი დამოკიდებულება ერთ ქვეყანაზე რისკების მატარებელია, რადგან ზემოთ მოცემული ნაკადების შეწყვეტის შემთხვევაში ქვეყნის ეკონომიკა მნიშვნელოვნად დაზიანდება, რასაც, თავის მხრივ, ექნება უარყოფითი არსებითი გავლენა კომპანიის ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობასა და საოპერაციო შედეგებზე. ნებისმიერმა შემდგომმა ეკონომიკურმა ჩავარდნამ ან კრიზისმა საქართველოს მეზობელ ქვეყნებში, შესაძლოა ძლიერი ნეგატიური გავლენა იქონიოს ქვეყნის ეკონომიკაზე.

საკანონმდებლო და სასამართლო სისტემებთან დაკავშირებული რისკები:

შესაძლოა თავი იჩინოს გამოწვევებმა, რომლებიც დაკავშირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციით, რასაც თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ ღრმა და ყოვლისმომცველი შეთანხმება მოითხოვს;

2014 წლის 27 ივნისს საქართველომ ხელი მოაწერა ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებას (შემდგომში „ასოცირების შეთანხმება“) და შექმნა ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე ევროკავშირთან, რაც ითვალისწინებს ევროკავშირთან ორმხრივი ვაჭრობის ლიბერალიზაციას. მოსალოდნელია, რომ ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების შეთანხმების განხორციელება წარმოქმნის ახალ შესაძლებლობებს ბიზნესისათვის, თუმცა შესაძლოა გამოწვევებიც შექმნას საწარმოებისათვის, საოჯახო

მეურნეობებისა და სახელმწიფოსათვის. ევროკავშირთან ხელმოწერილი ასოცირების შეთანხმებისა და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების განხორციელებისათვის საჭიროა, რომ საქართველომ მოახდინოს თავისი კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროკავშირის სავაჭრო და სექტორულ კანონმდებლობასთან, რაც გამოწვევებთანაა დაკავშირებული, განსაკუთრებით გარემოს დაცვისა და მომხმარებლის უსაფრთხოების, მათ შორის, პროდუქტისა და ინფორმაციის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ სფეროებში. აღნიშნულიდან გამომდინარე, ემიტენტის საქმიანობის მიმართ არსებული საკანონმდებლო მოთხოვნების ჭრილში, მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა ან შესაძლოა შევიდეს კორპორაციული სამართლისა თუ ფასიანი ქაღალდების ბაზრის კანონმდებლობებში:

(I) საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“: 2021 წლის 2 აგვისტოს საქართველოს პარლამენტმა მიიღო „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის ახალი რედაქცია, რომელიც ამოქმედდა 2022 წლის 1 იანვრიდან. განახლებულმა კანონმდებლობამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია საწარმოთა რეგისტრაციის, სადამფუძნებლო დოკუმენტების, კორპორაციული მართვისა და სხვა საკითხების საკანონმდებლო რეგულაციაზე. საწარმოს ხელმძღვანელობასთან მიმართებით, კანონში ასევე მნიშვნელოვნად არის წარმოდგენილი კორპორაციული მართვის თანამედროვე პრინციპები. განახლებული კანონის ფარგლებში ხდება კაპიტალის ტიპების გაბიჯვანა, საქმიანი წერილის ცნების შემოტანა, განიმარტება დირექტორსა და საწარმოს შორის არსებული ურთიერთობის სამართლებრივ ბუნება და ა.შ.

(II) ფასიანი ქაღალდების ბაზრის კანონმდებლობა: ასოცირების შეთანხმების ფარგლებში, ხდება ფასიანი ქაღალდებთან დაკავშირებული კანონმდებლობის დაახლოება ევროკავშირის კანონმდებლობასთან. მაგალითისთვის, 2020 წელს ამოქმედდა მთელი რიგი ცვლილებები ფასიანი ქაღალდების მარეგულირებელ ჩარჩოში, რომლებიც სწორედ ჰარმონიზაციის მიზანს ემსახურებოდა, მათ შორის, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დამტკიცდა წესი ინსაიდერული ვაჭრობის, ბაზრის მანიპულაციისა და ინსაიდერული ინფორმაციის არამართლზომიერი გამჟღავნების აკრძალვის შესახებ, ასევე - დაიხვეწა საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტების გამჭვირვალობის ჩარჩო, განისაზღვრა მოთხოვნები მათ მიერ წლიური თუ ნახევარწლიური ანგარიშების წარდგენასა და გამოქვეყნებასთან დაკავშირებით, აგრეთვე სხვა ინფორმაცია საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში.

გარდა ამისა, მას შემდეგ, რაც საქართველო 2000 წელს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი გახდა, იგი თანდათანობით ახდენდა თავისი სავაჭრო სფეროს კანონმდებლობის ჰარმონიზაციას ევროკავშირის ნორმებსა და პრაქტიკასთან. მაგალითისთვის, შრომის კოდექსში 2013 წელს შეტანილი ცვლილებები დამსაქმებლებს ავალდებულებდა ზეგანაკვეთურად ნამუშევარი საათების ანაზღაურებას, კომპენსაციას სამსახურიდან გათავისუფლებისას (ერთი ან ორი თვის ხელფასის ოდენობით), ამყარებდა მუშაკთა უფლებებს მკაფიო მიზეზის გარეშე სამსახურიდან გათავისუფლების შემთხვევაში დამსაქმებლების გადაწყვეტილებათა სასამართლოში გასაჩივრებისთვის, და ქმნიდა გარანტირებულ საბაზისო სამუშაო პირობებს.

დამატებით, შესაძლოა ადგილი ჰქონდეს სხვა ცვლილებებს სამთავრობო პოლიტიკაში, მათ შორის ცვლილებებს ადრე გამოცხადებული სამთავრობო ინიციატივების განხორციელებაში ან მათდამი მიდგომაში. გარდა ამისა, ევროკავშირთან ხელმოწერილი ასოცირების შეთანხმების განხორციელებამ შესაძლოა მნიშვნელოვანი ტვირთი დააკისროს მარეგულირებელ უწყებებს, მათი რესურსები მიმდინარე რეფორმებიდან სხვა მიმართულებით გადაიტანოს და შეანელოს მათი ეფექტიანობა.

ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის მისაღწევად ან სხვა განხორციელებული ან მოსალოდნელი ცვლილებების შედეგად, კომპანიას შესაძლოა მოეთხოვოს მისი პოლიტიკისა და პროცედურების შეცვლა კანონებსა და რეგულაციებში შეტანილ ნებისმიერ ცვლილებასთან შესაბამისობაში მოსასვლელად. მაგალითად, კომპანიამ ცვლილებები შეიტანა თავის შრომით ხელშეკრულებებში, რათა აესახა შრომის კოდექსში შეტანილი ზემოხსენებული ცვლილებები. კომპანია ელის, რომ მოხდება კიდევ ახალი საკანონმდებლო ცვლილებები, თუმცა მას არ შეუძლია იმის პროგნოზირება, თუ რა ზეგავლენას მოახდენს მასზე ეს ცვლილებები ან რამდენად შეძლებს შესაბამისობის დამყარებას ნებისმიერ ასეთ ცვლილებებთან.

საქართველოს საგადასახადო სისტემაში არსებულმა ბუნდოვანებამ შესაძლოა მომავალში გამოიწვიოს კომპანიის საგადასახადო ვალდებულებების კორექტირება ან კომპანიისთვის ჯარიმების დაკისრება. ასევე შესაძლებელია, შეიცვალოს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობა და პოლიტიკა;

უფრო განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებთან შედარებით საქართველოში საგადასახადო კანონმდებლობა დიდი ხანი არ არის, რაც არსებობს. ეს პრობლემებს ქმნის საგადასახადო კანონმდებლობის შესრულებისას, რადგან აღნიშნული კანონმდებლობა ბუნდოვანია ან განსხვავებულ ინტერპრეტაციას

ექვემდებარება, რაც რისკს უქმნის კომპანიებს, რომ საგადასახო კანონმდებლობასთან შესაბამისობის მათი მცდელობა შესაძლოა ეჭვს ქვეშ დააყენონ საგადასახადო ორგანოებმა.

გარდა ამისა, აღნიშნული საგადასახადო კანონმდებლობა ცვლილებებს და დამატებებს განიცდის, რამაც ურვეულო სირთულეები შეიძლება შეუქმნას კომპანიას და მის საქმიანობას. ახალი საგადასახადო კოდექსი 2011 წლის 1 იანვარს შევიდა ძალაში. საგადასახადო კოდექსის სხვადასხვა დებულების ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით განსხვავებული აზრები არსებობს სახელმწიფო სამინისტროებსა და ორგანიზაციებს შორის და მათ შიგნითაც, მათ შორის საგადასახადო ორგანოებშიც, რაც ქმნის გაურკვევლობას, არათანმიმდევრულობას და კოლიზიურ შემთხვევებს. ამასთან, საგადასახადო კოდექსი ითვალისწინებს საქართველოს საგადასახადო ორგანოების მიერ წინასწარი საგადასახადო გადაწყვეტილების მიღებას გადასახადის გადამხდელის მიერ წამოჭრილ საგადასახადო საკითხებზე. მაშინ, როდესაც კომპანიას მიაჩნია, რომ კომპანია ამჟამად ასრულებს საგადასახადო კანონმდებლობას, შესაძლებელია, რომ სათანადო ორგანოებმა განსხვავებული პოზიცია დაიჭირონ მის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით, რასაც შეუძლია გამოიწვიოს საგადასახადო კორექტირებები ან ჯარიმები. იმის რისკიც არსებობს, რომ რეგულარული საგადასახადო შემოწმებების შედეგად კომპანიას ჯარიმები და საურავები დაეკისროს.

გარდა ამისა, საგადასახადო კანონმდებლობა და მთავრობის საგადასახადო პოლიტიკა შეიძლება შეიცვალოს მომავალში, მათ შორის, მთავრობის შეცვლის შედეგად. ამგვარი ცვლილებები შეიძლება მოიცავდეს ახალი გადასახადების შემოღებას ან კომპანიის ან მისი მომხმარებლების მიმართ გამოყენებული გადასახადების განაკვეთის გაზრდას, რაც, თავის მხრივ, სერიოზულ უარყოფით გავლენას მოახდენს კომპანიის ბიზნესზე.

2016 წლის მაისიდან ამოქმედდა ცვლილებები კორპორაციულ საშემოსავლო გადასახადთან დაკავშირებულ წესებში. დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ განაწილებული მოგება, რომელიც განისაზღვრება როგორც ფულადი ან არაფულადი დივიდენდი, განაწილებული მფლობელებს - კერძო პირებს ან არარეზიდენტ იურიდიულ პირებს - შორის - რეინვესტირებული მოგება აღარ იბეგრება. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ცვლილება არ მოქმედებს ფინანსური სექტორის კომპანიებზე და მათთვის ძველი მეთოდით ხდება მოგების დაბეგვრა (დასაბეგრი მოგების 20%-ის ოდენობით). საგადასახადო კოდექსის ყველა მნიშვნელოვანი ცვლილება ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს სასამართლო სისტემაში შესაძლო გაურკვევლობამ, შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს საინვესტიციო გარემოზე.

საქართველოში ჯერ კიდევ შემუშავების პროცესშია საბაზრო ეკონომიკის სათანადო ფუნქციონირებისათვის საჭირო ადეკვატური სამართლებრივი ბაზა და სასამართლო სისტემა. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ამოქმედდა ან მნიშვნელოვნად შეიცვალა ფუნდამენტური სამოქალაქო, საგადასახადო, ადმინისტრაციული და სხვა საბაზისო კანონმდებლობა. აღნიშნული კანონმდებლობის სიახლემ და საკანონმდებლო სისტემის სწრაფად განვითარებამ გამოიწვია ეჭვები კანონმდებლობის ხარისხსა და აღსრულებადობასთან დაკავშირებით, ასევე - გაურკვევლობა და არათანმიმდევრულობა მათ გამოყენებაში.

გარდა ამისა, საქართველოს სასამართლო სისტემა განიცდის საკმარისი კადრებისა და პროფესიონალების ნაკლებობას და ამ სისტემაში სერიოზული რეფორმები მიმდინარეობს. სხვა ქვეყნებთან, განსაკუთრებით აშშ-სა და ევროპის ქვეყნებთან, შედარებით, მოსამართლეებსა და სასამართლოებს საქართველოში ზოგადად ნაკლები გამოცდილება აქვთ ბიზნესისა და კორპორატიული სამართლის სფეროში. საქართველოს სასამართლო სისტემაში არსებულმა სირთულეებმა და გაურკვევლობამ შესაძლოა უარყოფითი ზემოქმედება მოახდინოს ქვეყნის ეკონომიკაზე, რამაც, თავის მხრივ, შესაძლოა მნიშვნელოვანი საზიანო გავლენა მოახდინოს კომპანიის ბიზნესზე, მის ფინანსურ მდგომარეობასა და საქმიანობის შედეგებზე.

კომპანია შესაძლოა დაექვემდებაროს სამართალწარმოების რისკს მისი მომხმარებლების, მომწოდებლების და მარეგულირებლის მხრიდან;

კომპანიასთან დაკავშირებულია „სტიქიკოლდერების“ ფართო წრე, რომელშიც მოიაზრებიან შესაბამისი მარეგულირებელი ორგანოები, სახელმწიფო, მომხმარებლები და მომწოდებლები. იმ შემთხვევაში თუ კომპანია ვერ დააკმაყოფილებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ვალდებულებებს შესაძლოა დაექვემდებაროს სამართალწარმოების რისკს, რაც უარყოფითად აისახება მის რეპუტაციაზე და საოპერაციო საქმიანობაზე. პროსპექტის წარდგენის თარიღისთვის კომპანიას არ ჰქონია ისეთი სასამართლო დავები, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას იქონიებდნენ მის ფინანსურ მდგომარეობაზე თუ რეპუტაციაზე

(მომდინარე სასამართლო დავების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის, გთხოვთ იხილოთ ქვეთავი „სასამართლო დავები“), თუმცა, არ არსებობს იმის გარანტია, რომ ასეთი დავები მომავალში არ წარმოიშვება.

ანტიმონოპოლიურმა რეგულაციებმა შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს კომპანიის საქმიანობაზე

საქართველო განვითარებადი ქვეყანაა, ამასთან, ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულების პირობებში მოსალოდნელია ანტიმონოპოლიური კანონის შემდგომი ცვლილებები. უნდა აღინიშნოს, რომ 2014 წლის მარტში არსებითი ცვლილებები შევიდა საქართველოს კანონში „კონკურენციის შესახებ“ („კანონი კონკურენციის შესახებ“).

2014 წლის აპრილში „კონკურენციის შესახებ“ კანონის საფუძველზე შეიქმნა კონკურენციის სააგენტო. კონკურენციის სააგენტო უფლებამოსილია, მონიტორინგი გაუწიოს კერძო ორგანიზაციების მიერ საქართველოს ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის შესრულებას და აქვს უფლებამოსილება „კონკურენციის შესახებ“ კანონის დარღვევის შემთხვევაში კომპანიებს დააკისროს შესაბამისი ჯარიმები. ანტიმონოპოლიური რეგულაციების ცვლილებამ და სააგენტოს მიერ ამ რეგულაციათა აღსრულების პროცესის არაპროგნოზირებადმა ხასიათმა შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ბიზნესზე.

კომპანია ანგარიშვალდებული საწარმოა, შესაბამისად, ექვემდებარება დამატებით რეგულაციების ანგარიშგებას/რეპორტირების წარდგენის კუთხით;

კომპანია „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით („ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონი“) გათვალისწინებული ანგარიშვალდებული საწარმოა. ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონი აწესებს გარკვეული თანხმობების აღებისა და გამჭვირვალობის მოთხოვნებს ანგარიშვალდებული საწარმოებისთვის და აწესებს ანგარიშგების კონკრეტულ ვალდებულებებს. ანგარიშვალდებული საწარმო ვალდებულია საქართველოს ეროვნულ ბანკს წარუდგინოს, გამოაქვეყნოს ან მისი ფასიანი ქაღალდების მფლობელებს მიაწოდოს წლიური, ნახევარი წლის და მიმდინარე ანგარიშები. თუ ობლიგაციები ივაჭრება საქართველოს საფონდო ბირჟაზე ან თბილისის საფონდო ბირჟაზე, აღნიშნული ინფორმაცია უნდა გადაეცეს საქართველოს ან თბილისის საფონდო ბირჟასაც. საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია ანგარიშვალდებულ საწარმოს მოსთხოვოს დამატებითი ინფორმაცია.

4. კორპორაციული მართვის ანგარიშგება

2021 წლის 7 დეკემბერს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის №172/04 ბრძანებით დამტკიცდა საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტებისათვის კორპორაციული მართვის კოდექსი, რომელიც ძალაში შევიდა 2022 წლის პირველი იანვრიდან.

საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტები ვალდებული იყვნენ კომპანიის კორპორაციული მართვის კოდექსთან შესაბამისობა უზრუნველყოთ და შესაბამისი ანგარიში პირველად წარედგინათ 2023 წლის წლიური ანგარიშის წარდგენის თარიღისთვის. აღნიშნული მომენტისთვის ნიკორამ მოახდინა კანონით დადგენილი წესით ზემოაღნიშნული ანგარიშის პირველადი წარდგენა.

საკანონმდებლო მოთხოვნების საფუძველზე კომპანიაში მოქმედებს კორპორაციული მართვის კოდექსი, რომელიც საზოგადოების წესდების ფარგლებში მოიცავს კორპორაციული მართვის, გადაწყვეტილებების მიღების წესებს და აგრეთვე უმაღლესი მმართველი ორგანოს, სამეთვალყურეო საბჭოსა და ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირისთვის დადგენილ უფლება-მოვალეობებს;

საწარმოს კორპორაციული მართვის კოდექსის მოთხოვნებთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელია სამეთვალყურეო საბჭო. დირექტორი ვალდებულია უზრუნველყოს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული კორპორაციული მართვის სხვადასხვა პოლიტიკის ეფექტიანი შესრულება.

კომპანიას გააჩნია წესდება, რომელიც დარეგისტრირებულია საჯარო რეესტრი (რეგ. განცხდება # B21068414). გამომდინარე იქედან რომ კომპანიის რეგისტრირებული მონაცემების შესაბამისობაში მოყვანის ვადა გაგრძელდა 2026 წლის 01 აპრილამდე, კომპანიის რეგისტრირებული მონაცემები ჯერ არ არის მოყვანილი შესაბამისობაში.

სს „ნიკორა“-ს გააჩნია კორპორაციული ეთიკის კოდექსი, რომელიც დამოწმებულია სს „ნიკორა“-ს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ 2023 წლის 18 აგვისტოს გადაწყვეტილებით და განთავსებულია კომპანიის ვებ. გვერდზე: www.nikoraholding.ge. კორპორაციული ეთიკის კოდექსით განსაზღვრულია კომპანიის საქმიანობის ძირითადი პრინციპები, რომელიც საბოლოო ჯამში უზრუნველყოფს კომპანიის დასახული მიზნების (რომელიც განხილულია წლიური ანგარიშის მომავალზე ორიენტირებული განცხადებების თავში) მიღწევის პროცესის ეფექტურობას.

შრომის უსაფრთხოება

2019 წლის თებერვალში მიღებული იქნა კანონი შრომის უსაფრთხოების შესახებ, რომელიც არეგულირებს სახელმწიფო ორგანოების, დამსაქმებელთა, დასაქმებულთა, დასაქმებულთა წარმომადგენლებისა და სამუშაო სივრცეში მყოფ სხვა პირთა უფლებებს, ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობას, რომლებიც დაკავშირებულია უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს შექმნასთან. „კომპანია“ წარმოემოზა მთელი რიგი ვალდებულებები აღნიშნული საკანონმდებლო აქტიდან გამომდინარე. მათ შორის,

(ა) „კომპანიის“ ის შვილობილები, რომლებიც დაკავებულები არიან კვების პროდუქციის წარმოებით, ვალდებული იყვნენ დარეგისტრირებულიყვნენ პირებად, რომლებიც ახორციელებენ მომეტებული საფრთხის შემცველ მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან სამუშაოებს; და

(ბ) თითოეული საწარმო ვალდებულია ჰყავდეს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. დამსაქმებელს, რომელსაც 20 ან ნაკლები დასაქმებული ჰყავს, შეუძლია პირადად შეასრულოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პროფესიული მოვალეობები იმ პირობით, რომ მას გავლილი აქვს ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული აკრედიტებული პროგრამა.

თუ დამსაქმებელს 20-დან 100-მდე დასაქმებული ჰყავს, იგი ვალდებულია ჰყავდეს არანაკლებ 1 შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, ხოლო 100 ან მეტი დასაქმებულის ყოლის შემთხვევაში დამსაქმებელი ვალდებულია შექმნას შრომის უსაფრთხოების სამსახური არანაკლებ 2 შრომის უსაფრთხოების სპეციალისტით. „კომპანია“, ისევე როგორც მისი შვილობილები, ვალდებული არიან დაიცვან კანონმდებლობის აღნიშნული მოთხოვნები დასაქმებულთა რაოდენობიდან გამომდინარე.

კომპანიაში არის შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის მმართველი რომელიც უზრუნველყოფს შრომის უსაფრთხოების, გარემოს დაცვისა და ნარჩენების მართვის პოლიტიკის ზოგადი პრინციპების შემუშავებასა და დაცვას. შემუშავებული და მოქმედი შინა აქტები (მათ შორის შრომის შინაგანაწესი) აერთიანებს როგორც ქართული კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, ასევე იცავს საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებს.

შემუშავებული და მოქმედი შინა აქტები (მათ შორის შრომის შინაგანაწესი) უზრუნველყოფს თანამშრომლებისთვის უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს შექმნას. კომპანიაში არსებობს შრომის უსაფრთხოების მიმართულებით განყოფილება, ორი საშტატო ერთეულით, რომელიც უშუალოდ პასუხისმგებელია შექმნას თანამშრომლებისთვის უსაფრთხო გარემო და დანერგოს პრევენციული ნორმები, გაატაროს პრევენციული ქმედებები ამ მიზნით.

საწარმოს წესდება

კორპორაციული მართვის კოდექსით დადგენილი მოთხოვნები გათვალისწინებულია წესდებით და სხვა შიდა დოკუმენტაციით, მათ შორის:

- (ა) კორპორაციული ეთიკის კოდექსით;
- (ბ) კორპორაციული მართვის პრინციპების შესახებ დებულებით;
- (გ) სამეთვალყურეო საბჭოს დებულებით;
- (დ) შიდა აუდიტის სამსახურის დებულებით;
- (ე) აუდიტის კომიტეტის დებულებით.

აღნიშნული დოკუმენტაცია პერიოდულად განახლებადია და თავსდება კომპანიის ვებ-გვერდზე. www.nikoraholding.ge.

სამეთვალყურეო საბჭოსთან, გარდა აუდიტის კომიტეტისა, სხვა კომიტეტი არ არის შექმნილი და საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტისათვის კორპორაციული მართვის კოდექსის მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად სამეთვალყურეო საბჭოს აქვს შეთავსებული შესაბამისი ფუნქციების შესრულება, რაც გაწერილია სამეთვალყურეო საბჭოს დებულებაში. საზოგადოების ორგანიზაციული და მმართველობითი სტრუქტურა განსაზღვრულია საზოგადოების წესდებით და შიდა ნორმატიული დოკუმენტაციით. კორპორაციული მართვის სისტემის მდგრადობა განპირობებულია იმითაც, რომ ყველა მონაწილის ჩართულობა უზრუნველყოფილია, კერძოდ ყველა თანამშრომელი/მონაწილე უფლებამოსილია საწარმოს კორპორაციული მართვის სისტემასთან არსებულ პრობლემურ საკითხებზე მიმართოს სამეთვალყურეო საბჭოს (კორპორაციული ეთიკის კოდექსის 7.2 პუნქტი).

კორპორაციული ეთიკის კოდექსი აწესრიგებს ინტერესთა კონფლიქტის, ძალაუფლების ბოროტად გამოყენების, კორუფციის, ინსაიდერული ვაჭრობის, ფულის გათეთრებისა და სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედებების თავიდან აცილების საკითხებს. კომპანიის თანამშრომელი ვალდებულია კეთილსინდისიერად და პროფესიონალურად მოქმედებას საქმიანობის განხიციელების ნებისმიერ ეტაპზე. (კორპორაციული ეთიკის კოდექსი 4.7.10 პუნქტი). პრინციპების უზრუნველსაყოფად კომპანია ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირებისაგან დამატებით მოითხოვს:

- საწარმოს და აქციონერთა/პარტნიორთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით მოქმედებას (კორპორაციული ეთიკის კოდექსი 4.8.1 პუნქტი).
- არსებული და პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის რეგულირებასა და მისი გამოვლენას (კორპორაციული ეთიკის კოდექსი 4.8.2 პუნქტი).
- კორუფციის აღკვეთას, რომელიც მოიცავს ქრთამის, საჩუქრების თუ სხვა სახის სარგებლის შეთავაზებასა და მიღებას (კორპორაციული ეთიკის კოდექსი 4.8.3 პუნქტი).
- სწრაფი და ადექვატური რეაგირება თანამშრომლების მიერ გამოვლენილ უკანონო ან არაეთიკურ ქცევასთან დაკავშირებით (კორპორაციული ეთიკის კოდექსი 4.8.4 პუნქტი).
- საწარმოს ინფორმაციისა და სხვა მატერიალური თუ არამატერიალური აქტივების დაცვა და მიზნობრივი გამოყენების უზრუნველყოფა (კორპორაციული ეთიკის კოდექსი 4.8.5 პუნქტი).
- საწარმოს საქმიანობის პროცესების შესაბამისობის უზრუნველყოფა კანონმდებლობასთან (კორპორაციული ეთიკის კოდექსი 4.8.6 პუნქტი).
- ნებისმიერი მონაწილე უფლებამოსილია საწარმოს კორპორაციული მართვის სისტემასთან არსებულ პრობლემურ საკითხებზე მიმართოს სამეთვალყურეო საბჭოს. კომპანიისათვის ინფორმაციის მიწოდება შესაძლებელია ანონიმურად, ნებისმიერი ფორმით (კორპორაციული ეთიკის კოდექსი 7.2 და 7.3 პუნქტი)

კორპორაციული ეთიკის კოდექსის შემუშავებასა და მისი სათანადო აღსრულების საკითხებზე მონიტორინგს ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭო: კორპორაციული ეთიკის კოდექსის 8.3 პუნქტის თანახმად დებულება შემუშავებულია სამეთვალყურეო საბჭოს მიერ, ხოლო 8.4 პუნქტის თანახმად დებულებაში ცვლილების ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

ამასთანავე, სამეთვალყურეო საბჭოს დებულების 4.6 პუნქტის თანახმად მის კომპეტენციაში შედის ეთიკის კოდექსის შემუშავებასა და მისი სათანადო აღსრულების საკითხებზე მონიტორინგი.

კორპორაციული ეთიკის კოდექსის მოქმედება ვრცელდება საწარმოს მმართველი ორგანოების და მომუშავე პირებზე, განსაზღვრავს მათ უფლებებსა და ვალდებულებებს კოდექსით დარეგულირებულ/განსაზღვრული საკითხებთან მიმართებაში.

სამეთვალყურეო საბჭოს დებულებით განსაზღვრულია სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ინდივიდუალური და ერთობლივი პასუხისმგებლობა მთელ რიგ საკითხებზე (სამეთვალყურეო საბჭოს დებულების 10.6 პუნქტი):

ა) განსაზღვრონ საწარმოს ღირებულებები და მართონ საწარმო სამართლიანობის, კომპეტენტურობის, პროფესიონალიზმისა და ეთიკის პრინციპების სრული დაცვით (სამეთვალყურეო საბჭოს დებულების პუნქტი 10. 6 "ა" ქვეპუნქტი);

ბ) განსაზღვრონ საწარმოს ორგანიზაციული სტრუქტურა, მათ შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები იმგვარად, რომ უზრუნველყონ სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოს მიერ საკუთარი უფლებამოსილებების შესრულება და ეფექტიანი გადაწყვეტილების მიღების პროცესი (სამეთვალყურეო საბჭოს დებულების პუნქტი 10. 6 "ბ" ქვეპუნქტი);

გ) განსაზღვრონ საწარმოს ეთიკის პრინციპები და მუდმივად აფასებდნენ დირექტორთა საბჭოს როლს ჯანსაღი კორპორაციული და ეთიკური კულტურის დამყარებასა და შენარჩუნებაში, რაც სხვა საკითხებთან ერთად მოიცავს არსებულ კანონმდებლობასთან, მათ შორის, ამ კოდექსთან, ასევე, საწარმოს ეთიკის კოდექსთან და საწარმოს შიდა სტანდარტებთან მუდმივ შესაბამისობას (სამეთვალყურეო საბჭოს დებულების პუნქტი 10. 6 "გ" ქვეპუნქტი);

დ) დაამტკიცონ საწარმოს ყოველწლიური ბიუჯეტი, განსაზღვრონ საწარმოს სტრატეგია და მონიტორინგი გაუწიონ დირექტორთა საბჭოს მიერ სტრატეგიული მიზნების შესრულებას (სამეთვალყურეო საბჭოს დებულების პუნქტი 10. 6 "დ" ქვეპუნქტი);

ე) დირექტორთა საბჭოსთან ერთად განსაზღვრონ და დაამტკიცონ საწარმოს რისკების მართვის ჩარჩო, რომლის შემუშავებისას გათვალისწინებული უნდა იყოს კონკურენტული გარემო, შესაძლო სამომავლო რეგულაციები, გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის საკითხები, საწარმოს გრძელვადიანი ინტერესები, რისკების ეფექტური მართვის, მონიტორინგისა და შიდა კონტროლის ფუნქციები (სამეთვალყურეო საბჭოს დებულების პუნქტი 10. 6 "ე" ქვეპუნქტი);

ვ) მონიტორინგი გაუწიონ დირექტორთა საბჭოს საქმიანობას და შეაფასონ მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები; უზრუნველყონ, რომ სამეთვალყურეო საბჭოს წევრები დირექტორთა საბჭოსგან იღებდნენ საკმარის ინფორმაციას, მათ შორის განმარტებებსა და რწმუნებას იმის თაობაზე, რომ დირექტორთა საბჭოს საქმიანობა სრულად შეესაბამება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებულ სტრატეგიასა და რისკების მართვის ჩარჩოს (სამეთვალყურეო საბჭოს დებულების პუნქტი 10. 6 "ვ" ქვეპუნქტი);

ზ) მონიტორინგი გაუწიონ საწარმოში შრომის ანაზღაურების სისტემის გამართულ მუშაობას, რაც, მათ შორის, გულისხმობს დირექტორთა ანაზღაურების საკითხების განხილვასა და მონიტორინგს, საწარმოს რისკის კულტურასა და რისკის მართვის ჩარჩოსთან შესაბამისობას (სამეთვალყურეო საბჭოს დებულების პუნქტი 10. 6 "ზ" ქვეპუნქტი);

თ) უზრუნველყონ დირექტორთა საბჭოსა და მნიშვნელოვანი თანამშრომლების ჩანაცვლების ეფექტური სისტემის დანერგვა და მონიტორინგი გაუწიონ მის განხორციელებას (სამეთვალყურეო საბჭოს დებულების პუნქტი 10. 6 "თ" ქვეპუნქტი).

კომპანიის წესდების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად "სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა უნდა ჩატარდეს კვარტალში ერთხელ მაინც". აღნიშნულ დათქმას აკონკრეტებს ხოლო სამეთვალყურეო საბჭოს დებულების 7.1 პუნქტი, რომლის თანახმად "საბჭოს სხდომები ტარდება სულ ცოტა კვარტალში ერთხელ ან საბჭოს გადაწყვეტილებით უფრო ხშირად". საწარმოს წესდებითა და სამეთვალყურეო საბჭოს დებულებით სამეთვალყურეო საბჭო უზრუნველყოფს საწარმოს, აქციონერების/პარტნიორებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ინტერესების გათვალისწინებას საქმიანობის პროცესში. ამავე აქტებით გათვალისწინებულია აქციონერებთან/პარტნიორებთან და დაინტერესებულ მხარეებთან სამეთვალყურეო საბჭოს წევრების

კომუნიკაციის საკითხი დეტალურად და მათთან თანამშრომლობის ვალდებულებები. (სამეთვალყურეო საბჭოს დებულება პუნქტი 2.1)

სამეთვალყურეო საბჭო

საზოგადოებაში შექმნილია სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც შედგება 7(შვიდი) წევრისგან (წესდების 7.1 პუნქტი, სამეთვალყურეო საბჭოს დებულების 5.1 პუნქტი). სამეთვალყურეო საბჭოს თავჯდომარე და წევრები იმავდროულად არ შეიძლება იყოს ამავე კომპანიის ხელმძღვანელი ორგანოს წევრი/საზოგადოების დირექტორი. (წესდების 7.5 პუნქტი, სამეთვალყურეო საბჭოს დებულების 5.2 პუნქტი).

სამეთვალყურეო საბჭოს თითოეული წევრის არჩევა ხდება 3 (სამი) წლის ვადით, ხოლო უფლებამოსილების ვადა გრძელდება ამ ვადის გასვლის შემდეგაც ახალი წევრების არჩევამდე. სამეთვალყურეო საბჭოს წევრის შერჩევის კრიტერიუმები/მოთხოვნები და პოლიტიკა გათვალისწინებულია სამეთვალყურეო საბჭოს დებულებით (სამეთვალყურეო საბჭოს დებულების 10.3 პუნქტი) ხოლო სამეთვალყურე საბჭოს თავჯდომარეს თავისი წევრების შემადგენლობიდან ირჩევს სამეთვალყურეო საბჭო (წესდების 7.6 პუნქტი, სამეთვალყურეო საბჭოს დებულების 6.2 პუნქტი).

ბატონი ვასილ სუხიაშვილი - სამეთვალყურეო საბჭოს თავჯდომარე

სს „ნიკორა“-ს ერთ-ერთი დამფუძნებელია და მისი დირექტორი იყო 1998-იდან 2008 წლამდე, როცა იგი სამეთვალყურეო საბჭოს თავჯდომარე გახდა. სს „ნიკორა“-ს დაფუძნებამდე იგი მართავდა გაზიანის სასმელის სადისტრიბუციო ბიზნესს მოსკოვში. ბატონ სუხიაშვილს მიღებული აქვს ბაკალავრის ხარისხი მექანიკურ ინჟინერიაში საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში.

კომპანიები, სადაც ბატონი ვასილი მენეჯმენტის, დირექტორთა საბჭოს ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრიც იყო ან არის ბოლო 5 წლის მანძილზე: შპს „ა და კო“ (ს/ნ: 405224332), შპს „დეპოსერვისის“ (ყოფილი შპს ქართული სოკო) (ს/ნ: 405102357), შპს „რეფ ენ“ (ს/ნ: 400345195) და შპს „ნიკორა 3“ (ს/ნ: 204987274).

ბატონი გურამ ცერცვაძე - სამეთვალყურეო საბჭოს თავჯდომარის მოადგილე

ბატონი გურამ ცერცვაძე სს „ნიკორა“-ს დამფუძნებელია 1998 წლიდან. 1998-2008 წლებში შპს „ნიკორა“-ს აღმასრულებელი დირექტორის პოზიციას იკავებდა, ხოლო 2008 წლიდან სამეთვალყურეო საბჭოს თავჯდომარეა. მისი წარსული გამოცდილება უკავშირდება საერთაშორისო ორგანიზაციას ("Care" 1993-1997) და კვების პროდუქტების იმპორტისა და დისტრიბუციის კომპანიას (შპს "აგრო ბიზნეს ჯორჯია" 1997-1998). ფლობს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბაკალავრის ხარისხს მექანიკურ ინჟინერიაში.

ბატონი ირაკლი ნიკოლაიშვილი - სამეთვალყურეო საბჭოს თავჯდომარის მოადგილე

ბატონი ნიკოლაიშვილი სს „ნიკორა“-ს დამფუძნებელია 1998 წლიდან. 2001-2005 წლებში იგი მუშაობდა „ნიკორა“-ს კომერციული დირექტორის თანამდებობაზე, 2005-2008 წლებში კი რძის პროდუქტების წარმოების მიმართულების დირექტორად. 2008-2016 წლებში, სს „ნიკორა“-ს მიერ რძის პროდუქტების კომპანიის შპს „ჩვენი ფერმერი“-ს დაფუძნების შემდეგ იკავებდა დირექტორის თანამდებობას. 2017 წლიდან სს „ნიკორა“-ს სამეთვალყურეო საბჭოს თავჯდომარის მოადგილეს თანამდებობაზე. დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი სპეციალობით ელექტრონული ტექნიკის მასალებისა და კომპონენტების ფიზიკა და ტექნოლოგია.

კომპანიები, სადაც ბატონი ირაკლი მენეჯმენტის, დირექტორთა საბჭოს ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრიც იყო ან არის ბოლო 5 წლის მანძილზე: შპს რეფ ელ (ს.ნ. 400387149), შპს რეფ ენ (ს.ნ. 400345195), შპს ლივ ტრეიდი (ს.ნ. 404885237), შპს ჩვენთან (ს.ნ. 441556683), შპს ა და კო (ს.ნ. 405224332), შპს რეფ ბი (ს.ნ. 400402872).

ბატონი გელა არობელიძე - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, აუდიტის კომიტეტის თავჯდომარე

ბატონი გელა არობელიძე სამეთვალყურეო საბჭოს წევრია 2008 წლიდან. 1997-2008 წლებში მარტინ ბაუერის ცენტრალური ოფისის დირექტორის პოზიციას იკავებდა. უფრო ადრინდელი გამოცდილება კი ოზურგეთის პურკომბინატის დირექტორის და აგრეთვე ჩაის სუბტროპიკულ კულტურათა სამსახურის უფროსის პოზიციაზე მუშაობას უკავშირდება. დამთავრებული აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო ფაკულტეტი.

ბატონი დავით დუმბაძე - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი

ბატონი დავით დუმბაძე სს „ნიკორა“-ს დამფუძნებელია 2003 წლიდან, ხოლო 2010 წლიდან სამეთვალყურეო საბჭოს წევრია. მას მრავალწლიანი გამოცდილება გააჩნია სხვადასხვა დარგში კომპანიების ხელმძღვანელობის და ინვესტიციების მართვის კუთხით. დაამთავრებული აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი და მსოფლიო ეკონომიკურ და საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტის ასპირანტურა.

ბატონი დავით ცირეკიძე - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი

ბატონი დავით ცირეკიძე სს „ნიკორა“-ს სამეთვალყურეო საბჭოს წევრია 2010 წლიდან. ფლობს ბაკალავრის ხარისხს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისგან. 1989-2006 წლებში რუსთავის, თერჯოლის და ქუთაისის შინაგან საქმეთა სამინისტროს სამმართველოს უფროსის პოზიციაზე მოღვაწეობდა.

ბატონი ოლეგ გუზანოვი - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი

ბატონ ოლეგ ბოლო 5 წლის განმავლობაში არ უმუშავია მენეჯერის/სამეთვალყურეო საბჭოს წევრის თანამდებობაზე.

კომპანიები, სადაც ბატონი ოლეგი მენეჯმენტის, დირექტორთა საბჭოს ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრიც იყო ან არის ბოლო 5 წლის მანძილზე: შპს რეფ ენ (ს.ნ. 400345195).

სამეთვალყურეო საბჭოს ერთ-ერთ წევრს, რომელიც სამართლებრივად ან/და ეკონომიკურად არ არის დაკავშირებული სააქციო საზოგადოებასთან მათ შორის არ ფლობს ამ საზოგადოების აქციებს და არ იღებს აღნიშნული საზოგადოებიდან ანაზღაურებას ან სხვა ეკონომიკურ სარგებელს, წარმოადგენს გელა აროშელიძე პ/ნ 33001005416 (იხ. ბიოგრაფიული მონაცემები ზემოთ) რაც შეეხება მეორე დამოუკიდებელ წევრს, გამომდინარე იქედან, რომ საკითხი მეტად სენსიტიურია, დაწყებული პროცესი დროში დაგეგმილზე მეტად გახანგრძლივდა: მინდინარეობს მოლაპარაკება სავარაუდო კანდიდატებთან, რომელთაგანაც შერჩეული იქნება ის პირი, რომელიც დააკმაყოფილებს როგორც საკანონმდებლო კრიტერიუმებს, ასევე სრულად მისაღები იქნება კომპანიის ღირებულებებისათვის.

ვასილ სუხიაშვილი სს ნიკორას ძირითადი აქციონერია - ფლობს აქციების 23%, კომპანიის არსებობის პირველი დღიდან აქტიურად ჩართულია ყოველდღიურ საქმიანობაში, რაც მას აძლევს წლების გამოცდილებას, კომპეტენცია და ნდობის მაღალ ხარისხს კომპანიის პარტნიორების მხრიდან, მათ შორის ინვესტორებისთვის.

ამასთანავე სს „ნიკორა“ არის სრულად გამჭვირვალე - ყველანაირი ცვლილება, ანგარიში (მათ შორის ფინანსური ანგარიში) არის საჯარო და განთავსებულია კომპანიის საიტზე, მიგვაჩნია რომ ამ ფაქტორების გათვალისწინებით კომპანია ამჟამად არ საჭიროებს დამოუკიდებელი სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს და არსებული პირობებითაც (იმის გათვალისწინებით რომ კომპანია სრულად იცავს ემიტენტის გამჭვირვალობასთან დაკავშირებულ სავალდებულო საკანონმდებლო დანაწესებს) მიიღწევა ყველა ის მიზანი, რასაც ემსახურება ან რომელი სამართლებრივი სიკეთის დაცვისთვისაც არსებობს ანგარიშვალდებულ საწარმოში დამოუკიდებელი სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს ყოლის საკანონმდებლო დანაწესი.

სამეთვალყურეო საბჭოს დებულების 7.7 პუნქტის თანახმად თუ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე გადაწყვეტილების მიღების პროცესში აღმოაჩენს, რომ აქვს ან/და შესაძლოა, ჰქონდეს კანონმდებლობით დადგენილი ინტერესთა კონფლიქტი, მისი მოადგილე პასუხისმგებელია არსებული და პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის არიდებასა და გამორიცხვაზე.

სამეთვალყურეო საბჭოს დებულების 8.6 პუნქტის თანახმად, საბჭო შეიმუშავებს და ამტკიცებს თითოეული კომიტეტის ბიუჯეტს და შიდა დებულებას.

2023 წლის 18 აგვისტოს რედაქციის დებულებით სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქციებში შედის შიდა კონტროლის განმახორციელებელ სტრუქტურულ ერთეულებთან კომუნიკაცია.

სამეთვალყურეო საბჭოს წლიური ანგარიშის შედგენა ხორციელდება მოქმედი/მარეგულირებელი კანონმდებლობით მოთხოვნათა სრული დაცვით: აღწერს მისი საქმიანობას, რომელიც, მათ შორის, მოიცავს კორპორაციული მართვის კოდექსის შესრულებასთან დაკავშირებულ ინფორმაციას, ასევე, მდგრადი განვითარების, გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობის საკითხებს.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა კომპეტენცია და უნარები ერთობლივად უზრუნველყოფს საწარმოს საქმიანობის სათანადოდ წარმართვასა და რისკების მართვის ეფექტური ექსპერტიზის შესაძლებლობას.

აუდიტის კომიტეტი

კომიტეტი წარმოადგენს დამოუკიდებელ სტრუქტურულ ერთეულს და ანგარიშვალდებულია სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე. მისი საქმიანობა რეგულირდება მოქმედი საკანონმდებლო აქტებითა და სს „ნიკორა“-ს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამოწმებული დებულებით.

სამეთვალყურეო საბჭოსთან, გარდა აუდიტის კომიტეტისა და შიდა აუდიტის კომიტეტისა, სხვა კომიტეტი არ არის შექმნილი და საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტისათვის კორპორაციული მართვის კოდექსის მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად სამეთვალყურეო საბჭოს აქვს შეთავსებული შესაბამისი ფუნქციების შესრულება, რაც გაწერილია სამეთვალყურეო საბჭოს დებულებაში.

კომპანიის წესდებითა და სამეთვალყურეო საბჭოს დებულებით გათვალისწინებულია კომიტეტის თავმჯდომარისა და შემადგენლობის ცვლილების საკითხი.

კორპორაციული მართვის პრინციპების შესახებ დებულებით გათვალისწინებულია კომიტეტების მიერ მიღებულ რეკომენდაციებსა და განხილვების შედეგების ჩანაწერების გაკეთება/შედგენის ვალდებულება (კორპორაციული მართვის პრინციპების დებულების 3.6.6 "კ" ქვეპუნქტი).

აუდიტის კომიტეტი შედგება სამი წევრისგან:

ა) თავმჯდომარე/წევრი: პ/ნ გელა არობელიძე (პ/ნ 33001005416), (სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი)

ბატონი გელა არობელიძე სამეთვალყურეო საბჭოს წევრია 2008 წლიდან. 1997-2008 წლებში მარტინ ბაუერის ცენტრალური ოფისის დირექტორის პოზიციას იკავებდა. უფრო ადრინდელი გამოცდილება კი ოზურგეთის პურკომბინატის დირექტორის და აგრეთვე ჩაის სუბტროპიკულ კულტურათა სამსახურის უფროსის პოზიციაზე მუშაობას უკავშირდება. დამთავრებული აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო ფაკულტეტი.

ბ) წევრი: ვასილ სუხიაშვილი (პ/ნ 01024003505)

ბატონი სუხიაშვილი სს „ნიკორა“-ს ერთ-ერთი დამფუძნებელია და მისი დირექტორი იყო 1998-იდან 2008 წლამდე, როცა იგი სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე გახდა. სს „ნიკორა“-ს დაფუძნებამდე იგი მართავდა გაზიანი სასმელის სადისტრიბუციო ბიზნესს მოსკოვში. ბატონ სუხიაშვილის მიღებული აქვს ბაკალავრის ხარისხი მექანიკურ ინჟინერიაში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტიდან.

კომპანიები, სადაც ბატონი ვასილი მენეჯმენტის, დირექტორთა საბჭოს ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრიც იყო ან არის ბოლო 5 წლის მანძილზე: შპს ა და კო (ს/ნ: 405224332), შპს დეპოსერვისის (ყოფილი შპს ქართული სოკო) (ს/ნ: 405102357), შპს „რეფ ენ“ (ს/ნ: 400345195) და შპს ნიკორა 3 (ს/ნ: 204987274).

გ) წევრი: გურამ ცერცვაძე (პ/ნ 01015005694)

ბატონი გურამ ცერცვაძე სს „ნიკორა“-ს დამფუძნებელია 1998 წლიდან. 1998-2008 წლებში შპს „ნიკორა“-ს აღმასრულებელი დირექტორის პოზიციას იკავებდა, ხოლო 2008 წლიდან სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეა. მისი წარსული გამოცდილება უკავშირდება საერთაშორისო ორგანიზაციას ("Care" 1993-1997) და კვების პროდუქტების იმპორტისა და დისტრიბუციის კომპანიას (შპს "აგრო ბიზნეს ჯორჯია" 1997-1998). ფლობს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბაკალავრის ხარისხს მექანიკურ ინჟინერიაში.

როგორც აუდიტის კომიტეტის წევრების ბიოგრაფიიდან ჩანს, ისინი არ არიან/ ბოლო 12 თვის განმავლობაში არ ყოფილან საწარმოს მიმდინარე აუდიტის განმახორციელებელი ფირმის/აუდიტორის პარტნიორი ან დირექტორი და არ აქვთ რაიმე სახის ფინანსური ინტერესი.

გარდა მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნებისა, აუდიტის კომიტეტის საქმიანობა დამატებით რეგულირდება აუდიტის კომიტეტის დებულებით (დამტკიცებული 2023 წლის 18 აგვისტო), რომელიც აწესებს დამატებით კრიტერიუმებს კომიტეტის საქმიანობისათვის. აუდიტის კომიტეტის დებულების 3.1 პუნქტის თანახმად აუდიტის კომიტეტის სხდომა უნდა გაიმართოს წელიწადში ოთხჯერ, წინ უნდა უძღოდეს

სამეთვალყურეო საბჭოს სხდომებს და წარუდგენს სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშგებას წლიური და ნახევარწლიური ანგარიშგების დამტკიცების პერიოდის შესაბამისად.

აუდიტის კომიტეტის ფუნქციებში შედის:

ა) განსაზღვროს შიდა აუდიტისა და ფინანსური ანგარიშგების პოლიტიკა (აუდიტის კომიტეტის დებულების 4.1.1. პუნქტის "a" და "b" ქვეპუნქტი);

ბ) მონიტორინგი გაუწიოს ფინანსური და არაფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესებს; აუდიტის კომიტეტის ფუნქციებში შედის ფინანსური და არაფინანსური ანგარიშგების შედგენას (აუდიტის კომიტეტის დებულების 4.1.1. პუნქტის "i". ქვეპუნქტი);

გ) მონიტორინგი გაუწიოს და აქტიურად ითანამშრომლოს საწარმოს შიდა და გარე აუდიტორებთან; (აუდიტის კომიტეტის დებულების 4.1.1. პუნქტის "h", "j" და "m". ქვეპუნქტი);

დ) შეაფასოს გარე აუდიტორის ეფექტიანობა, გამოთქვას მოსაზრება გარე აუდიტორთა კანდიდატურებთან დაკავშირებით, წარუდგინოს შესაბამისი რეკომენდაციები სამეთვალყურეო საბჭოს ან აქციონერებს/პარტნიორებს მათ კანდიდატურებთან, დანიშვნასთან, ანაზღაურებასთან ან გათავისუფლებასთან დაკავშირებით; (აუდიტის კომიტეტის დებულების 4.1.1. პუნქტის "g" და "h" ქვეპუნქტები);

ე) შეაფასოს შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობის ეფექტიანობა და დამოუკიდებლობა; (აუდიტის კომიტეტის დებულების 4.1.1. პუნქტის "j" ქვეპუნქტი);

ვ) უზრუნველყოს შიდა და გარე აუდიტორების ფუნქციების ადეკვატურობა, დამოუკიდებლობა და ეფექტური ურთიერთთანამშრომლობა; (აუდიტის კომიტეტის დებულების 4.1.1. პუნქტის "j" ქვეპუნქტი);

ზ) განიხილოს გარე აუდიტორის მიერ მომზადებული სარეკომენდაციო წერილი და მონიტორინგი გაუწიოს დირექტორთა საბჭოს მიერ არსებული ნაკლოვანებების გამოსწორების მიზნით შესაბამისი ზომების გატარებას; (აუდიტის კომიტეტის დებულების 4.1.1. პუნქტის "k" ქვეპუნქტი);

თ) განიხილოს და სამეთვალყურეო საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინოს ჩასატარებელი შიდა აუდიტის ფარგლები და ჩატარების სიხშირე; (აუდიტის კომიტეტის დებულების 4.1.1. პუნქტის "l" ქვეპუნქტი);

ი) მიიღოს შიდა აუდიტის ანგარიშგებები და უზრუნველყოს საწარმოს დირექტორთა საბჭოს მხრიდან სათანადო ღონისძიებების დროულად გატარება აუდიტის პროცესში ან კონტროლის სხვა ფუნქციების მიერ იდენტიფიცირებული კონტროლის სისუსტეების, კანონმდებლობასთან შეუსაბამობის ან სხვა ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად; (აუდიტის კომიტეტის დებულების 4.1.1. პუნქტის "m" ქვეპუნქტი);

კ) მონიტორინგი გაუწიოს საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკისა და პრაქტიკის ჩამოყალიბებას; (აუდიტის კომიტეტის დებულების 4.1.1. პუნქტის "n" ქვეპუნქტი);

ლ) განიხილოს საწარმოს რისკების მართვის მთლიანი ჩარჩო და შიდა კონტროლის სისტემების ეფექტურობა და სტრუქტურა, მათ შორის, განიხილოს მესამე პირთა მოსაზრებები აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით (აუდიტის კომიტეტის დებულების 4.1.1. პუნქტის "o" ქვეპუნქტი);

აუდიტის კომიტეტის დებულებით გათვალისწინებული უფლებების შეფასების მიზნით მის წევრებს მუდმივად აქვთ სრული წვდომა დირექტორთა საბჭოს, შიდა აუდიტისა და რისკების მართვის ფუნქციებთან. იგი ყოველწლიურად უნდა განიხილავდეს გარე აუდიტორთა დამოუკიდებლობას და ამჟღავნებდეს შემდეგი სახის ინფორმაციას:

ა) გარე აუდიტორებზე მთლიანი საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში გაცემული ანაზღაურების შესახებ (აუდიტის კომიტეტის დებულების 4.5.1. ქვეპუნქტი);

ბ) საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში აუდიტორული და სხვა სახის მომსახურებებზე გაცემული ანაზღაურების ელემენტებს ან შესაბამის უარყოფით მოსაზრებას საწარმოს წლიურ ანგარიშში. თუ გარე აუდიტორები, გარდა აუდიტორული მომსახურებისა, იმავდროულად უზრუნველყოფენ საწარმოსთვის სხვა სახის მომსახურების გაწევას, აუდიტის კომიტეტი უნდა განიხილავდეს ამ მომსახურებათა შინაარსსა და

ფარგლებს და უზრუნველყოფდეს ობიექტურობის შენარჩუნებას და ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვას.(აუდიტის კომიტეტის დებულების 4.5.2 ქვეპუნქტი);

საწარმოში არ არის შექმნილი **რისკების კომიტეტი** და საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტისათვის კორპორაციული მართვის კოდექსის მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად სამეთვალყურეო საბჭოს აქვს შეთავსებული შესაბამისი ფუნქციების შესრულება, მათ შორის:

ა) განიხილავს რისკის სტრატეგიებს როგორც აგრეგირებული, ისე ინდივიდუალური რისკის კრილში და აწვდის შესაბამის რეკომენდაციებს სამეთვალყურეო საბჭოს (სამეთვალყურეო საბჭოს დებულების 2.6.1 ქვეპუნქტი);

ბ) ამზადებს ანგარიშგებას საწარმოში არსებული რისკის კულტურის შესახებ და განიხილავს საწარმოს რისკის პოლიტიკას, სულ მცირე, ყოველწლიურად (სამეთვალყურეო საბჭოს დებულების 2.6.2 ქვეპუნქტი);

გ) მონიტორინგს უწევს დირექტორატის/აღმასრულებელი დირექტორის მხრიდან საწარმოს საქმიანობის რისკის პოლიტიკასთან შესაბამისობის უზრუნველყოფას (სამეთვალყურეო საბჭოს დებულების 2.6.3 ქვეპუნქტი);

დ) რისკის სტრატეგიებისა და სხვადასხვა პოლიტიკის ეფექტურობის თაობაზე, მათ შორის, იდენტიფიცირებული რისკებისთვის საკმარისი კაპიტალის შენარჩუნებასა და განაწილებაზე რეკომენდაციების გაცემა (სამეთვალყურეო საბჭოს დებულების 2.6.4 ქვეპუნქტი).

რისკების მართვის კომიტეტის ნაცვლად სამეთვალყურეო საბჭო იღებს შესაბამის ანგარიშგებას შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისგან საწარმოს მიმდინარე რისკის პროფილის, რისკის კულტურასთან დაკავშირებით შესაბამისი აქტივობების, საზღვრების, საზღვრების დარღვევებისა და მიტიგაციის გეგმებთან დაკავშირებით (სამეთვალყურეო საბჭოს დებულების 2.6.5 ქვეპუნქტი)

რისკების მართვის კომიტეტის ნაცვლად სამეთვალყურეო საბჭო ახორციელებს ყველა სახის რისკის, მათ შორის, ახლადგამოვლენილი რისკების გათვალისწინებას და ასევე ნებისმიერი სახის საჭირო შესწორებების შეტანას საწარმოს რისკის მართვის ჩარჩოში (სამეთვალყურეო საბჭოს დებულების 2.6.6 ქვეპუნქტი)

რისკების მართვის კომიტეტის ფუნქციების ეფექტურად შესრულების მიზნით სამეთვალყურეო საბჭოს წვდომა უნდა ჰქონდეს როგორც დირექტორთა საბჭოს, რისკებისა და ფინანსური კონტროლის პერსონალთან, ასევე, სხვა შიდა და გარე მხარეებთან. (სამეთვალყურეო საბჭოს დებულების 2.6.8 ქვეპუნქტი)

საწარმოში არ არის შექმნილი **ანაზღაურების კომიტეტი** და საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტისათვის კორპორაციული მართვის კოდექსის მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად სამეთვალყურეო საბჭოს აქვს შეთავსებული შესაბამისი ფუნქციების შესრულება, რაც გაწერილია სამეთვალყურეო საბჭოს დებულებაში.

რისკების მართვის კომიტეტის ფუნქციების შეთავსების ფარგლებში სამეთვალყურეო საბჭო უზრუნველყოფს საწარმოს ანაზღაურების სისტემის შექმნასა და ფუნქციონირებაში, ასევე, იმის მიღწევაში, რომ საწარმოს ანაზღაურების სისტემა შეესაბამებოდეს მის კულტურას, გრძელვადიან ბიზნესს და რისკის მართვის ჩარჩოს, საწარმოს საქმიანობას და კონტროლის გარემოს ისევე, როგორც კანონმდებლობის/საზედამხედველო მოთხოვნებს. (სამეთვალყურეო საბჭოს დებულების 2.8 პუნქტი).

ანაზღაურების კომიტეტის ფუნქციები შეთავსებული აქვს სამეთვალყურეო საბჭოს მათ შორის:

ა) რეგულარულად განიხილოს საწარმოს ანაზღაურების პოლიტიკა და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემა. უზრუნველყოს საწარმოს ანაზღაურების პოლიტიკის ეფექტურობისა და მისი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება, მათ შორის ძირითადი საქმიანობის შედეგების ინდიკატორებთან მიმართებით (სამეთვალყურეო საბჭოს დებულების 2.8.1 ქვეპუნქტი);

ბ) ყოველწლიურად მოამზადოს რეკომენდაციები მმართველი ორგანოს ანაზღაურებასთან დაკავშირებით და წარუდგინოს იგი დასამტკიცებლად საერთო კრებას (სამეთვალყურეო საბჭოს დებულების 2.8.2 ქვეპუნქტი).

საწარმოში არ არის შექმნილი **კორპორაციული მართვის კომიტეტი** და საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტისათვის კორპორაციული მართვის კოდექსის მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად სამეთვალყურეო საბჭოს აქვს შეთავსებული შესაბამისი ფუნქციების შესრულება, რაც გაწერილია სამეთვალყურეო საბჭოს

დებულებაში. კორპორაციული მართვის კომიტეტის ფუნქციების შეთავსების ფარგლებში სამეთვალყურეო საბჭო:

ა) უზრუნველყოფს საწარმოს შიდა მმართველობითი სტრუქტურის შესაბამისობას კორპორაციული მართვის საკითხების მომწესრიგებელ კანონმდებლობის მოთხოვნებთან და საწარმოს შიდა წესებთან/დოკუმენტებთან; (სამეთვალყურეო საბჭოს დებულების 2.9 პუნქტი);

ბ) უზრუნველყოფს საწარმოს შიგნით ისეთი გადაწყვეტილებების მიღების სისტემის არსებობას, რომელიც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს გადაწყვეტილებების მიღებისას საწარმოს რეპუტაციული რისკების შეფასებას და ამასთან, სრულ შესაბამისობას კანონმდებლობასთან და საწარმოს შიდა სტანდარტებთან; (სამეთვალყურეო საბჭოს დებულების 2.10 პუნქტი).

თუმცა კორპორაციული მართვის კომიტეტის ზოგიერთი ფუნქცია მათ შორის კოდექსის მე-12 მუხლის "გ"-ს "ე" ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილებები, სპეციფიკიდან/შინაარსიდან გამომდინარე, ფიზიკურად ვერ მიენიჭება სამეთვალყურეო საბჭოს. ამავდროულად, ფუნქცია ფაქულტატურია და კორპორაციული მართვის კომიტეტის არქონა დაშვებულია კანონით.

სამეთვალყურეო საბჭოში წევრთა უნარებისა და გამოცდილების ფართო სპექტრის მოთხოვნა უზრუნველყოფილია სამეთვალყურეო საბჭოს დებულებით (პუნქტი 5.7)

სამეთვალყურეო საბჭო ახორციელებს საკუთარი საქმიანობის თვითშეფასებას და ამისათვის გაჩნია შესაბამისი პროცედურები. აღნიშნული გაწერილია სამეთვალყურეო საბჭოს დებულების მე-9 თავში - "საბჭოს თვითშეფასება".

დირექტორთა საბჭო

ნიკორას საქმიანობის პროცესი არის სრულად გამჭვირვალე - ყველანაირი ცვლილება, ანგარიში (მათ შორის ფინანსური ანგარიში) არის საჯარო და განთავსებულია კომპანიის საიტზე, მიგვაჩნია რომ ამ ფაქტორების გათვალისწინებით კომპანია ამჟამად არ საჭიროებს დირექტორთა საბჭოს და არსებული პირობებითაც (იმის გათვალისწინებით რომ კომპანია სრულად იცავს ემიტენტის გამჭვირვალობასთან დაკავშირებულ სავალდებულო საკანონმდებლო დანაწესებს) მიიღწევა ყველა ის მიზანი, რასაც ემსახურება ან რომელი სამართლებრივი სიკეთის დაცვისთვისაც არსებობს ანგარიშვალდებულ საწარმოში დირექტორთა საბჭოს საკანონმდებლო დანაწესი, თუმცა აღნიშნულის მიუხედავად ნიკორას, საკანონმდებლო სავალდებულო დანაწესის ფარგლებში, დაწყებული აქვს დირექტორთა საბჭოს შექმნის პროცესი, მიმდინარეობს სავარაუდო კანდიდატთა მოძიება და მათთან მოლაპარაკება და ვვარაუდობთ, რომ 2025 წლის წლიური ანგარიშის წარდგენის მომენტისათვის უკვე სრულად დასრულებული იქნება აღნიშნული პროცესი.

კორპორაციული მდივანი

კორპორაციული მართვის პრაქტიკის დამკვიდრების მიზნით კომპანიაში არის კორპორაციული მდივნის პოზიცია, რომლის ძირითად ფუნქციებს წარმოადგენს:

ა) ორგანიზაციული და ინფორმაციული მხარდაჭერის გზით, საერთო კრების, სამეთვალყურეო საბჭოსა (კომიტეტების ჩათვლით) და დირექტორთა საბჭოსთვის დახმარების გაწევა საქმიანობის განხორციელებაში (კორპორაციული მართვის პრინციპების შესახებ დებულების 3.6.6 პუნქტის "ა" ქვეპუნქტი);

ბ) სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოსათვის კორპორაციულ დოკუმენტაციასთან და პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებული რჩევების მიცემა (კორპორაციული მართვის პრინციპების შესახებ დებულების 3.6.6 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტი);

გ) სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოსთან თანამშრომლობა მათი სხდომის დღის წესრიგის შედგენისა და დაგზავნის, სხდომის ორგანიზებისა და ჩატარების, აგრეთვე, შეტყობინებების დაგზავნის საკითხებში (კორპორაციული მართვის პრინციპების შესახებ დებულების 3.6.6 პუნქტის "გ" ქვეპუნქტი);

დ) საჭირო ტრენინგების და მოსამზადებელი საორიენტაციო შეხვედრების დაგეგმვა უკვე მომუშავე თუ ახლად დანიშნულ/არჩეულ სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოს წევრებისათვის (კორპორაციული მართვის პრინციპების შესახებ დებულების 3.6.6 პუნქტის "გ" ქვეპუნქტი);

ე) ყველა კორპორაციული დოკუმენტის, ოქმის თუ სხვა საჭირო საბუთის წარმოება და ინფორმაციის მინიმუმ 6 წლის ვადით შენახვა; (კორპორაციული მართვის პრინციპების შესახებ დებულების 3.6.6 პუნქტის "ე" ქვეპუნქტი);

ვ) იყოს დამაკავშირებელი რგოლი აქციონერებს/პარტნიორებს, სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოს შორის (კორპორაციული მართვის პრინციპების შესახებ დებულების 3.6.6 პუნქტის "ვ" ქვეპუნქტი);

ზ) უზრუნველყოს საერთო კრების მოწვევისა და ჩატარების კანონით დადგენილი მოთხოვნების დაცვა (კორპორაციული მართვის პრინციპების შესახებ დებულების 3.6.6 პუნქტის "ზ" ქვეპუნქტი);

თ) კორპორაციული მდივნის ფუნქციაა მარეგულირებელი/ზედამხედველი ორგანოების მიერ მიღებულ კორპორაციულ მართვასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო და ასევე, საწარმოს მიერ მიღებული კორპორაციული მართვის კოდექსით გათვალისწინებულ პრინციპებთან შესაბამისობა (კორპორაციული მართვის პრინციპების შესახებ დებულების 3.6.6 პუნქტის "თ" ქვეპუნქტი);

ი) განახორციელოს სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოს სხდომების, აგრეთვე აქციონერთა/პარტნიორთა საერთო კრების მდივნის ფუნქცია და აწარმოოს ოქმები. (კორპორაციული მართვის პრინციპების შესახებ დებულების 3.6.6 პუნქტის "ი" ქვეპუნქტი).

კორპორაციული მართვის პრინციპების შესახებ დებულების თანახმად კორპორაციული მდივანი წარმოადგენს უშუალოდ სამეთვალყურეო საბჭოს დაქვემდებარებაში მყოფ პირს, რომელიც ახორციელებს საწარმოს მმართველი ორგანოს, აქციონერების/პარტნიორებისა და სხვა დაინტერესებული პირების ინფორმაციულ და ორგანიზაციულ უზრუნველყოფას (კორპორაციული მართვის პრინციპების შესახებ დებულების 3.6.1. პუნქტი)

კორპორაციული მართვის პრინციპების შესახებ დებულების 3.6.2. პუნქტის თანახმად სამეთვალყურეო საბჭო დეტალურად განსაზღვრავს კორპორაციული მდივნის უფლებამოსილებასა და ვალდებულებებს, ფუნქციების ჩამონათვალს, საჭირო განათლებასა და კვალიფიკაციას, რომელსაც უნდა ფლობდეს კანდიდატი. ამავე დებულების 3.6.2 პუნქტის თანახმად სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქციებში შედის კორპორაციულ მდივანის დანიშვნა და შრომითი ხელშეკრულების პირობების განსაზღვრა.

კორპორაციული მდივანი არის მელანო გოგისვანიძე პ/ნ: 60001077177 არ არის საწარმოს მმართველი ორგანოს წევრი, არ აქვს გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება და არ არსებობს რიამე პირობა, რაც ხელს შეუშლის მას მოვალეობების მიუკერძოებლად და დამოუკიდებლად შესრულებაში.

ნიკორა, როგორც ჰოლდინგური კომპანია, ჯგუფში შემავალი შვილობილი საწარმოების მმართველობითი სისტემის შექმნასა და ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელობას იღებს თავად და განახორციელებს ადეკვატურ მონიტორინგს (სამეთვალყურეო საბჭოს დებულების 3.9 პუნქტი)

ნიკორა, როგორც ჰოლდინგურ კომპანია:

- ჯგუფში შემავალი შვილობილი საწარმოების მმართველობითი სისტემის შექმნასა და ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელობას აიღებს და განახორციელებს ადეკვატური მონიტორინგს (სამეთვალყურეო საბჭოს დებულების 3.9 პუნქტი);

- თითოეული შვილობილი საწარმოს სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორი/დირექტორთა საბჭო პასუხისმგებელი იქნება რისკების მართვის ეფექტური პროცესების შენარჩუნებაზე (სამეთვალყურეო საბჭოს დებულების 3.10 პუნქტი);

- ჯგუფში შემავალი შვილობილი საწარმოების მმართველობით ორგანოებმა დამოუკიდებლად შეაფასონ საჭიროების შემთხვევაში შეცვალონ პოლიტიკა, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონმდებლობას/საზედამხედველო მოთხოვნებს ან/და აღნიშნული ზიანის მომტანი იქნება შვილობილი საწარმოს ჯანსაღი და პრუდენციული მართვის მიზნებისათვის (სამეთვალყურეო საბჭოს დებულების 3.11 პუნქტი);

- ნიკორას სამეთვალყურეო საბჭოს უფლებამოსილი იქნება პერიოდულად მოითხოვოს მიმოხილვა შვილობილი საწარმოების სტრუქტურის, მათი კონტროლებისა და საქმიანობის შესახებ ისევე, როგორც ინფორმაცია მათ მიერ დამტკიცებულ სტრატეგიასთან შესაფერისობის თაობაზე (სამეთვალყურეო საბჭოს დებულების 3.12 პუნქტი).

მინიჭებული უფლებამოსილების სრულად განხორციელების შემთხვევაში სამეთვალყურეო საბჭო შეძლებს მუდმივად შეინარჩუნოს მზადყოფნა განახორციელოს შესაბამისი ანგარიშგება ზედამხედველ ორგანოსთან საწარმოში არსებული პოლიტიკისა და სტრატეგიების თაობაზე.

რისკების მართვის სისტემის შექმნასა და მონიტორინგზე საბოლოო პასუხისმგებლობა სამეთვალყურეო საბჭოს აკისრია. განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით რომ რისკების მართვის კომიტეტის ფუნქციების სრულად შეთავსებული აქვს სამეთვალყურეო საბჭოს.

სამეთვალყურეო საბჭო სრულად ასრულებს მის ვალდებულებას იცნობდეს საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, საწარმოს რისკებს, მათ შორის გარემოსდაცვით და სოციალურ რისკებს, ასევე, რისკებს ჯგუფისა და ბიზნესსაქმიანობის დონეზე (სამეთვალყურეო საბჭოს დებულების 11.1 პუნქტი).

სამეთვალყურეო საბჭო მინიმუმ ყოველწლიურად გადახედავს რისკის მართვის ჩარჩოს. (სამეთვალყურეო საბჭოს დებულების 11.2 პუნქტი).

კომპანიას გააჩნია რისკების მართვის სისტემა და დამტკიცებული პროცესები/პროცედურები ახალ პროდუქტებთან თუ მომსახურებასთან, გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებთან, ბიზნეს ხაზთან და მსხვილ და კომპლექსურ ტრანზაქციებთან, გამოყენებულ ტექნოლოგიებსა და მათ უსაფრთხოებასთან მიმართებით, რაც მნიშვნელოვან რესურსებს მოითხოვს ან/და რთულად განსაზღვრადი რისკები აქვს (სამეთვალყურეო საბჭოს დებულების 11.3 პუნქტი)

ნიკორას, როგორც ჰოლდინგურ კომპანიის, შიდაწარმოებული ბაზა ქმნის შესაძლებლობას მოხდეს რისკების იდენტიფიცირება შვილობილი საწარმოების დონეზე. სამეთვალყურეო საბჭო რეგულარულად განიხილავს საწარმოს ძირითად პოლიტიკებსა და კონტროლის მექანიზმებს რათა მოახდინოს მნიშვნელოვანი რისკები, საკითხები და საჭიროებების იდენტიფიცირება.

კომპანიას ჰყავს შიდა აუდიტის კომიტეტი, რომლის საქმიანობა რეგულირდება შიდა აუდიტის კომიტეტის დებულებით. სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული დებულებით მინიჭებული უფლებების ფარგლებში სამსახურს გააჩნია შემდეგი უფლებამოსილებები/ვალდებულებები/მოთხოვნები:

ა) კომიტეტი უფლებამოსილია ჰქონდეს კომპანიის ყველა სტრუქტურულ დანაყოფთან, კომპანიაში არსებულ ჩანაწერებთან, კომპანიის ქონებასთან და საინფორმაციო სისტემებთან სრული, პირდაპირი და შეუზღუდავი წვდომა (შიდა აუდიტის კომიტეტის დებულების 3.1 პუნქტი);

ბ) სამეთვალყურეო საბჭოს მიერ უზრუნველყოფილი უნდა იყოს შიდა აუდიტის დამოუკიდებლობის შენარჩუნება, შიდა კონტროლის, რისკების მართვის სისტემებისა და პროცესების ეფექტურობისა და ეფექტიანობის შეფასებისას; (შიდა აუდიტის კომიტეტის დებულების 1.4 პუნქტი);

გ) შიდა აუდიტის სამსახურის თანამშრომლები კვალიფიკაცია სრულად შეესაბამება შიდა და საერთაშორისო პროფესიულ სტანდარტებს, გააჩნდეთ სათანადო ცოდნა, რესურსი, უნარ-ჩვევები და კომპეტენცია საქმიანობის ეფექტურად წარმართვის მიზნით (შიდა აუდიტის კომიტეტის დებულების 4.4 პუნქტი);

დ) შიდა აუდიტის კომიტეტის თანამშრომლების შერჩევისას სრულად არის დაცული დებულებით დადგენილი მოთხოვნები, რომელიც უზრუნველყოფს საქმიანობის ეფექტურად წარმართვას. (შიდა აუდიტის კომიტეტის დებულების 4.4 პუნქტი);

ე) აუდიტთან დაკავშირებული რეკომენდაციების გათვალისწინებასა და არსებული ნაკლოვანებების დროულ და ეფექტურ აღმოფხვრა (შიდა აუდიტის კომიტეტის დებულების 5.6 პუნქტი);

ვ) შიდა აუდიტის სამსახურის მიერ საწარმოს მთლიანი რისკების მართვის ჩარჩოს შეფასებას, რომელიც, სულ მცირე, მოიცავს:

- i) რისკების მართვისა და შესაბამისობის ფუნქციების ეფექტურობის შეფასებას;
- ii) სამეთვალყურეო საბჭოსთან და დირექტორთა საბჭოსთან რისკების შესახებ ანგარიშგების პროცესების ხარისხის შეფასებას;
- iii) საწარმოს შიდა კონტროლების სისტემის ეფექტურობის შეფასებას. (შიდა აუდიტის კომიტეტის დებულების 1.5 პუნქტი);

შიდა აუდიტის სამსახური ანგარიშვალდებულია მხოლოდ კომპანიის აუდიტის კომიტეტისა და სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე (შიდა აუდიტის კომიტეტის დებულების 1.2 პუნქტი). სამსახურის თანამშრომლების შრომის ანაზღაურების საკითხს წყვეტს სამეთვალყურეო საბჭო (შიდა აუდიტის კომიტეტის დებულების 4.6 პუნქტი)

შიდა აუდიტის სამსახური ვალდებულია დაუყოვნებლივ ანგარიშგება მოახდინოს სამეთვალყურეო საბჭოს დირექტორთა საბჭოსთან იდენტიფიცირებული პრობლემურ საკითხებსა და შეფასების შედეგებზე (შიდა აუდიტის სამსახურის დებულების 2.8 პუნქტი)

შიდა აუდიტის სამსახურის ზომა და სტრუქტურა შეესაბამება შიდა აუდიტისთვის განსაზღვრული მიზნების სირთულეს და საწარმოს წინაშე არსებულ რისკებს (შიდა აუდიტის სამსახურის დებულების 3.4 და 4.2 პუნქტები)

შიდა კონტროლის სისტემების ეფექტურობასა და სტრუქტურას აფასებს და კონტროლს უწევს აუდიტის კომიტეტი (აუდიტის კომიტეტის დებულების 4.3.1 პუნქტის (ი) ქვეპუნქტი)

საწარმოს „გამჭვირვალობის წესის“ მე-9 მუხლის შესაბამისად საწარმოში უზრუნველყოფილია:

ა) ფასიანი ქაღალდების ყველა მფლობელის მიმართ, რომლებიც თანაბარ პირობებში იმყოფებიან, თანაბარი მოპყრობა. აღნიშნული გათვალისწინებულია კანონით, კომპანიის წესდებით და იმ შიდასამართლებრივი აქტები, რომლებიც განთავსებულია კომპანიის ვებ-გვერდზე;

ბ) ინფორმაციის საჯაროობა ფასიანი ქაღალდის მფლობელთა უფლებებისა და ფასიანი ქაღალდების პირობების ცვლილებების შესახებ - კომპანია იცავს მოქმედი კანონდებლობით დადგენილ რეგულაციებს ინფორმაციის საჯაროობასთან დაკავშირებით. იხ. კომპანიის ვებ-გვერდი;

გ) ფასიანი ქაღალდების მფლობელთა უფლებების სათანადოდ განსახორციელებლად საჭირო ინფორმაციისა და საშუალებების ხელმისაწვდომობა - იხ. კომპანიის ვებ-გვერდი, სადაც განთავსებულია ყველა სახის ინფორმაცია რომელიც საჯაროობას საჭიროებს.

სამეთვალყურეო საბჭო ნებისმიერ დროს გამოთქვამს, მზადყოფნას გამართოს დიალოგი აქციონერებთან/პარტნიორებთან, თუ ისინი არ ეთანხმებიან საწარმოს პოზიციას საწარმოს ზომითი კატეგორიის კომპლექსურობის, მის წინაშე არსებული რისკებისა და გამოწვევების გათვალისწინებით. (საწარმოს წესდების მუხლი 5)

აქციონერებს უფლება აქვთ დაუბრკოლებლად ისარგებლონ კანონმდებლობით მათთვის მინიჭებული უფლებამოსილებით და აღნიშნული უზრუნველყოფილია საწარმოს წესდების დონეზე.

კომუნიკაციისა და ინფორმაციის საჯაროობის უფლება გათვალისწინებულია კომპანიის წესდებით და ყველა სახის ინფორმაცია საჯაროდება კომპანიის ვებ-გვერდის მეშვეობით.

სამეთვალყურეო საბჭო, აქციონერთა კრების მეშვეობით, უზრუნველყოფს ეფექტურ და სამართლიან ურთიერთობას აქციონერებთან და აქციონერების აქტიურ მონაწილეობას საერთო კრების მუშაობაში.

საერთო კრების მუშაობას ხელმძღვანელობს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე (წესდების 6.9 პუნქტი). საერთო კრებების მოწვევის, ჩატარების და შედეგების შესახებ ინფორმაცია საჯაროა და თავსდება კომპანიის ვებ. გვერდზე, რომელიც მუდმივად განახლებადია და აქვეა განთავსებული კონტაქტის განხორციელებისათვის საჭირო ინფორმაცია. სამეთვალყურეო საბჭო უზრუნველყოფს მასთან კომუნიკაციის თავისუფლებას ყველა პირისათვის.

5. არაფინანსური ანგარიშგება

5.1 დასაქმება და ადამიანური რესურსების მართვა

კომპანია „ნიკორა ჰოლდინგი“ დღესდღეობით ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი დამსაქმებელია საქართველოს ბაზარზე. ჰოლდინგი აერთიანებს დედა კომპანიას, სს „ნიკორას“ და 16 შვილობილ კომპანიას, თითოეული შვილობილი წარმოადგენს დამოუკიდებელ სტრუქტურულ ერთეულს. ჰოლდინგში შემავალი შვილობილი კომპანიების თანამშრომლებით დაკომპლექტებას, თანამშრომელთა ადმინისტრირებას და არსებული ადამიანური კაპიტალის მართვას ახორციელებს ადამიანური რესურსების მართვის ორი სტრუქტურული ქვედანაყოფი:


- (1) სს „ნიკორა“ ჰოლდინგის ქვედანაყოფი და (2) სს „ნიკორა ტრეიდის“, სუპერმარკეტების ქსელის ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტები. აღნიშნული ორივე სტრუქტურული ერთეული სრულიად დეცენტრალიზებულად და დამოუკიდებლად ფუნქციონირებს.

სს ნიკორა ჰოლდინგის ადამიანური რესურსების მართვის ქვედანაყოფის მიზანია: ხელი შეუწყოს კომპანიის განვითარებას, შექმნას ძლიერი/მყარი ადამიანური კაპიტალი, მოიზიდოს მაღალკვალიფიციური თანამშრომლები, გააუმჯობესოს თანამშრომლების სამუშაო გარემო, ხელი შეუწყოს მათ განვითარებას, შესაბამისად შეამციროს თანამშრომელთა გადინება და შეძლოს, რომ კომპანიისა და თანამშრომლების მიზნები ურთიერთთანხვედრაში იყოს. ქვედანაყოფი აქტიურად მუშაობს, როგორც სამუშაო ძალის შენარჩუნებაზე ასევე, ახალი თანამშრომლების მოძიებასა და მათ კომპანიაში დროულ ინტეგრირებაზე, რაც თავისთავად ხელს უწყობს დასახული მიზნების დროულად განხორციელებასა და კომპანიის განვითარების ტემპის შენარჩუნებას.


კომპანიაში შემუშავებულია შინაგანაწესი, რომლითაც შიდა პოლიტიკისა და მიმართულებების მიხედვით შესაბამისი პროცედურები და ადამიანური რესურსების მართვა ხორციელდება ყველა აუცილებელი წესის დაცვით. გარდა შინაგანაწესისა შვილობილი კომპანიების ჭრილში, ბიზნეს საქმიანობის სპეციფიკების გათვალისწინებით, დანერგილია სხვა მარეგულირებელი შიდა სამართლებრივი აქტები, რომლებიც თანამშრომლებისთვის და დამსაქმებლისთვის ხდის მკაფიოს და ნათელს შრომით ურთიერთობას და ზოგადად, სამუშაო პროცესებს.

კომპანია მისი სწრაფი წინსვლისა და განვითარების ტემპიდან გამომდინარე, წლიდან წლამდე უფრო და უფრო მეტ ახალ სამუშაო ადგილს ქმნის და ხელს უწყობს ჩვენი ქვეყნის მოქალაქეების დასაქმებას.

შესაბამისად, „ნიკორა“ ჰოლდინგში, კომპანიის განვითარებასთან ერთად, თანამშრომელთა რაოდენობა წლიდან წლამდე მუდმივად ზრდადია:



[^] პერიოდის ბოლო მდგომარეობით.




¹ წლის საშუალო მონაცემების მიხედვით.

გენდერული თანასწორობის კუთხით მდგომარეობა დაბალანსებულია, მდებრობითი და მამრობითი სქესის თანამშრომლები სარგებლობენ თანაბარი პირობებით და შესაძლებლობებით. შესაბამისად, აქვთ თანაბარი პასუხისმგებლობები და ვალდებულებები. თანამშრომლის დაქირავების პროცესში ყურადღება ექცევა და აქცენტები კეთდება კანდიდატის საქმიანობასთან შესაბამისობასა და კვალიფიკაციაზე, განურჩევლად სქესისა. აღნიშნული თანასწორობის დაცვაზე პირდაპირ მეტყველებს ყველა შვილობილ კომპანიაში დანერგილი შინაგანაწესის ჩანართები, რომლებიც სრულიად თანხვედრაშია სახელმწიფოს კანონმდებლობის მოთხოვნებთან.

სამუშაო პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ნებისმიერი პირი მიუხედავად, სქესის, რასისა და წარმომავლობის შეძლებს აღნიშნულ კომპანიაში დასაქმებას.

რაც შეეხება დასაქმებულთა ასაკობრივ განაწილებას, 2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით არის შემდეგი. ნიკორა ჰოლდინგის შვილობილი კომპანიების მრავალფეროვნება უზრუნველყოფს თანამშრომელთა ყველა ასაკობრივ სეგმენტს:

თანამშრომელთა ასაკობრივი გადანაწილება



კომპანიაში თითოეულ პოზიციაზე არსებობს გარკვეული სახელფასო ზღვარი, რომლის ფარგლებშიც ხდება თანამშრომლის დაქირავება. ჰოლდინგში მუშაობს, რამდენიმე ტიპის სახელფასო სისტემა, ერთმანეთისაგან განსხვავებული სახელფასო სპეციფიკიდან გამომდინარე:

- წარმოებასა და სასაწყობო მეურნეობის მიმართულებით;
- დისტრიბუციის მიმართულებით;
- ადმინისტრაციის მიმართულებით;
- ზოგიერთი წარმოების თანამშრომლების ანაზღაურების სისტემა სამუშაო გრაფიკებისა და საათობრივი კოეფიციენტების მიხედვით;
- წარმოების თანამშრომლების საწარმო გეგმის შესრულების მიხედვით;
- სასაწყობო მეურნეობის გამომუშავების სისტემა სხვადასხვა კრიტერიუმით გათვალისწინებული;
- ასევე, სავაჭრო მიმართულებით შემუშავებულია თანამშრომელთა ანაზღაურების სისტემა, სამუშაო გრაფიკებისა და სხვა კრიტერიუმების გათვალისწინებით.

აღსანიშნავია, რომ კომპანიაში შპს „ნიკორას“ ბაზაზე ჯერ კიდევ 2022 წლის ჭრილში განახლდა თანამშრომელთა შეფასების პროცესი, რომელიც გულისხმობს კომპლექტებულ საკითხს, სამუშაო სივრცეში და თეორიულ კომპონენტებში სწავლებას და შემდეგ შეფასებას ტექნოლოგიური სამსახურის მიერ. მუდვივ რეჟიმში კვლავ მიმდინარეობს თანამშრომელთა შეფასების პროცესი, უზნების მიხედვით საკონტროლო წერტილებით და პროდუქციის შექმნის კრონომეტრაჟის გათვალისწინებით. აღნიშნული შეფასების პროცესი უზრუნველყოფს პროდუქტის წარმოების ხარისხის დაცვას და ტექნოლოგიური ჯაჭვის უწყვეტობას. შეფასების შედეგების მიხედვით გარკვეული პერიოდულობით ხდება თანამშრომელთა წახალისება.

გარდა სამუშაოს შეფასებაზე დაფუძნებული წახალისების მექანიზმებისა, არსებობს გამუმუშავებაზე, მეტ შესრულებაზე, დამყარებული ანაზღაურების სისტემები, რომელიც აგრეთვე დიდი სტიმულის მიმცემია პერსონალისთვის, მაგალითად გაყიდვების ჯგუფი სადისტრიბუციო ხაზში. ასევე, სასაწყობო მეურნეობისთვის 2023 წელს შეიქმნა საბონუსო სისტემა, რომელიც დაფუძნებულია 3-4 შეფასების კრიტერიუმზე, როგორც არის თანამშრომელთა დასწრება, თვის გეგმის შესრულება თუ დანაკლისების აღმოფხვრა, რის შედეგადაც სასაწყობო პერსონალის იერარქიის გათვალისწინებით ხდება დამატებითი ფულადი თანხების (ბონუსების) დაანგარიშება და თვეში ერთხელ გაცემა.

გამოსაყოფია ასევე ანაზღაურების სისტემა, რომელიც დამოკიდებულია საწარმო გეგმის სრულ შესრულებაზე. თანამშრომელს შეუძლია როგორც ინდივიდუალური, ასევე ჯგუფური კომპონენტის შესრულების შემდეგ მიიღოს დამატებითი სარგებელი. აღნიშნული სისტემა 2025 წლის ივლისი თვიდან მუშაობს.

HR-ის მიზანია, გამართული შეფასების სისტემის საფუძველზე, შევქმნათ და დავნერგოთ გამჭირვალე, ობიექტური და თანამშრომლებისათვის მისაღები სამოტივაციო სისტემა ყველა ჩვენს შვილობილ კომპანიაში სტრუქტურული ერთეულების სპეციფიკის გათვალისწინებით.

თანამედროვე საწარმო პროცესები და დასაქმებულთა მოთხოვნები ყოველთვის საჭიროებს ტექნოლოგიური პროცესების შემოტანას. შესაბამისად, რამდენიმე შვილობილმა კომპანიამ შეიძინა და დანერგა თანამშრომელთა სამუშაო დროის აღრიცხვის პროგრამა. პროგრამული უზრუნველყოფა ითვალისწინებს თანამშრომლების ინდივიდუალურ პროფილებს, მობილურ და ინტერნეტ წვდომებს. შედეგად, ნებისმიერ თანამშრომელს თუ მენეჯერს შეუძლია პირადი და დაქვემდებარებული პირების სამუშაო დროების, შვებულებების თუ ბიულეტენების ლიმიტების, კომპანიის სიახლეების ელექტრონულად, სწრაფად გაცნობა.

აღნიშნული პლატფორმები ვითარდება და კიდევ ბევრ სიახლეს შესთავაზებს მომხმარებელს. 2022 წელს 2 შვილობილი კომპანია სარგებლობდა ელექტრონული პლატფორმით, ხოლო 2023-2024 წელს 4 შვილობილი კომპანია სარგებლობს სისტემით და 2025 წელს კიდევ 1 შვილობილში მიმდინარეობს დანერგვა.

2022 წელს შპს ნიკორას, ყველაზე ხანდაზმულ საწარმოს ხორცპროდუქტების ბაზაზე შეიქმნა მრავალწლიანი გამოცდილების და ცოდნების გამაერთიანებელი ელექტრონული პლატფორმა ე.წ. ვიკიპედია. აღნიშნული აერთიანებს ყველა საწარმო პროცესის თუ ტექნიკური დანადგარის, ინსტრუმენტის სამუშაო ინსტრუქციებს, ვიდეო მასალებს, არსებულ მსუყე ლიტერატურას და ასევე, სხვა სამეცნიერო ლიტერატურის წვდომის საშუალებებს. 2023 წელს ანალოგიური პლატფორმის გამოცდილების გათვალისწინებით თევზის და რძის პროდუქტების მწარმოებელმა კომპანიებმა დაიწყეს სასწავლო მასალების დასტანდარტიზება და სასურველი ლიტერატურული მასალების შეძენა. აღნიშნული პროცესი საწინდარია სხვა შვილობილ კომპანიებში ელექტრონული სასწავლო პლატფორმების შექმნის.

საკმაოდ დიდი ყურადღება ექცევა კომპანიაში არსებულ ორგანიზაციულ კლიმატს. სწორედ ამიტომ, თანამშრომელთა მოტივირებისა და ზოგადი კლიმატის გაუმჯობესების მიზნით, მუდმივად ხორციელდება სხვადასხვა კორპორატიული პროექტები: კორპორატიული ღონისძიება, სადღესასწაულო დღეების მილოცვა, სხვადასხვა სპორტული აქტივობები, რომელიც შეჯიბრის სახით ტარდება შვილობილ კომპანიებს შორის, საზაფხულო ექსკურსიები, გუნდურობისა და თანამშრომლებში კომუნიკაციის გაუმჯობესების მიზნით არაერთი ღონისძიება და თიშბილდინგი ჩატარებულა.

2024 წელს დაინერგა პერსონალური განვითარების პროგრამა, რომელიც გულისხმობს კომპანიის მხრიდან თანადაფინანსებას თანამშრომლების სურიველისამებრ სხვადასხვა სწავლების, მენტორონგის, სერთიფიკირების თუ ა.შ. თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების კუთხით მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს სწავლებები შემდეგი ძირითადი მიმართულებებით:

- (1) ახალი თანამშრომლების ადაპტაციის მოდული;
- (2) სავალდებულო სწავლებები, მაგალითად შრომის უსაფრთხოება, სახანძრო უსაფრთხოება და პირველადი სამედიცინო დახმარება;
- (3) კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები უშუალოდ საწარმო და სამუშაო სივრცეში გამოყოფილი მენტორების მიერ.

2023-2024 წლებში განხორციელდა ე.წ. სწავლებების საჭიროების კვლევა (TNA – Training needs analysis) თანამშრომლების და უშუალო ხელმძღვანელის ჩართულობით. კვლევა ჩატარდა რაოდენობრივი მეთოდოლოგიის გამოკითხვის საშუალებით, სადაც დაფიქსირდა სწავლებების საჭიროება და ანალიზი. სწავლებების საჭიროების იდენტიფიცირების შემდეგ მიმდინარეობდა სწავლებების დაგეგმვა ბიზნეს პროცესების გათვალისწინებით.

მალიან მნიშვნელოვანია თანამშრომლების ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების საკითხი, გამომდინარე აქედან, კომპანიაში არსებობს „შრომის უსაფრთხოების მენეჯერის“ თანამდებობა. აღნიშნულ პოზიციაზე დასაქმებული თანამშრომელი პასუხისმგებელია ტერიტორიაზე, სადაც მიმდინარეობს სამუშაო პროცესი, უზრუნველყოფილი იყოს უსაფრთხოების ნორმები, ტარდებოდეს პრევენციული მონიტორინგი და ნებისმიერი ხარვეზის შემთხვევაში მოახდინოს დროული რეაგირება. ყოველწლიურად წარმოების თანამშრომლებს უტარდებათ შრომის უსაფრთხოების კუთხით შიდა სწავლება, ხოლო ყველა ახალი თანამშრომელი, წარმოების ტერიტორიაზე შესვლამდე გადის ინდივიდუალურ სწავლებას შრომის უსაფრთხოების ნორმების და ჰიგიენურ/სანიტარული ნორმების დაცვის კუთხით.

ასევე, ყოველწლიურად სახელმწიფო კანონმდებლობის გათვალისწინებით მიმდინარეობს შემდეგი პოზიციების ოფიციალური ორგანიზაციების მიერ სერთიფიცირება, გადამზადება და შემდეგ ტესტირება. ეს სამუშაო პოზიციებია: ელექტრიკოსის პროფესია და შესაბამისი პოზიციები, საქვების და ქვე-სადგურის სამუშაო პოზიციები, ცვლის უფროსების და სამუშაო ჯგუფების საგანგებო მდგომარეობის დროს რეაგირების მექანიზმის სწავლება და სხვ. დამატებით, ნიკორას შვილობილ კომპანიაში, სადაც თანამშრომელთა რაოდენობა 100 ადამიანზე მეტია, გამოიყო პასუხისმგებელი პირები (შიდა ან გარე მომსახურე კომპანიის მიერ) და მათი გადამზადება შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის სერთიფიცირებულ პროგრამაზე. აღნიშნული პირები დაინიშნენ შესაბამისი პოზიციებზე, შრომის უსაფრთხოების კოორდინატორთან ერთად, მეტად უსაფრთხო და მოქნილ სისტემებს ნერგავენ ადგილობრივ საწარმო პროცესებში.

სს ნიკორა ჰოლდინგისთვის ასევე მნიშვნელოვანია გარემოს დაცვის საკითხები, შესაბამისად აღნიშნული საქმიანობის მიმართულებით გამოიყო 2 პიროვნება, რომელიც მუდმივ გადამზადებას გადის და ნერგავს სიახლეებს საწარმო თუ სასაწყობო მიმართულებით.

რაც შეეხება, დუალური სწავლების პროექტს ხორც-პროდუქტების საწარმოში არსებული პროფესიების პოპულარიზაცია და გატანა პოტენციურ დასაქმებულებთან. პოპულარიზაციისთვის აუცილებელია პოტენციურ დასაქმებულებთან სწავლებისა და დასაქმების შეთავაზება, რაც თავის თავში მოიაზრებს [სასწავლო ცენტრში](#) კონკრეტული სასწავლო მოდულების [ჩამოყალიბებას/აკრედიტაციას](#) და შეთავაზებას სკოლის დამამთავრებელი პირებისთვის. დაინტერესებული პირები შეძლებენ გაიარონ 16 კვირიანი სასწავლო პროგრამა პრაქტიკის გათვალისწინებით დახელოვდნენ ხორც-პროდუქტების წარმოებაში, მიიღონ მცირედი სტეპენდია და სამომავლოდ გადაწყვიტონ პროფესიაში მუშაობა. სასწავლო პროგრამას ჰყავს მსხვილი პარტნიორები, რომლებიც სერთიფიკატს გასცემენ ნიკორასთან ერთად.

ასევე, დიდი ყურადღება ექცევა თანამშრომლების მხრიდან დადგენილი ჰიგიენურ/სანიტარული ნორმებისა და ხარისხი მართვის სამსახურის მიერ შემუშავებული პროცედურების დაცვას.

დედა კომპანიის სს“ნიკორას“-ს სტრუქტურაში, არსებობს ხარისხის მართვის დეპარტამენტი, რომელიც ცენტრალიზირებულად ემსახურება ჰოლდინგში შემავალ ყველა შვილობილ კომპანიას. დეპარტამენტში არსებული სპეციალისტების მატრიცული განაწილება ხდება შვილობილ კომპანიებზე, სპეციალისტები ახორციელებენ შესრულებული სამუშაოს ხარისხის კონტროლს და შეუსაბამობის დადგენის შემთხვევაში მიმართავენ შესაბამის ზომებს. პერიოდულად ხდება სპეციალისტების როტაცია შვილობილ კომპანიებს შორის, პრევენციის მიზნით. დამატებით, რამდენიმე შვილობილ კომპანიაში ფართო მასშტაბიანი საქმიანობიდან გამომდინარე გამოყოფილია შიდა თანამშრომლების ჯგუფი, რომელიც პასუხისმგებელია ყოველდღიურად ჰიგიენური/სანიტარული ნორმების დაცვაზე. განსაკუთრებით ყურადღება ექცევა წარმოების პროცესში, რამდენად იცავენ თანამშრომლები დადგენილ წესებს და სწორედ ამისთვის ტარდება ყოველდღიური მონიტორინგი წარმოებაში .საჭიროების შემთხვევაში, ხარისხის მართვის სამსახურის თანამშრომელი, სამუშაო ადგილზევე ახორციელებს თანამშრომლის სწავლებას მის ტერიტორიაზე დადგენილ/გაწერილ წესების ფარგლებში. ამას გარდა, ხარისხის მართვის სამსახურის მიერ ყოველწლიურად ტარდება ჰიგიენა/უსაფრთხოების კუთხით შიდა ტრენინგები და თანამშრომელთა სწავლება, რომელიც წელიწადში ორჯერ გეგმიურად ხორციელდება.

ამ ეტაპზე კვლავ მიმდინარეობს შვილობილ კომპანებში თანამშრომელთა რაოდენობის ზრდა შესაბამისად, ოთხმა შვილობილმა კომპანიამ ადგილზე მუდმივ რეჟიმში დაიქირავა ხარისხის მართვის მენეჯერები ან არსებული მენეჯერები გადაამზადა ხარისხის მართვის/სურსათის უვნებლობის მიმართულებით. შესაბამისად, უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს მონიტორინგი საწარმო პროცესის.

კომპანიაში არსებობს ბენეფიტების სისტემა, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბენეფიტი შეიძლება ითქვას, რომ არის წარმოებების და ლოჯისტიკური მიმართულებით დასაქმებული თანამშრომლების კვება. თანამშრომლების კვებას ემსახურება ჰოლდინგის შვილობილი კომპანიის შპს „ნიკორას“ ბაზაზე არსებული კაფეტერია, რომელიც დაკომპლექტებულია გამოცდილი პერსონალით. ისევე როგორც წარმოებაში, ხდება სამზარეულოს ხარისხის კონტროლი, როგორც მზა პროდუქტის, ასევე ნედლეულის. 2022 წელს მოხდა სივრცის სრული რეაბილიტაცია/რემონტი, ხოლო 2023 წელს კი ყოველკვარტლურად მიმდინარეობს თანამშრომლების კმაყოფილების გამოკითხვა სასადილოს მომსახურების/კერძების შესახებ. მიღებული შედეგები გვეხმარება პროცესის გაუმჯობესებაში. კაფეტერიას შემუშავებული აქვს ორი ტიპის კვება ადგილზე პერსონალის და გასაგზავნი. ტრანსპორტირებისთვის შეძენილია სპეციალური სამგზავრო უმაღლესი ხარისხის ყუთები, რათა არ გაფუჭდეს საჭმლის კონსისტენცია. კვება არის 2 კვირის ციკლით და ითვალისწინებს როგორც პერსონალის ცვლიანობას, ასევე ღამის და დღის განრიგებს. ყველა მომუშავეს რომ თანაბრად დაბალანსირებულად შეხვდეს ყველა ტიპის საკვები.

გარდა ამისა, არსებობს სხვადასხვა ბენეფიტური სისტემა: მრავალშვილიან მშობლებთან მიმართებაში, დაბადების დღის სიურპრიზები, სადღესასწაულო პრემიები, სწავლების დაფინანსებები, სპორტული აქტივობების ფასდაკლების ბარათები, ყოველთვიური გათამაშებები სხვადასხვა ტიპის საჩუქრების და სხვა. 2024 წელს საწარმო თანამშრომლებისთვის, რომლებიც თვითონ ქმნიან პროდუქტს, შეიქმნა ლოიალურობის პროექტი, რომლის ფარგლებშიც სუპერმარკეტ ლიბრეში შემუშავდა მუდმივი ფასდაკლებები და ბარათები გადაეცა პერსონალს. პერსონალი, რომელიც მინაწილეობას იღებს ნიკორას პროდუქტის შექმნაში, აღნიშნულზე მიიღებს მუდმივ ფასდაკლებას და ასევე, სხვა პირველადი მოხმარების პროდუქტებზე.

ბენეფიტური სისტემის ნაწილად შეიძლება ჩაითვალოს კომპანიის მიერ დაორგანიზებული გასვლილი ღონისძიებები, როგორც არის ექსკურსიების ნაკადი საქართველოს და მის ფარგლებს გარეთ. „გავიცნოთ ერთმანეთი“ პროექტი სხვადასხვა აქტივობაზე ჯგუფების გაყვანა, სპორტული თუ კულინარიული აქტივობის ჩათვლით. ჩამოთვლილი გარე აქტივობები არის სისტემატიური და მიმდინარეობს ყოველთვიურად თუ კვარტლურად.

2024 წლიდან გამოსაყოფია ჯგუფური შეჭიდულობის 4 გასვლითი ღონისძიება, სადაც სამუშაო ჯგუფების გათვალისწინებით, მათი სპეციფიკის გააზრებით, ხდებოდა აქტივობების შემუშავება გამოცდილ მენტორებთან, ქოუჩებთან ერთად და ჯგუფის გაყვანა სხვა გარემოში. მათი გადაკვეთა საერთო მიზნების ჭრილში და სხვა მხრივ დაახლოება. აღსაღნიშნავია, რომ მსგავსი აქტივობების შემდეგ სამუშაო ჯგუფები უფრო გახსნილად და მონდომებით თანამშრომლებზე.

ნიკორას ჰოლდინგი აქტიურად ზრუნავს თანამშრომლების ინტელექტუალურ განვითარებაზე წახალისებაზე, ახალგაზრდა თაობის ინტერესების დაკმაყოფილებაზე აღნიშნულ ჭრილში. თაობებისთვის საინტერესო განმავითარებელი პროექტების შემუშავებაზე. ასეთი პროექტებია, ე.წ. იდეათონი და ხორც-პროდუქტების სპეციალისტის დუალური სწავლება. ორივე მათგანის მოსამზადებელი ეტაპი 2024 წელს. 2025 წლის პირველ ნახევარში ანალოგიურად გრძელდება გამოცდილება და უკვე 3 აქტივობა განხორციელდა.

იდეათონის პროექტი გულისხმობს კომპანიის საჭიროებებზე მორგებულ სამუშაო შემთხვევების ანალიზს და მათი გადაჭრების გზები მოძიებას. ე.წ. ბიზნეს ამოცანები/ქეისები გაანალიზდება და მოიძებნება მათზე პასუხები სხვადასხვა ჯგუფის ჩართულობით. ბიზნეს ქეისის შეიმუშავებს კონკრეტული დეპარტამენტიდან გამოყოფილი მენეჯერი, რომელიც პროექტის სრული მსვლელობის დროს იქნება ინსტრუქტორი და აღმწერი ქეისთან დაკავშირებულ საკითხებზე. რა თქმა უნდა, აღნიშნული ქეისი უნდა იყოს სრულად კომპანიის საჭიროებებზე და გამოწვევებზე მორგებული. ბიზნეს ამოცანის გადასაწყვეტად გამოცხადდება რეგისტრაცია და გამოიყოფა ერთი სამუშაო დღე გარე სივრცეში. რეგისტრირებული თანამშრომლები, სხვა გარე დაინტერესებული სტუდენტები პირები იყოფიან ჯგუფებად, ირჩევენ კონკრეტულ ქეისს და მენეჯერთან ერთად იწყებს მუშაობას.

გარდა კვებისა, რამდენიმე შვილობილი კომპანია უზრუნველყოფს ასევე თანამშრომელთა ტრანსპორტირების დაფინანსებას, რაც კიდევ უფრო მიმზიდველს ხდის ნიკორა ჰოლდინგს, როგორც დამსაქმებელს და თანამშრომლებს კი რადიკალურად გაუმჯობესებულ სამუშაო პირობებს სთავაზობს. 2023 წლის ბოლოსთვის უკვე ყველა შვილობილმა კომპანიამ აითვისა სატრანსპორტო ბარათების დაფინანსების ბენეფიტი. სატრანსპორტო ბარათი არის 1 წლიანი ულიმიტო და ყოველწლიურად ხდება მათი ავტომატური განახლება.

თანამშრომლები სარგებლობენ ჯანმრთელობის კორპორატიული დაზღვევით. დაზღვევის ფარგლებში, წელიწადში ორჯერ, ექვს თვეში ერთხელ: დისტრიბუციის, სავაჭრო, სასაწყობო და წარმოების მიმართულებებით დასაქმებული თითოეული თანამშრომელი (ყველა, ვისაც პროდუქციასთან აქვს შეხება) გადის ჯანმრთელობის პროფილაქტიკურ შემოწმებას. ასევე, კომპანია აფინანსებს ღამის ცვლის თანამშრომლების მუდმივ რეჟიმში ჯანმრთელობის კვლევის დაფინანსებას და შემდეგ რეაბილიტაციას მომართვიანობის მიხედვით. მძღოლების სეგმენტი წელიწადში ორჯერ გადის შემოწმებების მთელ რიგ მოზრდილ ნუსხას, რათა მათი მომსახურება იყოს უსაფრთხო და სატრანსპორტო გადაადგილება შეუფერხებელი. სატრანსპორტო საშუალებების მძღოლების კვლევები სავალდებულოა, რასაც კომპანია აფინანსებს 2023 წლიდან და ასევე, საჭიროებისამებრ რეაბილიტაციასაც. ყველა ამას გარდა კომპანიის სათაო ოფისსა და საწარმოო ტერიტორიაზე მდებარეობს პირადი ექიმის სამუშაო ოთახი, რომელიც თანამშრომლებს ადგილზევე უწევს სამედიცინო მომსახურებას და საჭიროების შემთხვევაში ამისამართებს ვიწრო პროფილის ექიმთან.

2024 წელს პერსონალის მოთხოვნიდან გამომდინარე ოჯახის ექიმები დაემატენ სხვადასხვა ლოკაციაზე, ისეთ დისტანციებზე როგორც არის ფოთის საწარმო თუ ლილოს დასახლების საწყობი. ასევე, 2025 წლიდან კომპანიაში შემოვიდა 2 სადაზღვევო პარტნიორი და კომპანიის თანამშრომელს შეუძლია არჩევანი გააკეთოს მისთვის საინტერესო პარტნიორზე/ზრენდზე.

2025 წლის მაისიდან აქტიურად ფუნქციონირებს თანამშრომელთა ფორმების სამრეცხაოს სტრუქტურული ერთეული. ეს არის ისეთი უნივერსალური ბენეფიტი, რაც ყველა მხარესთვის მაქსიმალური სარგებლის მომტანია. შემუშავდა ფორმების გაცემის/დარიცხვის და ასევე, რეცხვის პროცედურა. სს ნიკორა ჰოლდინგმა შეიძინა რეცხვისთვის დანადგარები (საშრობები, საუთოები და სხვ), მოეწყო ახალი ნაგებობა სტანდარტების გათვალისწინებით. პერსონალი გადაიზადდა 2 თვის განმავლობაში და უკვე პროცესებს დამოუკიდებლად მართავენ. ნიკორა ჰოლდინგის ყველა შვილობილი ორგანიზაციის თანამშრომლებისთვის ეს ბენეფიტი 2026 წელს ხელმისაწვდომი უნდა გახდეს. დამსაქმებელი უზრუნველყოფს სამუშაო ფორმების სრულიად მოწესრიგებას და გაცემას. ყოველ დილას გამოცხადებულ თანამშრომელს მისთვის განკუთვნილ ადგილას დახვდება ახლად გარეცხილი დაუთოვებული ფორმა.

ბოლო 2 წლის განმავლობაში აქტიურად დაინერგა საორიენტაციო, სწავლების კულტურა, რაც აუცილებელია ახალი თანამშრომელის სამუშაო პროცესებთან ადაპტაციის პროცესისათვის. ყველა თანამშრომელი აქტიურად ეცნობა ძირითად ინფორმაციას ნიკორა ჰოლდინგის სტრუქტურასთან და კომპანიის ძირითად მახასიათებლებთან დაკავშირებით, რაც უმარტივეთ მათ ადაპტაციის პროცესს; ამ კუთხით აქტიურად არის ჩართული ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის ორი თანამშრომელი. საორიენტაციო სწავლების პროცესში საწარმო პროცესების გასაცნობად, სასწავლო მოდული შედგება ტექნოლოგიური ნაწილისგან, რომელსაც წარმართავს კომპანიის ტექნოლოგიური თუ წარმოების ხელმძღვანელებისგან შემდგარი ჯგუფი და სწავლების ბოლო ნაწილი, ჰიგიენის და შრომის უსაფრთხოება არის, რომელსაც უძღვებიან ხარისხის მართვის დეპარტამენტიდან გამოყოფილი თანამშრომლები. საორიენტაციო სწავლების მოდული განთავსებულია ახალ სასწავლო პორტალზე, რათა თანამშრომლები მარტივად მიწვდნენ სასწავლო მასალებს.

2023 წლის საზაფხულო-საშემოდგომო პერიოდში განხორციელდა ხორც-პროდუქტების საწარმოს მენეჯერული რგოლის სრული გადაზადება, რაც გულისხმობდა 4 თვიან პროცესს. გადაზადების მოდულები აერთიანებდა მენეჯერულ უნარ-ჩვევებს, კომუნიკაციას და ტექნიკური საშუალებების, როგორც არის საწარმო

სააღრიცხვო პროგრამის და ექსელის გადამზადება. აღნიშნული პროცესი ყოველწლიურად იგეგმება. ხორცპროდუქტების საწარმო 2025 წლისთვის ემზადება სრულიად ახალ საწარმო ქარხანაში გადამამუშავების. შესაბამისად, პერსონალის მსგავსი ტიპის სწავლებები და ადგილზე ინსტრუქტაჟები წინასწარ დაგეგმილია ახალ საწარმოში სამუშაოების მოსამზადებლად.

ნიკორა ჰოლდინგი მუდმივად პულისზე ხელის დაჭერით მიჰყვება საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს. 2024 წლის დასაწყისიდან პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონის ამუშევების შემდეგ მოხდა ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის საქმიანობის გადალაგება კანონის შესაბამისად. კერძოდ, პერსონალის ბაზების დახარისხება, წვდომის დონეების შეზღუდვა, პირადი საქმეების არქივის შენახვის წესის გადახედვა, განადგურება და სხვ. ასევე, შემუშავდა ვიდეო მონიტორინგის წესი, რომელიც ყველა პერსონალს გაეცნო და დაინერგა. კომპანია მუდმივად ცდილობს დახვეწოს და გააუმჯობესოს კანონის მოთხოვნის საფუძველზე პროცესები.

2025 წლის ყველაზე მასშტაბულ პროექტად შეიძლება ჩაითვალოს ხორც-პროდუქტების ახალი საწარმოს ფუნქციურად გახსნა და გაშვება მთლიანი სამუშაო პროცესის. 2025 წლის თებერვალი-აპრილის თვეები იყო ძალიან დატვირთული როგორც ადმინისტრაციული რგოლებისთვის ასევე, საწარმო პერსონალისთვის. თითოეული დანადგარის სამუშაო პროცესის დაშლა და ახალი სივრცეში აწყობა/გაშვება. ამავდროულად სრულიად ახალი პროგრამული უზრუნველყოფის გაშვება. ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის როლი ამ პროცესში იყო პერსონალის ინსტრუქტირება, ახსნა-განმარტებები როგორც მუშაობენ ახალი ქარხანაში, სამუშაო სივრცეების გარდა სხვა სივრცეები გააცნობა და წესების დანერგვა. ამავდროულად კვების და ფორმების რეცხვის სისტემების სრული აწყობა. ახალი სამუშაო პოციზიების დაკომპლექება და სახე ცვლილი ფუნქციონალების სტრუქტურულად გადაწყობა. აღნიშნული პროცესი კვლავ მიმდინარეობს, რომელიც გარკვეულ პერიოდს გასტანს.

საბოლოოდ, კომპანიის მასშტაბები და შესაბამისად დასაქმებულთა რაოდენობა მუდმივად მზარდია. შრომითი ბაზრის ძლიერ კონკურენტუნარიანობის შესანარჩუნებლად სს „ნიკორა“ ჰოლდინგს მუდმივად უწევს ზრუნვა კორპორატიული კულტურის გაძლიერებაზე, პერსონალის განვითარებასა და მათ კმაყოფილებაზე.

5.2 შრომის უსაფრთხოება და გარემოს დაცვა

გარემოსდაცვითი საკითხები:

სს „ნიკორა“ ჰოლდინგი კვლავ აგრძელებს გარემოსდაცვითი საკითხების მიმართულებით მუშაობას და მიზნად ისახავს მაქსიმალური შედეგების მიღწევას.

2025 წელი მნიშვნელოვანი არის ჰოლდინგის მასშტაბით არსებული კომპანიებისთვის, წლის დასაწყისში ჩატარდა თითოეული კომპანიის წარმოქმნილი ნარჩენების ინვენტარიზაცია და კანონის მოთხოვნის შესაბამისად მოხდა ნარჩენების მართვის გეგმის შეთანხმება „გარემოს დაცვის“ - სამინისტროსთან სამი წლის ვადით.

თითოეული კომპანიაში ინდივიდუალურად ხდება ნარჩენების აღრიცხვა, სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების სეპარირება შემდგომში მათი გადაცემა სერტიფიცირებულ კონტრაქტორ ორგანიზაციებზე, შემდგომში გადამუშავების მიზნით


ჰოლდინგის მასშტაბით ყოველი ახალი ობიექტის აღჭურვა ხდება ენერგოეფექტური ტექნიკითა და ხელსაწყოებით.

ჰოლდინგის მიზანია გააფრქვიოს ატმოსფეროში რაც შეიძლება ნაკლები ნახშირორჟანგი და წვის შედეგად წარმოქმნილი სხვა აირები. ამისათვის ჰოლდინგის მასშტაბით საწარმოები აღიჭურვა ახალი სისტემებით, რომელიც უზრუნველყოფს გამოყოფილი წვის აირების მაქსიმალურ ფილტრაციას.

გარემოს დაზიანებების და მასზე მავნე ზეგავლენის მინიმუმამდე დაყვანის მიზნით სავაჭრო ობიექტების აღჭურვისას კომპანია იყენებს ენერგოეფექტურ და გარემოსადმი მეგობრულ ტექნიკას, კერძოდ: ენერგოეფექტური მაცივარ-დანადგარები, რომლებიც ახალი თაობის ფრეონს და ნაკლებ ელექტრო ენერგიას მოიხმარს; ენერგიის დამზოგავი ლედ განათების სისტემები; ენერგიის დამზოგავი ლუმენები.

ოპერირების პროცესში სს „ნიკორა“-ს პრიორიტეტია ნარჩენების საერთო რაოდენობის შემცირება, ხოლო გარდაუვალი ნარჩენის - რეციკლირება, განადგურება ან ნაგავსაყრელზე შესაბამისი წესების დაცვით განთავსება.

ნარჩენების მართვის პროცესში კომპანია ხელმძღვანელობს შემდეგი პირამიდით:



ნარჩენების შესამცირებლად კომპანია ატარებს სხვადასხვა ადმინისტრაციულ ღონისძიებებს. ნარჩენების გადამუშავებისათვის (გამოყენებული მცენარეული ზეთის, მუყაოს, მაკულატურის, პოლიეთილენის გადამუშავება) სს „ნიკორა“ თანამშრომლობს რამდენიმე კომპანიასთან. ნაგავსაყრელზე განთავსება ხდება მხოლოდ იმ ნარჩენების, რომელთა გადამუშავება ან ხელახალი გამოყენება შეუძლებელია.

2023 - წლიდან, კომპანიამ დაიწყო მთლიანი ქსელის მასშტაბით აღდგენადი ნარჩენების შეგროვება რეციკლირების მიზნით, ასევე ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევის შემცირებისა და მონიტორინგის კუთხით ხორციელდება მაცივრ აგენტების ელექტრო ჟურნალების წარმოება, მომსახურე პერსონალი სისტემატურად გადის პროფესიულ მომზადებას სასწავლო დაწესებულებებში.

2025 წლის ბოლოს ჰოლდინგის მასშტაბით დაწყებულია პროექტი ორგანული ნარჩენების გადამუშავებაზე . რომელიც მიზნად ისახავს ისეთი ნარჩენების, როგორიცაა: ხილ-ბოსტნეული, ძვალი და სხვა, დამუშავებასა და კომპოსტირებას, აღნიშნული პროექტზე ჰოლდინგი მუშაობს სოფლის მეურნეობის ასოციაციის წევრ კომპანიებთან ერთად.

2026 წლის მიზანია სწორედ ამ პროექტის განხორციელება რომლის შედეგად ნიკორა ჰოლდინგის მასშტაბით წარმოქმნილი საერთო ნარჩენების 85% გადამუშავებული იქნება.

შრომის უსაფრთხოების საკითხები:

კომპანიას ჰყავს შრომის უსაფრთხოების კოორდინატორი, რომლის დაქვემდებარებაში არის 2 სპეციალისტი და “აუტოსორსი” მომსახურეობის კომპანია. ჰოლდინგს საქმიანობის განხორციელებისას, პრიორიტეტად აქვს დასახული შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის საკითხები. სამსახურის ძირითადი ფუნქცია და მიზანია ჰოლდინგის და შვილობილი კომპანიების მიერ შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით სისტემების დანერგვა და განვითარება. კომპანიის ხელმძღვანელობა აცნობიერებს შრომის უსაფრთხოების კუთხით არსებულ პასუხისმგებლობას და სათანადოდ უზრუნველყოფს დასაქმებულთა შრომისა და ჯანმრთელობის დაცვას.

კომპანია უზრუნველყოფს ტრავმებისა და პროფესიული დაავადებებისგან თავისუფალ და დაცულ სამუშაო გარემოს. ეს ყველაფერი მიიღწევა სამუშაო პროცესების სწორად მართვითა და პროფესიული ორგანიზაციების ურთიერთთანამშრომლობით. კომპანიის მენეჯმენტი მიისწრაფვის მიმდინარე სამუშაო პროცესებისა და უსაფრთხო სამუშაო გარემოს გაუმჯობესებისკენ.

2026 წლის დასაწყისისთვის დაგეგმილია ჰოლდინგის მასშტაბით პერსონალის მასობრივი გადამზადება შრომის უსაფრთხოების მიმართულებით.

კომპანიაში ყოველ 6 თვეში ერთხელ ტარდება საწარმოების თანამშრომლებისათვის შრომის უსაფრთხოების მიმართულებით ტრენინგები, რომელთა შინაარსი მოიცავს: ეროვნულ საკანონმდებლო რეგულაციებს, პირველადი სამედიცინო დახმარების საბაზისო საკითხებს, ელექტრო უსაფრთხოების საბაზისო საკითხებს, ხანძრის გაჩენის შემთხვევაში მოქმედების ინსტრუქციას, საგანგებო სიტუაციების შემთხვევაში სამოქმედო გეგმას, საწარმოსთვის/უბნისთვის სპეციფიკური უსაფრთხო ქცევის წესებს.

2026 წლისთვის დაგეგმილია ჰოლდინგის მასშტაბით, გენერალური აუდიტი თითოეული კომპანიის მიმართ, რომელიც თვეში ერთხელ ჩატარდება. აუდიტის შედეგების მიხედვით მოხდება ინდივიდუალურად თითოეული საწარმოს სამოქმედო გეგმის დასახვა და გაუმჯობესებისკენ სწრაფვა.

5.3 საზოგადოებასთან ურთიერთობა

სს „ნიკორა“-ს მისიაა ღია და სანდო პარტნიორობაზე დაფუძნებული ბიზნესგარემოს შექმნა, რომელიც წარმოშობს ახალ შესაძლებლობებს, უზრუნველყოფს ბრენდების გრძელვადიან განვითარებას და ხელს უწყობს ეკონომიკური, საზოგადოებრივი ღირებულებების ზრდას.

თანამედროვე ციფრულ სამყაროში სოციალური ქსელები მარკეტინგის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტი და საკომუნიკაციო არხია. ისინი არამარტო მომხმარებელთან კომუნიკაციის დამყარების საშუალებაა, არამედ ძლიერი პლატფორმაა ბრენდის ცნობადობის ასამაღლებლად, პროდუქტებისა და სერვისების პოპულარიზაციისთვის. სს „ნიკორა“-ს მარკეტინგის დეპარტამენტი რამდენიმე მიმართულებით მუშაობს:

სს „ნიკორას“ მარკეტინგის ჯგუფის საქმიანობა სოციალური მედიის მიმართულებით და შედეგები:

სს „ნიკორა“-ს მარკეტინგის ჯგუფი მართავს 5 ბრენდის გვერდს, როგორც Facebook-ზე, ასევე Instagram-ზე. ჩვენი გუნდი ქმნის მრავალფეროვან და მიზნობრივ კონტენტს, რომელიც მოიცავს:

- i. პროდუქციის დეტალურ აღწერას, ხარისხსა და გამოყენების წესებს
- ii. აქტუალურ აქციებსა და სპეციალურ შეთავაზებებს;
- iii. კულინარიულ რეცეპტებსა (რილსი, ბლოგერი) და პრაქტიკულ რჩევებს;
- iv. საბავშვო თემატიკასა და სხვა საინტერესო ინფორმაციას.

სოციალური ქსელები არა მხოლოდ ინფორმაციის გავრცელების არხია, არამედ მომხმარებელთან ურთიერთობის უწყვეტი ჯაჭვი. ჩვენ აქტიურად ვისმენთ ჩვენი აუდიტორიის საჭიროებებსა და ინტერესებს, ვპასუხობთ შეკითხვებს და მყისიერად ვრეაგირებთ ნებისმიერ უკუკავშირზე. ეს კომფორტული და აუცილებელი პროცესია როგორც მომხმარებლისთვის, ისე სს „ნიკორა“-ს ჰოლდინგში შემავალი თითოეული ბრენდებისთვის.

2025 წლის 6 თვის შედეგები – Facebook მონაცემები ბრენდების მიხედვით. რამდენ ადამიანს მიეწვდით, რამდენჯერ ნახა მომხმარებელმა პოსტი და რამდენი ჩაერთო კონტენტში

პრეტენზიების მართვა

მომხმარებლების ნებისმიერ პრეტენზია პროდუქციის, მომსახურების შესახებ, რომელიც შემოდის იმეილით, ბრენდის ფეისბუქ ჩატით ან სატელეფონო ზარით, აღირიცხება, ფიქსირდება ფაილებში და შესაბამის სამსახურებთან ერთდ ხდება მისი განხილვა, შესაბამისი მაკორექტირებელი ქმედებების დასახვა თუ ამის საჭიროება არსებობს და მომხმარებლისთვის ე.წ. ანგარიშის ჩაბარება. ნახევარი წლის მანძილზე, ჯამურად განხილული იქნა 27 შემოსული პრეტენზია.

კონტენტ მარკეტინგი ინტერნეტ პლატფორმებზე

ნახევარი წლის მანძილზე 50-ჯერ იქნა ათვისებული სხვადასხვა ვებ პლატფორმები, როგორიცაა: ინტერპრესნიუსი, ბიპიენი, ამბები, მშობლები, გემრიელია, მკურნალი, ფორგე.... სადაც განვათავსეთ ნიკორა ჯგუფში შემავალი ბრენდებზე მორგებული კონტენტი (სტატიები, ბლოგები, რეცეპტები, რილსები)

დიზაინი და ეტიკეტირება

სს „ნიკორა“-ს მარკეტინგის დეპარტამენტი უზრუნველყოფს პროდუქციის ვიზუალური ნაწილის შეფუთვის დიზაინის შექმნას, რომელიც ასახავს ბრენდის იდენტობას, პროდუქტის ხასიათს და მომხმარებლის ინტერესებს.

ასევე მართავს ეტიკეტირების პროცესს, რაც გულისხმობს პროდუქტის შეფუთვაზე ინფორმაციის განთავსებას სწორი სტანდარტებისა და რეგულაციების დაცვით. ჩვენი მიზანია, რომ ვიზუალურად მიმზიდველი, ინფორმაციული და მომხმარებლისთვის მოსახერხებელი შეფუთვა შევქმნათ, რომელიც ხელს შეუწყობს პროდუქციის უკეთ აღქმასა და აღიარებას ბაზარზე. 2025 წელს, დავამატეთ დღის პროდუქტების ასორტიმენტში ახალი პროდუქტების შეფუთვები. გაგრძელდა კორიდას პროდუქციის გადტანა 33 სტიკერიდან ფირებზე, შეფმასტერის ასორტიმენტში მოხდა ახალი სახეობების შექმნა და შესაბამისად დიზაინის ადაპტირება პროდუქციაზე. ოკეანეს პროდუქციის რედიზაინი სხვადასხვა პროდუქტების შემადგენლობის კორექტირება.

CSR

ნიკორა ჯგუფისთვის კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა (CSR) მხოლოდ ვალდებულება არ არის – ეს არის პრინციპი, რომლითაც ვცხოვრობთ და ვმუშაობთ. ვახორციელებთ პროექტებს, რომლებიც ვფიქრობთ ქვეყნის მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაში, გარკვეულ კვალს დატოვებს.

ჩვენი CSR პროგრამა სამ ძირითად მიმართულებას მოიცავს:

- i. განათლების მხარდაჭერა;
- ii. გარემოს დაცვა;
- iii. შრომითი უფლებები.

ჩვენი კომპანიისთვის მნიშვნელოვანია განათლების ხელშეწყობა, დახმარება მთის რეგიონალური სკოლებისთვის. 2022 წელს დაიწყო ეს პროგრამა და 20-ზე მეტ სკოლას გადავეცით თანამედროვე კომპიუტერები, სასკოლო ბიბლიოთეკა, პირველიდან მერვე კლასის ჩათვლით საჭირო სასკოლო ინვენტარი. სკოლების დახმარების პროგრამა განგრძობადია. 2025 წელს მოვიცავით შემდეგი სოფლის სკოლები:

მცხეთა თიანეთი , ყაზბეგი	სსიპ ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სოფელ არშის საჯარო სკოლა
მცხეთა-მთიანეთი, დღუშეთი	სსიპ დღუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩირიკის საჯარო სკოლა
შიდა ქართლი, კასპი	სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ მეტეხის N2 საჯარო სკოლა
კახეთი საგარეჯო	სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ უდაბნოს საჯარო სკოლა

ნიკორა ჯგუფისთვის, ასევე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კვების ინდუსტრიის მიმართულებით ახალგაზრდების სწავლის წახალისება/მოტივაცია. ქვეყანაში, ახალგაზრდა, კვალიფიციური კადრების დეფიციტია. სწორედ ამიტომ, რამდენიმე წელია, კვების ტექნოლოგიის მიმართულებით წარმატებული სტუდენტები ნიკორას სტიპენდიანტები არიან. გვსურს, ეს დარგი უფრო პოპულარული გახადოს და ხელი შევეწყოს მომავალ ტექნოლოგების პროფესონალებად ჩამოყალიბებას.

გაგრძელდება მუშაობა ყველა ზემოთ წარმოდგენილი მიმართულებით. CSR-ის მიმართულებით დაგეგმილია უკვე დამატებით 4 სკოლის ათვისება, გაიზარდა სტუდენტების სტიპენდიები, თითოეული სტიპენდიანტი თვეში უკვე 300 ლარს იღებს. სამომავლოდ დაგეგმილია ასორტიმენტის გაფართოება შეფმასტერის, კორიდასა და სხვა ბრენდებში, ოკეანეს სრული რეპრეზენტინგი და მიმდინარეობს ასევე ნიკორა ჯგუფის ახალი ვებგვერდის შექმნა.



მის.: საქართველო, ქ. თბილისი
0180,
ა. მრევლიშვილის #2



ტელ/ფაქსი: (+995 32) 269 55 50;
(+995 32) 269 55 51



ელ.ფოსტა: contact@nikora.ge